

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე

2013, №9

**სამოქალაქო  
პროცესი**

**საძიებელი**

უარი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებაზე  
სასამართლო უწყების ჩაბარება თანამონაწილისათვის  
სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა  
საპროცესო უფლებამონაცვლეობა  
მტკიცებულებათა შეფასება  
უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება  
საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზი  
დაუსწრებელი გადაწყვეტილება  
შესაგებლის წარუდგენლობა  
მხარეთა გამოუცხადებლობა  
საჩივრის განუხილველად დატოვების დაუშვებლობა  
გადაწყვეტილების განმარტება  
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა  
დავის საგნის ღირებულება  
სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა  
უსწორობის გასწორება  
გადაწყვეტილების აღსრულების გადადება  
უარი გადაწყვეტილების აღსრულების გადადებაზე  
სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა  
სააღსრულებო ფურცლის გაცემა უფლებამონაცვლეზე

# უარი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებაზე

## განჩინება

№ას-1593-1496-2012

14 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსგამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ლ. ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ი-ის მიმართ სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების საჯარო აუქციონზე რეალიზაციის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. ი-ისათვის საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ 2009 წლის 13 მაისის №034-2009 საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხით კრედიტორის დაკმაყოფილების მიზნით საჯარო აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა ი. ი-ის სახელზე რეგისტრირებული და სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული შემდეგი უძრავი ქონება: მარნეულის სოფ. დ-ში მდებარე 10 ჰა მიწის ნაკვეთი და მარნეულის სოფ. დ-ში მდებარე 10 ჰა მიწის ნაკვეთი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ი. ი-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძვლებით:

პალატის მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარზე დადგენილ იქნა ხარვეზი და აპელანტს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 1560 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა დაევა, რისთვისაც განესაზღვრა 7 დღის ვადა, განჩინების ასლის ჩაბარებიდან. 2012 წლის 28 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ი. ი-მა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სრულად გათავისუფლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ი. ი-ს ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელდა და დამატებით განესაზღვრა 7 დღე. აპელანტს განემარტა, რომ დადგენილი ხარვეზის შევსებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დატოვებული იქნებოდა განუხილველად. 2012 წლის 8 ნოემბერს ი. ი-მა განცხადებით მიმართა სასამართლოს და კვლავ მოითხოვა სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ აპელანტი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას ითხოვდა იმავე ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით, რასაც 2012 წლის 28 სექტემბრის განცხადებაში უთითებდა, კერძოდ, რომ სს „დ-ის“ მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ი. ი-ს 2010 წელს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი – გაუფუჭდა ბანკიდან აღებული სესხით მოყვანილი პროდუქტი და არის გადახდისუუნარო. აღნიშნულ განცხადებასა და საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან მიმართებაში, სააპელაციო პალატამ 2012 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით განმარტა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებდა აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდის შეუძლებლობას, ხოლო ახალი მტკიცებულება აპელანტს არ წარუდგენია. სასამართლომ მიუთითა საქმეში მტკიცებულებად წარმოდგენილ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისადაც ი. ი-ს სს „დ-ის“ წინააღმდეგ მიმართულ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდის მიხედვით 2000 ლარი, რაც პალატამ აპელანტის შუამდგომლობის უსაფუძვლობის დამადასტურებელ გარემოებად ჩათვალი, ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ი. ი-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

გასაჩივრებული განჩინება უკანონო, დაუსაბუთებელია, რადგანაც სასამართლომ არ გაითვალისწინა აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც მისი ოჯახის რთულ მატერიალურ მდგომარეობას ადასტურებდა, რომ აპელანტი, ფაქტობრივად, დაზარალებულია საქმეზე, რის გამოც მიმდინარეობს დავა. სანოტარო წესით დამონმებული, აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების თანახმად, ი. ი-ის ოჯახი 10 წევრისაგან შედგება, რომელთაგან არც ერთი არ არის დასაქმებული, აპელანტს გაუფუჭდა მოსავალი, რომელიც ბანკიდან აღებული აგროსესხით იყო მოყვანილი, აღნიშნულის გამო მსესხებელს გააჩნია ბანკის დავალიანება, სს „დ-მა“, რომელიც ამჟამად გაკოტრებულია, დაარღვია მემორანდუმით გათვალისწინებული აგროსესხით მოყვანილი მოსავლის შესყიდვის პირობა, ბანკის სესხის გამო, იპოთეკითაა

დატვირთული ი. ი-ის უძრავი ქონება და მას დამხმარე მუშახელისათვის გადასახდელი თანხაც არ გააჩნია. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა რუსთავის რეგიონალური ცენტრის საგადასახადო ინსპექციის ცნობა აპელანტის დავალიანების თაობაზე, სამედიცინო ცნობები მისი მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის დ-ის რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა ი. ი-ის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე, აღნიშნული მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასებით სასამართლოს აპელანტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან უნდა გაეთავისუფლებინა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 დეკემბრის განჩინებით ი. ი-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ი-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ი. ი-მა სააპელაციო საჩივრით სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე ქონებრივი და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, შუამდგომლობა მხარეს სათანადო მტკიცებულებით არ დაუსაბუთებია და აღნიშნა, რომ მტკიცებულებებს წარადგენდა სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 სექტემბრის განჩინებით, სასამართლოს, მართალია, არ შეუფასებია აღნიშნული შუამდგომლობა, თუმცა აპელანტს განუსაზღვრა საპროცესო ვადა სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის და დაავალა სახელმწიფო ბაჟის სახით 1560 ლარის გადახდის ქვითრის სასამართლოში წარდგენა.

საპროცესო ვადის დაცვით ი. ი-მა განცხადებით მიმართა სასამართლოს მიუთითა მის მძიმე ფინანსურ მდგომარეობასა და გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ასევე მას, სს „დ-სა“ და სს „ლ. ბ-ს“ შორის არსებულ გარიგებაზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება. ამჯერად, აპელანტმა შუამდგომლობას დაურთო მტკიცებულებები: მარნეულის მუნიციპალიტეტის დ-ის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა ი. ი-ის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე, ამავე ტერიტორიული ერთეულის მცხოვრებთა მიერ შედგენილი აქტი, სადაც ასევე აღნიშნულია აპელანტის ქონებრივი მდგომარეობა, ენდოკრინოლოგიური ცენტრის ცნობის ასლი ი. ი-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო პალატამ შეაფასა აღნიშნული მტკიცებულებები და ჩათვალა, რომ შუამდგომლობა არ აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მოთხოვნებს, ამასთან, მხარეს გაუგრძელდა საპროცესო ვადა 7 დღით.

ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ განჩინებით განსაზღვრულ ვადაში ი. ი-ის სახელით მისმა წარმადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების მიზნით კვლავ მიუთითა ის გარემოებები, რაც სასამართლომ 2012 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით არ გაიზიარა.

აღნიშნული მტკიცებულებებისა და მხარის განცხადებების შინაარსის შესწავლის შედეგად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების მიზნით წარდგენილი შუამდგომლობები შინაარსობრივად ანალოგიურია, კერძოდ, ანალოგიურია შუამდგომლობის საფუძველი, რაც სასამართლომ ერთხელ შეაფასა და, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, უარი ეთქვა მხარეს მის დაკმაყოფილებაზე. ამასთანავე, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ მხოლოდ ამ მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის საკანონმდებლო მიზნები. საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზედაც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. კანონის მითითებული ნორმა მოიცავს იმ ელემენტებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებას. პირის უფლების შეზღუდვა ამ უფლებასა და სახელმწიფო ინტერესებს შორის დასაშვებია სამართლიანი ბალანსის შემთხვევაში. ამგვარი ბალანსი საქართველოს კანონმდებლობით დაცულია, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, დაშვებულია რა კონკრეტული შეზღუდვა სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების სასამართლო წესით დაცვისას (სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება), ასევე გათვალისწინებულია სამართლებრივი მექანიზმები

ყველა კატეგორიის პირებისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ადასტურებს სასამართლოს უფლებას, ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან გაათავისუფლოს მოქალაქე (სსკ 47-ე მუხლი), აგრეთვე, მხარეს შეუმციროს ასეთი ხარჯები ან გადაუდგოს მისი გადახდა (სსკ 48-ე მუხლი). სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის სრული და შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, ვინაიდან ხელმისაწვდომობის უფლება თავისი მრავალფეროვანი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას, ამავდროულად, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ უფლების არსი არ იქნება გაუარესებული და რომ გამოსაყენებელი ფარგლები არ ზღუდავს და არ ამცირებს მხარის ხელმისაწვდომობის უფლებას. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი და გათვალისწინებული გამონაკლისები (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება) დასაშვებია მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დადასტურების შემთხვევაში, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორი მხარე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რათა სასამართლოს გაუჩინდეს მყარი შინაგანი რწმენა, რომ მხარეს არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და სწორედ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებლობა გამოიწვევს სადავოდ მიჩნეული უფლების სასამართლოს წესით დაცვის რეალიზების შეზღუდვას მოდრე მხარის მიმართ. განსახილველ შემთხვევაში მხარე მის მძიმე ქონებრივ მდგომარეობას ამყარებდა შემდეგ მტკიცებულებებზე: მარნეულის მუნიციპალიტეტის დ-ის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა ი. ი-ის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე, ამავე ტერიტორიული ერთეულის მცხოვრებთა მიერ შედგენილ აქტზე, სადაც ასევე აღნიშნულია აპელანტის ქონებრივი მდგომარეობა, ენდოკრინოლოგიური ცენტრის ცნობის ასლზე ი. ი-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, თუმცა საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხოლოდ აღნიშნული მტკიცებულებები არ განამყარებს სასამართლოს რწმენას აპელანტის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე მათი არასაკმარისობის გამო (არ არის წარმოდგენილი საბანკო ანგარიშების არარსებობისა თუ მათზე თანხის არარსებობის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, ასევე მტკიცებულება, რომ მხარეს სხვა უძრავ-მოდრავი ქონება არ გააჩნია და სხვა), შესაბამისად, მხოლოდ მითითებული გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებები მხარის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას არ განსაზღვრავდა, მას კი ამ კუთხით მეტად სარწმუნო მტკიცებულება არ წარუდგენია.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტებში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის. ამავე კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით კი განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟის გადამხდელი სუბიექტები და გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო ბაჟის გადამხდელად ითვლებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარეც სპეციალურად რწმუნებული დანესებულებები ასრულებენ იურიდიულ მოქმედებებს და გასცემენ შესაბამის საბუთებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის 1-ლი ნინადადებით განსაზღვრულია, რომ სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა.

ის გარემოება, რომ კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს მითითებული წესიდან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას, არ არის აბსოლუტური და წარმოადგენს უკიდურეს შემთხვევას, როდესაც სასამართლო მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ საავალდებულო გამოიყენოს საგამონაკლისო ნორმა მხარის მიმართ.

თავის მხრივ, სასამართლო საქმის იხილავს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით და ამა თუ იმ მხარის მიმართ რაიმე შეღავათის გავრცელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მეორე მხარის ინტერესები. სასამართლომ მხარეთა ინტერესებისა და განსახილველი შუამდგომლობის საფუძვლიანობის ბალანსის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს მითითებული საკითხი, რათა დაუსაბუთებლად არც მეორე მხარის უფლებები შეილახოს.

საკასაციო პალატა ამ მიმართებით ასევე მიუთითებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ ბაჟის გონივრულობა უნდა განიხილებოდეს საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს აპლიკანტის გადამხდელუნარიანობას, ასევე განხილვების სტადიას, რა დროსაც ასეთი შეზღუდვა წარმოიშვა (see Kreuz, cited above, §558 ანდ 60). უფრო მეტიც, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის გათვალისწინებით, თუკი ეს ისახავს ლეგიტიმურ მიზნებს და თუკი არსებობს გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის (Weissman and Others, cited above, §36) (იხ. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ).

ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, ვინაიდან მხარეს მისი ქონებრივი მდგომარეობა უტყუარად არ დაუდასტურებია, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ი. ი-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებისათვის სარწმუნო მტკიცებულებები არ წარუდგენია, ამასთანავე, არც სასამართლოს მიერ დადგენილი

საპროცესო მოქმედება შეუსრულებია (არ გადაუხდია სახელმწიფო ბაჟი), საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ ქონებრივი მდგომარეობისა (რაც მხარემ სათანადოდ ვერ დაასაბუთა) და ჯანმრთელობის გაუარესების (ამ საფუძველით შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს) გათვალისწინებით არსებობდა მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების წინაპირობები, რის გამოც წარმოდგენილი კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ დგინდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### დ ა ა ღ გ ი ნ ა :

1. ი. ი-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### სასამართლო უწყების ჩაბარება თანამონაწილისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა

#### გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1455-1373-2012

2 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:  
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელეების: ე. დ-ის, ვ. დ-სა და ი. ვ-ის სარჩელი მოპასუხე შპს „მ. ო. ა. ჯ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ე. დ-სა და ი. ვ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით გამოარკვია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 ივნისის სასამართლო სხდომას ესწრებოდა ე. დ-ი, აგრეთვე, მისი და ი. ვ-ის წარმომადგენელი დ. ა-ე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დასახელებული აპელანტებისათვის დაიწყო 2012 წლის 29 ივლისიდან (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს). რამდენადაც აპელანტები არ გამოცხადებულან გადაწყვეტილების ჩასაბარებლად მისი გამოტანიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30-ე დღისა, სააპელაციო სასამართლომ მოხმობილი მუხლისა და ამავე კოდექსის 61.2 მუხლის შესაბამისად ჩათვალა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი საპროცესო ვადა ამოიწურა 2012 წლის 13 აგვისტოს.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით ასევე გამოარკვია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი შეტანილი იქნა 2012 წლის 23 აგვისტოს – კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ. არსებულ ვითარებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ დასახელებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. დ-მა. მისი მოსაზრებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის

გაშვების თაობაზე, რადგან გადაწყვეტილება ჩაიბარა წარმომადგენლის - ვ. დ-ის მეშვეობით, რომლის რწმუნებულებაც საქმეშია წარმოდგენილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. დ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 სექტემბრის განჩინება და ე. დ-ის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით ე. დ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ მან გაუშვა სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა, კერძოდ, აპელანტი კანონით დადგენილ ვადაში არ გამოცხადდა სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად, ამიტომ გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს - 2012 წლის 29 ივლისს და ამოიწურა ამავე წლის 13 აგვისტოს, ხოლო, სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა 23 აგვისტოს.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მას სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არ გაუშვია, ვინაიდან, კანონით დადგენილ ვადაში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად სასამართლოში გამოცხადდა და გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა მისმა წარმომადგენელმა - ვ. დ-მა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მისი სახელით სასამართლოში საქმის წარმოება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 87-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, რაც უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 77-ე მუხლის 1-ლ ნაწილის მიხედვით კი, თუ საქმის წარმოება სასამართლოში მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, უწყება ჩაბარდება მას. იგი ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის.

აღნიშნული საპროცესო ნორმებით, კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს, რომ თანამონაწილეებმა საქმის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, რაც უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით. თუ თანამონაწილეებმა გამოიყენეს ეს უფლება და საქმის წარმოება დადგენილი წესით მიანდეს ერთ-ერთ თანამონაწილეს, მაშინ, ამ უკანასკნელისათვის უწყების ჩაბარება ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის. ეს წესი ვრცელდება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებაზეც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადამწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

ამდენად, მითითებული ნორმა ავალდებულებს მხარეს (მის წარმომადგენელს) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონი ადგენს, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 ივნისის სხდომაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა მოსარჩელე ე. დ-ი. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე (მისი წარმომადგენელი) დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო არა უადრეს 19 და არა უგვიანეს 29 ივლისისა. საქმეში წარმოდგენილი გაცხადებით დგინდება, რომ 2012 წლის 19 ივლისს (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღეს) დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად სასამართლოში გამოცხადდა ვ. დ-ი, რომელიც მოცემულ საქმეზე, ე. დ-ან ერთად, წარმოადგენს თანამოსარჩელეს (თანამონაწილეს) და მას ე. დ-ის სახელით მინდობილი აქვს სასამართლოში საქმის წარმოების უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელე ე. დ-ი კანონით დადგენილ ვადაში არ გამოცხადებულა სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მისაღებად. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ერთ-ერთი თანამონაწილის (ვ. დ-ის) გამოცხადება გადაწყვეტილების ასლის მისაღებად ნიშნავს იმ თანამონაწილის (ე. დ-ის) გამოცხადებასაც, რომელმაც სასამართლოში საქმის წარმოება მიანდო გამოცხადებულ თანამონაწილეს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაიწყო გასაჩივრების ვადის ათვლა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლის მომენტი, განსახილველ შემთხვევაში, უნდა დაუკავშირდეს მოსარჩელის წარმომადგენლისათვის (თანამონაწილისათვის) დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას, ვინაიდან მოსარჩელემ დადგენილ ვადაში მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის მისაღებად, რითაც მან შეასრულა კანონის მოთხოვნა, ხოლო, სასამართლომ გადაწყვეტილების ასლი მხარეს ჩააბარა 2012 წლის 15 აგვისტოს. მითითებული თარიღიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების 14 დღიანი ვადა გასული არაა (სააპელაციო საჩივარი შეტანილია 2012 წლის 23 აგვისტოს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული საფუძვლით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობა არ არსებობდა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### და ა დ ბ ი ნ ა:

1. ე. დ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 სექტემბრის განჩინება და საქმე ე. დ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### ს ა პ რ ო ც ე ს ო უ ფ ლ ე ბ ა მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-154-148-2012

19 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: უფლებამონაცვლეობის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

დ. მ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „მ-ის“ მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „მ-ის“ დ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 680000 ლარის, სარგებლის – 750 000 ლარისა და ძირითადი თანხის 500 000 ლარის 18 %-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, პირგასამტეხლოს – 413 667 ლარისა და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 680 000 ლარის 0,2 %-ის გადახდა. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „მ-იმ“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „მ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „მ-იმ“ და დ. მ-ემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის განჩინებით შპს „მ-ისა“ და დ. მ-ის საკასაციო საჩივრები დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს დ. მ-ემ, ი. ნ-მა და უ. მ-ემ და მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დ. მ-ის უფლებამონაცვლედ ი. ნ-ისა და უ. მ-ის ცნობა და მათზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 დეკემბრის განჩინებით დ. მ-ის, ი. ნ-ისა და უ. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „მ-იმ“ შემდეგი დასაბუთებით: გასაჩივრებული განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებები და მოცემულ დავაში ი. მ-ის უფლებამონაცვლეობად ცნო ი. ნ-ი და უ. მ-ე. აღნიშნული ქმედებით სასამართლომ გასცა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებს, რადგან გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული ნორმა – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი განსაზღვრავს საპროცესო უფლებამონაცვლეობის შემთხვევებს საქმის განხილვის დროისათვის და შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლომ წარმოება დასრულებულია. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 2011 წლის 28 დეკემბრის განჩინებით 300 000 ლარისა და პირგასამტეხლოს თანხის ყოველდღიური 100 ლარის გადახდის ნაწილში დ. მ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა უ. მ-ე, 110000 ლარის გადახდის ნაწილში – ი. ნ-ი, ხოლო დანარჩენ 300 400 ლარის ნაწილში კრედიტორად დარჩა დ. მ-ე. 2011 წლის 17 თებერვლის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შპს „მ-იმ“ დ. მ-ის მიმართ ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ, ამ უკანასკნელის საბანკო ანგარიშზე 2011 წლის 30 ივლისს – 150000 ლარი, 2011 წლის 8 აგვისტოს – 150000 ლარი, ხოლო 2011 წლის 31 აგვისტოს – 10000 ლარი ჩარიცხა, შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მიღების დროისათვის შპს „მ-ის“ უკვე გადახდილი ჰქონდა დ. მ-ის მიმართ არსებული დავალიანება 310000 ლარის ოდენობით. აქედან გამომდინარე, დ. მ-ის 300400 ლარის ნაწილში კრედიტორად მითითება დაუსაბუთებელია.

ამასთან, 2012 წლის 3 თებერვალს, შპს „მ-ის“ წარმომადგენელმა ი. ყ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 დეკემბრის განჩინებისა და მის საფუძველზე გაცემული №2/ბ-1390 სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება კერძო საჩივრის განხილვამდე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „მ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემულ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შპს „მ-ის“ დ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – 500000 ლარის, პროცენტის – 180 000 ლარის, პირგასამტეხლოს – 30 400 ლარის, სულ 710 400 ლარის, ამასთან, პირგასამტეხლოს თანხის ყოველდღიური 100 ლარის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე. 2011 წლის 28 დეკემბრის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით განმცხადებლების მოთხოვნა დაკმაყოფილდა და დ. მ-ის უფლებამონაცვლედ მოვალე შპს „მ-ის“ მიმართ 300 000 ლარისა და პირგასამტეხლოს თანხის ყოველდღიური 100 ლარის გადახდის ნაწილში, გადაწყვეტილების აღსრულებამდე კრედიტორად მიეთითა უ. მ-ე, 110 000 ლარის დაკისრების ნაწილში – ი. ნ-ი, ხოლო 300 400 ლარის ნაწილში კი, დ. მ-ე. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.

შპს „მ-ი“ არაკანონიერად მიიჩნევს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ უფლებამონაცვლეობის ფაქტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია, მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ უფლებამონაცვლეობის ერთ-ერთი წინაპირობა არის მოთხოვნის დათმობა. საპროცესო უფლებამონაცვლეობა შეიძლება პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების სტადიაზეც. ხოლო მოთხოვნის დათმობა კი, შეიძლება მანამ სანამ მოთხოვნა ჯერ კიდევ არსებობს და ვალდებულება არ არის შესრულებული მოვალის მიერ

კრედიტორის წინაშე. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უ. მ-ისა და ი. ნ-ის უფლებამონაცვლებად ცნობასთან დაკავშირებით მართებულია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორს იმ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 დეკემბრის განჩინებაში დ. მ-ის კრედიტორად მითითება 300 400 ლარის ნაწილში არასწორია. 2011 წლის 16 დეკემბრის განცხადებით, მონაწილედ მხარეები მოითხოვდნენ მხოლოდ უ. მ-ისა და ი. ნ-ის დ. მ-ის უფლებამონაცვლებად ცნობას სასამართლოს მიერ დაკისრებული მოთხოვნის ნაწილში. სასამართლოს უნდა ემსჯელა მხოლოდ განცხადებაში მითითებული მოთხოვნის ფარგლებში, ხოლო გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატა გასცდა განმცხადებლების მოთხოვნას, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 248-ე მუხლების მოთხოვნებს.

შპს „მ-ის“ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მას 310000 ლარის ნაწილში ვალდებულება შესრულებული აქვს გასაჩივრებული განჩინების მიღებამდე. სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს დ. მ-ის მოთხოვნის ოდენობა შპს „მ-ის“ მიმართ გასაჩივრებული განჩინების მიღების დროისათვის, რადგან სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ისეთი მოთხოვნის გადასვლას ახალ კრედიტორზე, რომელიც მოთხოვნის დათმობის დროისათვის არსებობდა და ეკუთვნოდა მოთხოვნის დამთმობს.

რაც შეეხება, კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 დეკემბერს მიღებული განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგზე: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, შეჩერდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 დეკემბრის განჩინების საფუძველზე გაცემული №2/ბ-1390 სააღსრულებო ფურცლის მოქმედება განსახილველ განცხადებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და სადავო უფლებამონაცვლეობის ფარგლების დადგენამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე და 418-ე მუხლებით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

შპს „მ-ის“ კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

შეჩერდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 დეკემბრის განჩინების და მის საფუძველზე გაცემული №2/ბ-1390 სააღსრულებო ფურცლის მოქმედება განცხადების განხილვამდე.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მტკიცებულებათა შეფასება**

**განჩინება**

№ას-746-702-2012

31 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „კ. ს. მ-მ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: ზ. დ-ს, შ. ჟ-ს, უ. დ-ს, ნ. ბ-ს, ნ. დ-ს, ბ. დ-ს, ე. დ-ს, ლ. დ-ს, ო. ა-ის, მ. კ-ის, ნ. ჯ-ის, მ. ფ-ს, ვ. ჩ-სა და ნ. ჩ-ს მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ქ. თბილისში, ე-ს ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნით შემდეგი გარემოებების გამო:

სადავო უძრავი ქონება წარმოადგენს შპს „კ. ს. მ-ის“ საკუთრებას. მოპასუხეები არიან აფხაზეთიდან დევნილი პირები. მოსარჩელემ კუთვნილ ფართში დროებით ცხოვრების უფლება მისცა ზ. დ-ს, შ. ჟ-ს, უ. დ-ს, ნ. ბ-ს, ნ. დ-სა და ბ. დ-ს, ხოლო დანარჩენი მოპასუხეები თვითნებურად შეიჭრნენ შპს „კ. ს. მ-ის“ საკუთ-

რებაში არსებულ შენობაში და იქ ცხოვრობენ 2002 წლიდან. მიუხედავად მოსარჩელის არაერთგზის მოთხოვნისა, მოპასუხეები არ ათავისუფლებენ უკანონოდ დაკავებულ ფართს.

მოპასუხეებმა ო. ა-მა, მ. კ-მ, ნ. ჯ-მ, მ. ფ-მ, ვ. რ-მ და ნ. ჩ-მ სარჩელი არ ცნეს შემდეგი საფუძვლებით: მართალია, მოსარჩელე არის ქ.თბილისში, ე-ს ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრე, თუმცა ეს ვერ განდგება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან მოპასუხეები ცხოვრობენ ქ.თბილისში, ქ-ის ქ. №14-ში მდებარე შენობაში, რომელიც არ არის შპს „კ. ს. მ-ის“ საკუთრება, შესაბამისად, მას არ აქვს უფლება, მოითხოვოს აღნიშნული შენობიდან ვინმეს გამოსახლება. იმის დასადასტურებლად, რომ მოპასუხეები ცხოვრობენ ქ.თბილისში, ე-ს ქ. №11-ში, მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნას დაურთო პოლიციის ცნობა, რომელიც თან არ ახლდა მოპასუხეებისათვის გაგზავნილ და ჩაბარებულ სასარჩელო განცხადების ასლს. აღნიშნული ცნობა შესაძლოა, წარმოადგენდეს ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს პოლიციის მე-8 განყოფილების №22-1106 21.05.2009 ცნობას, რომელიც მოსარჩელემ მის საკასაციო საჩივარს დაურთო უკვე განხილულ ადმინისტრაციულ საქმეზე, შპს „კ. ს. მ-ის“ სარჩელის გამო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების შესახებ, მაგრამ, ეს ცნობა ვერ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ მოპასუხეები ნამდვილად ცხოვრობენ სადავო მისამართზე, ცნობაში არ არის მითითებული მისი გაცემის საფუძველი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 2011 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით და სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის განჩინებით დადგენილია, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს მოპასუხეების მიერ ქ.თბილისში, ე-ს ქ. №11-ში მდებარე ფართის დაკავების ფაქტს. მოსარჩელის საკუთრების უფლება სადავო უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრში აღირიცხა 2007 წლის 26 დეკემბერს. საჯარო რეესტრის 2010 წლის 26 აპრილის ამონაწერის თანახმად, ამ მისამართზე მდებარე უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებია: თბილისის მუნიციპალიტეტის 1997 წლის 8 იანვრის №09.49.550 დადგენილება, თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 13 ნოემბერს დამონებული მიწის ნაკვეთის გეგმა, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 1996 წლის 26 მარტს გაცემული №416 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, თბილისის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1997 წლის 11 სექტემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა. აღნიშნული დოკუმენტები საქმეში არ არის წარმოდგენილი, რის გამოც გაურკვეველია, მოსარჩელეს აქვს თუ არა მოპოვებული საკუთრების უფლება ქ.თბილისში, ქ-ის ქ. №14-ში მდებარე, მოპასუხეთა მიერ დაკავებულ შენობაზე. მოპასუხეები ამ მისამართზე მდებარე საბავშვო ბაღის თავისუფალ შენობაში თვითნებურად არ შესახლებულან, აღნიშნული განხორციელდა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს თანხმობით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე. მოპასუხეების მიერ დაკავებული ფართები არა ე-ს ქ. №11-ში, არამედ ქ-ის ქ. №14-ში მდებარე შენობაშია, რასაც ადასტურებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 21.06.2005 №06/01-17/3443 წერილი. ე-ს ქ. №11 და ქ-ის ქ. №14 ფაქტობრივად ერთი შენობის სხვადასხვა ნაწილის მისამართებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „კ. ს. მ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გამოთხოვილ იქნა ე-ს ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონება მოპასუხეების: ვ. (ო.) ა-ის, მ. კ-ის, ნ. ჯ-ის, მ. ფ-ს, ვ. რ-ს, ნ. ჩ-ს უკანონო მფლობელობიდან და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელეს, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „კ. ს. მ-ის“ სარჩელი სხვა მოპასუხეების მიმართ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „კ. ს. მ-მ“ და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ასევე ვ. (ო.) ა-მა, მ. კ-მ, ნ. ჯ-მ, მ. ფ-მ, ვ. რ-მ და ნ. ჩ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 თებერვლის განჩინებით მ. კ-ისა და ნ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხლველად, ამავე პალატის 2012 წლის 29 მარტის განჩინებით ვ. რ-ს სააპელაციო საჩივარზე შეწყდა წარმოება, 2012 წლის 29 მარტის განჩინებით ვ. ა-ის, მ. ფ-სა და ნ. ჩ-ს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად მხარეთა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მოტივით, ხოლო სააპელაციო პალატის 2012 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „კ. ს. მ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „კ. ს. მ-ის“ სარჩელი მოპასუხეების: ზ. დ-ს, შ. ყ-ს, უ. დ-ს, ნ. ბ-ს, ნ. დ-ს, ბ. დ-ს, ე. დ-ს, ლ. დ-ს ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „კ. ს. მ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, გამოთხოვილ იქნა ე-ს ქ. №11-ში მდებარე შპს „კ. ს. მ-ის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მოპასუხეების: ზ. დ-ს, უ. დ-ს, შ. ყ-ს, ნ. ბ-ს, ე. დ-ს, ნ. დ-ს, ბ. დ-ს და ლ. დ-ს უკანონო მფლობელობიდან და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა შპს „კ. ს. მ-ს“ შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განხილვის საგანს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „კ. ს. მ-ის“ სარჩელი მოპასუხეების: ზ. დ-ს, შ. ყ-ს, უ. დ-ს, ნ. ბ-ს, ნ. დ-ს, ბ. დ-ს, ე. დ-ს, ლ. დ-ს მიმართ ე-ს ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონების გამოთხოვისა და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემის შესახებ. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელე შპს „კ. ს. მ-ა“ ქ.თბი-

ლისში, ე-ს ქ. №11-ში მდებარე შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა. უფლების რეგისტრაცია განხორციელდა 2007 წლის 26 დეკემბერს. ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, საკადასტრო რუკაზე ნაჩვენები ორსართულიანი შენობა-ნაგებობა №1 მდებარეობს შპს „კ. ს. მ-ის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში (წითელ ხაზებში). მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერი დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შპს „კ. ს. მ-ა“ რეგისტრირებულია 1996 წელს და მისი იურიდიული მისამართია ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ე-ს ქ. №11. ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია დ. ი-ა. მონინალმდევე მხარეები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, დევნილები არიან და, მათი დროებით საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციითა და დევნილთა მოწმობებით, 1994 წლიდან ითვლებიან რეგისტრირებულად ე-ს ქ. №11-ში, როცა შენობა წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას. მონინალმდევე მხარეები ერთი ოჯახის წევრები არიან. პალატა არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო შენობა, მდებარე ე-ს ქ. №11-ში, წარმოადგენს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს. სასამართლომ იხელმძღვანელა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით, 54 მუხლის 1-ლი პუნქტით და აღნიშნა, რომ დევნილის დროებითი ფართით უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფოს მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით, დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა, როგორც უფლება, უნდა განხორციელდეს მართლზომიერად თანახმად სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის 1-ლი წინადადებისა. სასამართლოს განმარტებით, მოპასუხეთა მიერ სადავო შენობა-ნაგებობის დაკავების დროისათვის (1994 წლისათვის) მოქმედი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად (ამოღებულია 06.04.2005 №1235), აუცილებლობას წარმოადგენდა დევნილის დროებით საცხოვრებელ ადგილზე განთავსების თაობაზე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული მიმართვის არსებობა, რაც იმას ცხადყოფს, რომ დევნილის განსახლების თაობაზე უნდა არსებობდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც გამოვლენილი იქნება სახელმწიფოს ნება დევნილთა კომპაქტურად თუ ინდივიდუალურად განსახლების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი ნების გამოცხადებული დოკუმენტი საქმეში არ არის წარმოდგენილი. პალატა დაეთანხმა აპელანტის განმარტებას, რომ, ვინაიდან, მოპასუხეები წარმოადგენდნენ ერთ ოჯახს, ისინი კომპაქტურად განსახლებულად ვერ ჩაითვლებოდნენ, ვინაიდან, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტად მიჩნევის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს დევნილთა ისეთი დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ისინი ორგანიზებულად იქნებოდნენ განსახლებული, ამ ობიექტში საცხოვრებელი ფართობების დევნილი ოჯახებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთრებაში გადაცემის ღონისძიებების დაწყებამდე/შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. პალატამ ასევე მიუთითა დევნილების მოწმობებში აღნიშნულ მისამართზე (სადაც საცხოვრებელ ადგილად მითითებულია ქ.თბილისი, ე-ს ქ. №11) და განმარტა, რომ დევნილის მოწმობა არის დოკუმენტი, რომლითაც პირს ენიჭება დევნილის სტატუსი და ის არ არის დევნილის საცხოვრებელი ადგილის განმსაზღვრელი თუ საცხოვრებელი ადგილის დაკავების უფლებამოსილების მიმნიჭებელი დოკუმენტი თანახმად „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა, შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ მხარემ ვერ უზრუნველყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მტკიცების ვალდებულების შესრულება და იმ გარემოების დადასტურება, რომ სადავო შენობა წარმოადგენდა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს. ქ.თბილისში, ე-ს ქ. №11-ში მდებარე მოსარჩელე შპს „კ. ს. მ-ის“ საკუთრებაში არსებული და მოპასუხეთა მიერ დაკავებული შენობა-ნაგებობა არ წარმოადგენს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53 მუხლის მე-2 პუნქტით და განმარტა, რომ მოპასუხეებს არ გააჩნიათ სადავო ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი, ისინი არ წარმოადგენენ დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტში განსახლებულ პირებს, მოპასუხეებს სადავო ფართი დაკავებული აქვთ თვითნებურად და, შესაბამისად, არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საფუძველები.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს უ. დ-მ, ნ. ბ-მ, ნ. დ-მ, ზ. დ-მ, ბ. დ-მ, შ. ყ-დ-მ, ე. დ-მ (კანონიერი წარმომადგენელი ბ. დ-ა) და ლ. დ-მ (კანონიერი წარმომადგენელი ბ. დ-ა), მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით კასატორების მიმართ მონინალმდევე მხარისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ სააპელაციო საჩივარი იმ მოტივით დააკმაყოფილა, რომ დევნილების: უ., ზ., ბ., ე. და ლ. დ-ის, ნ. ბ-ს, ნ. დ-სა და შ. ყ-ს ე-ს ქ. №11-ში განთავსებისას, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული მიმართვა, ანუ სახელმწიფო ორგანოს აქტი უნდა ყოფილიყო, რომლითაც გამოხატული იქნებოდა სახელმწიფოს ნება. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 1993-1994 წლებში აფხაზეთიდან დაახლოებით 300 000 დევნილი საჭიროებდა სახელმწიფოს მხრიდან სასწრაფო დაბინავებას, რა დროსაც, შესაძლოა, სახელმწიფომ დეტალურად არ გაატარა ფორმალური ადმინისტრაციული ღონისძიებები საცხოვრებელი ფართების გამოყოფასთან დაკავშირებით. სახელმწიფომ აღნიშნული შენობა აღიარა როგორც დევნილთა კომპაქტურად განსახლებული ობიექტი, რითაც გამოხატა ნება და დაადასტურა, რომ დევნილებმა იგი კანონიერად დაიკავეს. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები-

დან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლის ახსნა-განმარტება. სასამართლომ მიიჩნია, რომ დევნილები წარმოადგენს ერთ ოჯახს, რის გამოც ისინი კომპაქტურად განსახლებულად ვერ ჩაითვლებიან, რაც არასწორია, ვინაიდან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილიდან, ასევე, წერილზე დართული სახელობითი სიიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული პირები რეგისტრირებული არიან სხვადასხვა ოჯახის ნომრებით. დევნილთა საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრულია ე-ს ქ. №11-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, რასაც ადასტურებს დევნილთა მოწმობები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილები, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა. სასამართლომ არ გამოიყენა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ე-ს ქ. №11-ში არსებული შენობა-ნაგებობა არ წარმოადგენს დევნილთა კომპაქტურად განსახლებულ ობიექტს, ვინაიდან ისინი, მასში ორგანიზებულად არ არიან შესახლებული. საყურადღებოა, რომ კასატორები იღებენ კომპაქტურის შემწევობას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2011 წლის აგვისტოს №02/02-02/5670 და 2008 წლის 23 ივლისის №06/01-17/3884 წერილებით სახელმწიფომ დაადასტურა, რომ ქ.თბილისში, ე-ს ქ. №11-ში მდებარე შენობა-ნაგებობის დევნილთა კომპაქტურად განსახლებული ობიექტია. სასამართლომ კი არასწორად განმარტა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი. ქ.თბილისში, ე-ს ქ. №11-ში მდებარე შენობა-ნაგებობა წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას, სადაც 1994 წელს შესახლდნენ ზემოთ ხსენებული დევნილები, ხოლო 2007 წლის 26 დეკემბერს, პრივატიზაციის შედეგად, მისი მფლობელი გახდა შპს „კ. ს. მ-ა“, რომლის დირექტორიც არის დ. ი-ა და მან კარგად იცოდა, რომ აღნიშნულ შენობაში ცხოვრობდნენ აფხაზეთიდან დევნილები, ანუ მისთვის ცნობილი იყო შესყიდული ნივთის ნაკლი, რაც მან დაადასტურა კიდევ სასამართლო სხდომაზე. პალატამ არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის მე-2 ნაწილი, „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი. მყიდველის მიერ უნაკლო ნივთის მიღება დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ დევნილებთან წერილობითი შეთანხმების დადებაზე, დევნილებისათვის შესაბამისი ფართის გამოყოფაზე ან შესაბამისი კომპენსაციის გადახდაზე, რაც უნდა განხორციელდეს 2013 წლის ბოლომდე. სახელმწიფომ დევნილებს: უ., ზ., ბ., ე. და ლ. დ-ებს, ასევე ნ. ბ-ს, ნ. დ-სა და შ. ჟ-ს მისცა სადავო ფართის ფლობის უფლება და აღნიშნული უფლების კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს „იძულებით გადაადგილებული პირების-დევნილების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმადაც, დევნილები მაშინ დაკარგავენ აღნიშნული ობიექტის მართლზომიერი მფლობელის სტატუსს, როგორც კი სახელმწიფო მათ ალტერნატიულ ფართს ან ფართის სანაცვლო კომპენსაციას შესთავაზებს. ამჟამად დევნილთა გამოსახლება არ იქნება კანონიერი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის განჩინებით უ. დ-ს, ნ. ბ-ს, ნ. დ-ს, ზ. დ-ს, ბ. დ-ს, შ. ჟ-დ-ს, ე. დ-სა და ლ. დ-ს კანონიერ წარმომადგენელ ბ. დ-ს საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა, ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

**სამოტივაციო ნაწილი:**  
საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ უ. დ-ს, ნ. ბ-ს, ნ. დ-ს, ზ. დ-ს, ბ. დ-ს, შ. ჟ-დ-ს, ე. დ-სა (კანონიერი წარმომადგენელი ბ. დ-ა) და ლ. დ-ს (კანონიერი წარმომადგენელი ბ. დ-ა) საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე შპს „კ. ს. მ-ა“ ქ.თბილისში, ე-ს ქუჩა №11-ში მდებარე შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა. უფლების რეგისტრაცია განხორციელდა 2007 წლის 26 დეკემბერს.

ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, საკადასტრო რუკაზე ნაჩვენებ ორსართულიანი შენობა-ნაგებობა №1 მდებარეობს შპს „კ. ს. მ-ის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში (წითელ ხაზებში).

მონინალმდევე მხარეები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, დევნილები არიან და 1994 წლიდან ითვლებიან რეგისტრირებულად ე-ს ქ. №11-ში, როცა შენობა წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას.

უ. დ-ა, ნ. ბ-ა, ნ. დ-ა, ზ. დ-ა, ბ. დ-ა, შ. ჟ-დ-ა, ე. დ-ა (კანონიერი წარმომადგენელი ბ. დ-ა), ლ. დ-ა (კანონიერი წარმომადგენელი ბ. დ-ა) ერთი ოჯახის წევრები არიან.

სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო შენობა, მდებარე ე-ს ქ. №11-ში, წარმოადგენს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს.

სასამართლოს შეფასებით, დევნილის განსახლების თაობაზე უნდა არსებობდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც გამოვლენილი იქნება სახელმწიფოს ნება დევნილთა კომპაქტურად თუ ინდივიდუალურად განსახლების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი ნების გამომხატველი დოკუმენტი საქმეში არ არის წარმოდგენილი. ამასთან, მიუხედავად დევნილის მოწმობაში მითითებული სადავო მისამართისა, დევნილის მოწმობა არ არის ის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება დევნილის საცხოვრებელი ადგილი, ასევე დევნილის მოწმობა არ შეიძლება ჩაითვალოს საცხოვრებელი ადგილის დაკავების უფლებამოსილების მიმნიჭებელ დოკუმენტად.

სასამართლოს დასკვნით, მოპასუხეებს არ გააჩნიათ სადავო ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი, ისინი არ წარმოადგენენ დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტში განსახლებულ პირებს და მათ სადავო ფართი დაკავებული აქვთ თვითნებურად.

საკასაციო პალატა საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული პრეტენზიების მართებულობის შემოწმების მიზნით ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი განმარტებულია, როგორც დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ისინი ორგანიზებულად იქნენ განსახლებულნი, ამ ობიექტში საცხოვრებელი ფართობების დევნილი ოჯახებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთრებაში გადაცემის ღონისძიებების დაწყებამდე/შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. მოცემული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტის სტატუსისათვის რამდენიმე მახასიათებელი დაანუსა კანონდებელმა, კერძოდ, დევნილები ასეთ ობიექტში უნდა იქნენ განსახლებული დროებით, ორგანიზებულად, სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორთა პრეტენზიას იმ ნაწილში, რომლის თანახმადაც, სააპელაციო სასამართლომ შპს „კ. ს. მ-ის“ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა, მდებარე ქ.თბილისში, ე-ს ქ. №11-ში, არ მიიჩნია დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტად. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კასატორები სწორად ამახვილებენ ყურადღებას საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2008 წლის 23 ივლისის №06/01-17/3884 და 2011 წლის 5 აგვისტოს №02/02-02/5670 წერილებზე, სადაც სახელმწიფო, წარმოდგენილი კონკრეტული სამინისტროს სახით, ოფიციალურად ადასტურებს, რომ სადავო ნაგებობა სამინისტროს მონაცემთა ბაზის მიხედვით დაფიქსირებულია, როგორც დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, არ ემყარება ზემოთ დასახელებულ მტკიცებულებათა უარყოფას, რაც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები. ამასთან, სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული სააპელაციო პალატის არგუმენტი იმის შესახებ, რომ ვინაიდან უ. დ-ა, ნ. ბ-ა, ნ. დ-ა, ზ. დ-ა, ბ. დ-ა, შ. დ-ა, ე. დ-ა და ლ. დ-ა წარმოადგენენ ერთ ოჯახს, ისინი კომპაქტურად განსახლებულად ვერ ჩაითვლებიან.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სასარჩელო განცხადების ფაქტობრივ საფუძვლებზე, სადაც მოსარჩელე ზ., უ., ბ. დ-ებთან, ასევე შ. ა-სთან, ნ. ბ-სთან და ნ. დ-სთან მიმართებით ადასტურებს, რომ მათ 1994 წელს უფლება მიეცათ დროებით ეცხოვრათ სადავო ფართში. გარდა ამისა, მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე დასმულ კითხვაზე – პრივატიზაციის დროს იცოდა თუ არა ნივთის ნაკლის შესახებ, გასცა დადებითი პასუხი. მოსარჩელის აღნიშნული განმარტება თანხვედრაშია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლის პოზიციასთან, სადაც ეს უკანასკნელი განმარტავს შემდეგს: „ამ ობიექტში დევნილები შესული არიან 1994 წლიდან. 1996 წელს მოხდა აღწერა, აღიწერა ყველა დევნილი. დევნილები ობიექტზე შედიოდნენ ნებართვის საფუძველზე. მაშინ არც დევნილთა კანონი იყო, არც სამინისტრო არსებობდა, დევნილთა დასახლებას ახორციელებდნენ დევნილთა კომიტეტები. სახელმწიფო თავის ბალანსზე არსებულ შენობას უთმობდა. იმ დროს შესახლების აქტი არავის შეუდგენია. შემდეგ სახელმწიფო ობიექტის პრივატიზაცია მოხდა და გაიყიდა. სამწუხაროდ ხელშეკრულებაში არ იდებოდა პირობა, რომ დევნილებს კერძო პირები დააკმაყოფილებდნენ“. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში მაცხოვრებელ დევნილთა სახელობით სიაზე, სადაც სხვა პირებთან ერთად მოხსენიებულნი არიან ლ. და ე. დ-ები. ამდენად, თუ მხედველობაში მივიღებთ საქმეზე დადგენილ იმ უდავო გარემოებას, რომ ქ.თბილისში, ე-ს ქ. №11-ში მდებარე შპს „კ. ს. მ-ის“ ობიექტი 1994 წლისათვის არ იყო პრივატიზებული და წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, ხოლო მხარეები სადავოდ არ ხდიან კასატორთა სადავო ობიექტში 1994 წლიდან შესახლების ფაქტს, რჩება მხოლოდ ფორმალური საკითხი, ადმინისტრაციული აქტის არსებობა დევნილთა განსახლების თაობაზე. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ნება უნდა დადასტურდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს ამგვარი დასკვნა არ გამოდინარეობს კანონის პირდაპირი განმარტებიდან, ამასთან, სახელმწიფოს ნება არ არის აუცილებელი ყოველთვის წერილობითი დოკუმენტით დასტურდებოდეს, ასეთი ნება შეიძლება სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების ამა თუ იმ მოქმედებიდან იკვეთებოდეს. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მართალია სწორად დაადგინა მტკიცების საგანი და სწორად განსაზღვრა ის მხარე, ვინც უნდა ამტკიცოს სახელმწიფოს ნების არსებობა დევნილთა კომ-

პაქტურად განსახლების ობიექტში დევნილთა შესახებების თაობაზე, თუმცა, მხარეს დაუნესა მტკიცების მაღალი სტანდარტი, რომლის დაძლევა ფაქტობრივად შეუძლებელია და არ გამომდინარეობს მატერიალური სამართლის ნორმათა შინაარსიდან. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებმა სადავო ობიექტში სახელმწიფოს ნებართვის საფუძველზე მათ შესახებებისთან დაკავშირებით წარმოადგინეს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რის გამოც ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია დევნილის დაცვის მექანიზმები დროებით საცხოვრებელ ადგილზე. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ ხდება დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებიდან დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: ა) დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება მათ მიერ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში დაკავებული ფართობის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის ან სხვა მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთის მიღების თაობაზე; ბ) დევნილს გამოეყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება მისი საყოფაცხოვრებო პირობები; გ) ხდება სტიქიური ან ტექნოგენური მოვლენები, რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; დ) დევნილს ფართობი თვითნებურად, კანონის დარღვევით აქვს დაკავებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსარჩელის განმარტებით ზ. დ-ს, შ. ყ-ს, უ. დ-ს, ნ. ბ-ს, ნ. დ-ს და ბ. დ-ს 1994 წელს უფლება მიეცათ ეცხოვრათ სადავო ფართში. ამდენად დასახელებულ პირებთან დაკავშირებით, თვით მოსარჩელე უთითებს უფლების მართლზომიერად გამოყენებაზე, რაც შეეხება სხვა პირებს, მოსარჩელის განმარტებით მათ თვითნებურად დაიკავეს სადავო ფართი, რაც ვერ იქნება გაზიარებული ე. და ლ. დ-ებთან მიმართებაში, ვინაიდან აღნიშნული პირები წარმოადგენენ არასრულწლოვნებს, ხოლო სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლებების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა – მიუხედავად საცხოვრებელი ადგილი. გარდა ამისა, ე. და ლ. დ-ები შეყვანილი არიან დევნილთა სახელობით სიაში. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, კასატორებმა სადავო ფართის ფლობის მართლზომიერებასთან დაკავშირებით წარმოადგინეს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების შედეგი აისახება სასამართლოს დასაბუთებულ გადანყვეტილებაში, რომელიც უნდა შეიცავდეს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ იზიარებს ან რატომ უარყოფს სასამართლო ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამასთან, მტკიცებულებათა ყოველმხრივი დაყრდნობას, არამედ მათ ერთობლიობაში შესწავლა-ანალიზს, რომელთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე სასამართლო გამოიტანს დასკვნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები, რასაც შედეგად საქმის გარემოებების არასწორად დადგენა მოჰყვა. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ლი ნაწილი გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით უნდა შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო ამის შემდგომ უნდა შეამოწმოს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინება მოცემულ დავაზე არ წარმოადგენს საბოლოო, შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა

დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო სასამართლო ხარჯები მხარეთა შორის უნდა განაწილდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და

**ღ ა ა ღ გ ი ნ ა:**

1. უ. დ-ს, ნ. ბ-ს, ნ. დ-ს, ზ. დ-ს, ბ. დ-ს, შ. უ-დ-ს, ე. დ-ს (კანონიერი წარმომადგენელი ბ. დ-ა) და ლ. დ-ს (კანონიერი წარმომადგენელი ბ. დ-ა) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება**

**განჩინება**

№ას-526-836-09 14 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოსგამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეიძე

განმცხადებლის მოთხოვნა: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. დ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. და თ. უ-ეების, ყ. ხ-ის, ქ.ბათუმის ნოტარიუსების – ლ. ჭ-ა და ბ. კ-ის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულებებსა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ.ბათუმის ნოტარიუს ო. ჭ-ის მიერ 1999 წლის 23 აპრილს დამონმებულ ბ. კ-ასა და ა. უ-ეს შორის დადებულ სახლთმფლობელობის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ქ.ბათუმში, შ-ის ქ. №16-ში საერთო საკუთრების მინის ნაკვეთის ოდენობად მიეთითა 910 კვ.მ, ხოლო ნოტარიუს ლ. ჭ-ი მიერ 2003 წლის 1-ლ დეკემბერს დამონმებულ თ. გ-სა და თ. უ-ეს შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში და ქ.ბათუმში, შ-ის ქ. №16-ში თ. გ-ის საკუთრებად მიეთითა 910 კვ.მ მინის ნაკვეთი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ქ.ბათუმში, შ-ის ქ. №16-ში არსებულ საკუთრების მონაცემებში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, გაუქმდა თ. გ-ის, შემდეგ თ. უ-ისა საკუთრებაში გამოყოფილი 302 კვ.მ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღრიცხვა და ა. უ-ის, თ. უ-ის, ყ. ხ-ისა და გ. დ-ის საერთო საკუთრებად მიეთითა 910 კვ.მ მინის ნაკვეთი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. და თ. უ-ეების წარმომადგენელმა დ. შ-ემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აპრილის განჩინებით გ. დ-ის განცხადება დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ქალაქ ბათუმში, შ-ის ქ. №16-ში მდებარე ა. უ-ის საკუთრებად რიცხულ უძრავ ქონებას, რაც შეადგენს მთლიანი სახლთმფლობელობის 3/11-ე ნაწილს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე №3/ბ-149-2008წ., ა. და თ. უ-ეების სააპელაციო საჩივრის გამო, გადაეცა განსჯად სამოქალაქო საქმეთა პალატას. ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით თ. უ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინებით ა. უ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ცვლილება იქნა შეტანილი ქ.ბათუმის ნოტარიუს ო. ჭ-ის მიერ 1999 წლის 23 აპრილს დამონმებულ ბ. კ-ასა და ა. უ-ეს შორის დადებულ სახლთმფლობელობის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში და ქ.ბათუმში, შ-ის ქ. №16-ში საერთო საკუთრების მინის ნაკვეთის ოდენობად მიეთითა 910 კვ.მ მინა, ასევე მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ.

ხურს დაევალა შესწორების შეტანა ქ.ბათუმში, შ-ის ქ. №16-ში არსებულ საკუთრების მონაცემებში და თ. უ-ის, ა. უ-ის, ე. ხ-ისა და გ. დ-ის საერთო საკუთრებად მიეთითა 910 კვ.მ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. უ-ემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. უ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. გ. დ-ის სარჩელი ა. უ-ის მიმართ 1999 წლის 23 აპრილის ხ. კ-ასა და ა. უ-ეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2012 წლის 12 ნოემბერს ა. უ-ის წარმომადგენელმა ვ. ლ-ამ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აპრილის განჩინებით (№3ბ-149) გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ქალაქ ბათუმში, შ-ის ქუჩა №16-ში მდებარე ა. უ-ის საკუთრებად რიცხულ უძრავ ქონებას, რაც შეადგენს მთლიანი სახლთმფლობელობის 3/11-ე ნაწილს. ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე №3/ბ-149-2008წ., ა. და თ. უ-ეების სააპელაციო საჩივრის გამო, გადაეცა განსჯად სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ამავე საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №ას-526-836-09), ა. უ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. გ. დ-ის სარჩელი ა. უ-ის მიმართ 1999 წლის 23 აპრილის ხ. კ-ასა და ა. უ-ეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

განმცხადებელი მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების (ყადაღის) გაუქმებას იმ საფუძველზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის საბოლოო გადაწყვეტილებით გ. დ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991 მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. განსახილველ შემთხვევაში კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №ას-526-836-09) გ. დ-ის სარჩელი ა. უ-ის მიმართ 1999 წლის 23 აპრილის ხ. კ-ასა და ა. უ-ეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, დასაბუთებულია განმცხადებლის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. უ-ის წარმომადგენელ ვ. ლ-ას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აპრილის განჩინებით (№3ბ-149) გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, კერძოდ, მოეხსნას ყადაღა ქალაქ ბათუმში, შ-ის ქ. №16-ში მდებარე ა. უ-ის საკუთრებად რიცხულ უძრავ ქონებას, რაც შეადგენს მთლიანი სახლთმფლობელობის 3/11-ე ნაწილს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის სავატიო მიზეზი**

**განჩინება**

№ას-1110-1017-2010

3 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 14 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. ხ-ძემ მოპასუხე ი. ხ-ძის მიმართ და მოითხოვა შპს „...“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, აგრეთვე, მამის – ი. ხ-ძის დანაშაუთი ქონების 1/2 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ხ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი არბიტრაჟის 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, ნ. ხ-ძე ცნობილ იქნა ქუთაისში, ... №36-ში მდებარე სახლის 1/2 ნაწილის მესაკუთრედ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ხ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ი. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მის მიერ მიღებული 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ი. ხ-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტს დაევალა ხარვეზის შესავსებად სასამართლოში წარედგინა 600 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. მასვე განემარტა, რომ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში საჩივარი დარჩებოდა განუხილველად. 2010 წლის 5 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შევიდა ი. ხ-ძის განცხადება, რომლითაც განმცხადებელმა ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარების დაგვიანებით წარდგენის საპატიოდ მიჩნევა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლზე და განმარტა, რომ საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები. ამდენად, საპროცესო მოქმედებისათვის განსაზღვრული ვადა სასამართლოს შეუძლია აღადგინოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვადის აღდგენისათვის არსებობს საპატიო მიზეზი და ვადის აღდგენა არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ ნორმებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამომწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ობიექტური გარემოება უნდა იყოს განსაკუთრებული, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის მხარემ შეასრულოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი არ მიუთითებდა ისეთ განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებებზე, რასაც შეეძლო ი. ხ-ძისათვის ხელი შეეშალა საპროცესო მოქმედების შესრულებაში. ე.ი. ი. ხ-ძემ საპროცესო მოქმედება არ შეასრულა მასზე დამოკიდებული მიზეზით. ამდენად, იმის გამო, რომ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა არ იყო გამომწვეული საპატიო მიზეზით, ი. ხ-ძის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ ი. ხ-ძეს ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეუვსია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე, 374-ე მუხლების მიხედვით არსებული ვითარება იძლეოდა საფუძველს მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისათვის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. ხ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა.

კერძო საჩივრის თანახმად, აპელანტმა ი. ხ-ძემ 300 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა ხარვეზის შევსების ვადის გასვლამდე (ხარვეზის შევსების ვადა ამოიწურა 2010 წლის 4 ოქტომბერს), თუმცა შვილის ავადმყოფობის გამო 2010 წლის 5 ოქტომბრამდე მისი სასამართლოსათვის წარდგენა ვერ შეძლო. ამავე მიზეზით მან სასამართლოს დროულად ვერ წარუდგინა ბავშვის ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა. სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული განცხადების მიუხედავად, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარების ერთი დღის დაგვიანებით წარდგენა მიიჩნია არასაპატიოდ და ი. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ხ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა ი. ხ-ძის 5.10.2010წ. განცხადებაზე და მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის აღდგენის საფუძველი.

ზემოაღნიშნული განცხადებით აპელანტი ხარვეზის დროულად შეუვსებლობას ასაბუთებდა შემდეგი გარემოებებით: იგი უმუშევარია, იმყოფება ეკონომიურად მძიმე მდგომარეობაში, მის კმაყოფაზეა ცოლშვილი და დედა, რომლებიც ასევე უმუშევრები არიან. წარმოდგენილ კერძო საჩივარში კი ი. ხ-ძე ხარვეზის დაგვიანებით შევსების მიზეზად მიუთითებს 2010 წლის 4 ოქტომბრიდან 2010 წლის 8 ოქტომბრამდე (ხარვეზის შევსების ვადა ამოიწურა 2010 წლის 4 ოქტომბერს) დროის მონაკვეთში შვილის ავადმყოფობაზე, რის დასასაბუთებლადაც კერძო საჩივარს თან ერთვის შპს „ქუთაისის ბავშვთა №3 პოლიკლინიკის“ მიერ გაცემული ცნობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. საკითხს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად, ამავე ნორმის შესაბამისად, პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნას ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებლობის საპატიო მიზეზად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამომწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დანუსებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. დასახელებული საპროცესო ნორმის დანაწესიდან გამომდინარე ობიექტური გარემოება უნდა იყოს განსაკუთრებული, ისეთი, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის მხარემ შეასრულოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.

კერძო საჩივრის ავტორი ხარვეზის შევსების ვადის აღდგენის საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მას შვილის ავადმყოფობამ შეუშალა ხელი ხარვეზის დროულად შევსებაში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოება მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნება მიჩნეული საპროცესო მოქმედების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან უპირველესად, აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებაზე კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო სასამართლოსათვის წარდგენილ განცხადებაში არ უთითებდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხსენებულ განცხადებაში ი. ხ-ძე ხარვეზის დაგვიანებით შევსებას უკავშირებდა სრულიად სხვა მიზეზებს. აქედან გამომდინარე, არსებული ვითარება კერძო საჩივრის ავტორის მიერ დასახელებულ არგუმენტს არასარწმუნოს ხდის. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კერძო საჩივრის ავტორს, მისივე განმარტებით, ჰყავს ოჯახის წევრები (მეუღლე, დედა), რომლებიც არ მუშაობენ. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია, თუ რატომ არ შეეძლო კერძო საჩივრის ავტორს მისი ოჯახის წევრების მეშვეობით შეესრულებინა საპროცესო მოქმედება (სახელმწიფო ბაჟის ქვითარი წარედგინა სასამართლოში) ან აღნიშნულის თაობაზე დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის.

სადავო საკითხის შეფასებისას, მხედველობაშია მისაღები ასევე ის გარემოებაც, რომ ი. ხ-ძემ ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის გადაცილებით წარადგინა სახელმწიფო ბაჟის დაკისრებული თანხის (600 ლარი) მხოლოდ ნაწილი – 300 ლარი, ამასთან, განმცხადებელმა ითხოვა სახელმწიფო ბაჟის დანარჩენი ნაწილისაგან გათავისუფლება მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც გამოაქვს მოტივირებული განჩინება. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესავსებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. მოცემულ შემთხვევაში ი. ხ-ძემ ვერ უზრუნველყო წარმოდგენილი შუამდგომლობის შესაბამისი მტკიცებულებებით დასაბუთება, კერძოდ, მას სასამართლოსათვის არ წარუდგენია მტკიცებულებები, რაც მის მიერ სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლის არსებობას დაასაბუთებდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სა-

აპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი 5-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2010 წლის 30 სექტემბერს და დასრულდა 2010 წლის 4 ოქტომბერს, რომელიც იყო სამუშაო დღე – ორშაბათი. აღნიშნულ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამ ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს მისთვის დავალბული საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება გაუქმებას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### დ ა ა ღ გ ი ნ ა :

1. ი. ხ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### დაუსრულებელი გადაწყვეტილება

#### გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-125-119-2013

20 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, აუცილებელი გზით სარგებლობა

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით:

1. ნ. ფ-ის სარჩელი მოპასუხე გ. გ-ის მიმართ დაკმაყოფილდა: ა. გ. გ-ს დაევალა გორის რაიონის სოფელ ხ-ი მის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ღობის მოშლა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა; ბ. ნ. ფ-ის აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების მიცემა;

2. გ. გ-ის შეგებებული სარჩელი ნ. ფ-ის მიმართ მისი საკუთრების უკანონო სარგებლობისა და ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა: გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც ნ. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდებოდა ნაწილობრივ, მას მიეცემოდა აუცილებელი გზით სარგებლობის უფლება გ. გ-ის სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთის 1.4 მეტრზე, შესაბამისად, ნ. ფ-ის მიწის ნაკვეთიდან საჯარო გზამდე მისასვლელი 1.6 მეტრი სიგანის მქონე გზა გაიზრდებოდა 3 მეტრამდე გ. გ-ის სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთის 1.4 მეტრის ხარჯზე. ამასთან, ნაწილობრივ დაკმაყოფილდებოდა გ. გ-ის შეგებებული სარჩელი და ნ. ფ-ს აეკრძალებოდა აუცილებელი გზის გარდა მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის სხვა ნაწილით უკანონო სარგებლობა, უკანონო ხელშეშლა.

სააპელაციო საჩივრის მოტივები:

1. ნ. ფ-ის მიერ სადავოდ ქცეული ფართი საკუთრების უფლებით ეკუთვნის გ. გ-ს და არ წარმოადგენს ე.წ. „საუბნო გზას“;

2. ნ. ფ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საჯარო გზასთან დამაკავშირებელი გზის სიგანე შეადგენს 1.6 მეტრს;

3. საჯარო გზასთან სახლის სრულფასოვანი კავშირისთვის აუცილებელი გზის სიგანე უნდა იყოს 2.75 და 3 მეტრამდე;

4. გ. გ-ს თმენის ვალდებულება უნდა დაეკისროს მხოლოდ მის საკუთრებაში რიცხული მიწის ნაკვეთის 1.4 მეტრზე, ვინაიდან ნ. ფ-ს ისედაც გააჩნია საჯარო გზასთან დამაკავშირებელი აუცილებელი გზა, რომლის სიგანეც 1.6 მეტრია;

5. ნ. ფ-ი უკანონოდ სარგებლობს გ. გ-ის მიწის ნაკვეთით, რითაც მესაკუთრეს ხელი ეშლება მისი კუთვნილი ქონებით სარგებლობაში. ნ. ფ-ს უნდა აეკრძალოს აუცილებელი გზის გარდა მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის სხვა ნაწილით უკანონო სარგებლობა და გ. გ-ის უკანონო ხელშეშლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გორის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება:

1. ნ. ფ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მიეცა აუცილებელი გზით სარგებლობის უფლება გ. გ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის 1.4 მეტრზე, შესაბამისად, ნ. ფ-ის მიწის ნაკვეთიდან საჯარო გზამდე მისასვლელი 1.6 მეტრი სიგანის მქონე გზა გაიზარდა 3 მეტრამდე გ. გ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის სარგებზე;

2. გ. გ-ის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნ. ფ-ს აეკრძალა, აუცილებელი გზის გარდა, გ. გ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის სხვა ნაწილით უკანონო სარგებლობა და უკანონო ხელშეშლა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად დაედო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის – ნ. ფ-ის გამოუცხადებლობა, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გაეგზავნა აპელანტ გ. გ-ის სააპელაციო საჩივრის, თანდართული დოკუმენტების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 26 სექტემბრის განჩინების ასლები და სასამართლო უწყება 2012 წლის 31 ოქტომბრის სასამართლო სხდომის თაობაზე. გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2012 წლის 31 ოქტომბერს ნ. ფ-ის სახელზე გზავნილი ჩაბარდა მის რძალს – მ. მ-ს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ითვლებოდა უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აპელანტის მოთხოვნაზე და მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ მითითებული და მისი მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე, 174-ე და 180-ე მუხლების შესაბამისად იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით სადავოდ გახადა ნ. ფ-ის წარმომადგენელმა გ. გ-მა და მოითხოვა ამ გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის განჩინებით ნ. ფ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

უწინარესად, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა საჩივრის ავტორის არგუმენტზე, რომლის მიხედვითაც, გამოუცხადებელი მხარე მინვეული არ იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით – მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის უცნობი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2012 წლის 31 ოქტომბერს დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალების თანახმად, ნ. ფ-ს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაეგზავნა აპელანტ გ. გ-ის სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 სექტემბრის განჩინება და სასამართლო უწყება 2012 წლის 31 ოქტომბრის სასამართლო სხდომის თაობაზე. სასამართლო გზავნილი შეიცავდა იმ დოკუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც ადრესატს გაეგზავნა. გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდებოდა, რომ ნ. ფ-ის სახელზე გზავნილი ჩაბარდა რძალს – მ. მ-ს 2012 წლის 31 ოქტომბერს. შეტყობინების დასტურებზე გზავნილის მიმღები პირის მონაცემები მითითებულია გარკვევით. გარკვევითაა მითითებული გზავნილის ჩაბარების თარიღი, ადრესატთან დამოკიდებულება და ჩამბარებელი პირის პირადი ნომერი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის, ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შინაარსზე და დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე ნ. ფ-ს გზავნილი ჩაბარდა დადგენილი წესით. საყურადღებო იყო ის ფაქტიც, რომ გზავნილის ჩაბარების შემდგომ სასამართლოს მიერ დადგენილ 10-დღიან ვადაში წარდგენილ იქნა ნ. ფ-ის შესაგებელი გ. გ-ის სააპელაციო საჩივარზე, რაც ასევე მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ნ. ფ-ის ოჯახის წევრმა შეასრულა ვალდებულება გზავნილის ადრესატისათვის გადაცემის შესახებ.

საჩივრის ავტორი ადასტურებდა სააპელაციო საჩივრის და თანდართული დოკუმენტების მხარის მიერ ჩაბარებას, თუმცა მიუთითებდა, რომ გზავნილში წარდგენილი არ იყო სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ განჩინება და სასამართლო უწყება. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. ფ-ის სახელზე სასამართლო გზავნილი შეიცავდა იმ დოკუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც ადრესატს გაეგზავნა, ანუ, ადრესატი ინფორმირებული იყო, რა დოკუმენტები იყო მოთავსებული სასამართლოს გზავნილში. შესაბამისად, თუ მხარე მიიჩნევდა, რომ რაიმე დოკუმენტი არ გადაეცა, მას ამის შესახებ უნდა ეცნობებინა სასამართლოსათვის. ასეთი პრეტენზია ნ. ფ-ს კანონით დადგენილ ვადაში წარ-

მოდგენილ შესაგებელში არ გამოუთქვამს. შესაბამისად, ადრესატის ოჯახის წევრის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში მითითებული გარემოების სანინაალმდეგოს მტკიცების ტვირთი საჩივრის ავტორს უნდა დაკისრებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს სასამართლოსათვის არანაირი მტკიცებულება არ წარუდგენია მის მიერ მითითებული გარემოების დასადასტურებლად და მხოლოდ სიტყვიერი განმარტებით შემოიფარგლა, რაც არ იყო საკმარისი სადავო გარემოების დადასტურებულად მიჩნევისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ფ-ს კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლოს სხდომის თარიღის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლოს სხდომის თაობაზე ინფორმაცია უნდა მიენოდებინა ასევე აპელანტის წარმომადგენლისათვის. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამდენად, სასამართლოს ეკისრებოდა ვალდებულება, უწყება გაეგზავნა მხარის ან მისი წარმომადგენლისათვის და არა ორივე მათგანისათვის. ამასთან, მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რომელ მათგანს გაეგზავნებოდა უწყება, ვინაიდან ერთ-ერთისათვის უწყების ჩაბარება ჩაითვლებოდა მხარისათვის უწყების ჩაბარებად.

სააპელაციო სასამართლომ ასევე ვერ გაიზიარა საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მხარის დაბარება პირველ რიგში უნდა განხორციელებულიყო ტექნიკური საშუალებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით ვერ მოხდებოდა დაკავშირება, სასამართლოს გზავნილი უნდა გაეგზავნა ფოსტის მეშვეობით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცვას თანამიმდევრობა. სასამართლომ დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩააბაროს ასევე სასამართლოს შენობაში. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ ნ. ფ-ი წარმოადგენდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც უნდა ჩაბარებოდა სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, რაც გამოორიცხავდა მხოლოდ ტექნიკური საშუალებით გზავნილის ჩაბარების შესაძლებლობას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული, დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

დასახელებული განჩინება დაუსრულებელ გადაწყვეტილებასთან ერთად საკასაციო წესით გაასაჩივრეს: ნ. ფ-მა, თ. ფ-მა და მ. თ-მა (წარმომადგენელი გ. გ-ი), რომლებიც მოითხოვენ გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნებას შემდეგი საფუძველებით:

მართალია, ნ. ფ-ს 2012 წლის 26 სექტემბერს ჩაბარდა გ. გ-ის სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები (რაზეც მან წარადგინა კიდევ სააპელაციო შესაგებელი), მაგრამ არ ჩაბარებია სასამართლო უწყება და განჩინება სასამართლო სხდომის თაობაზე. უფრო მეტიც, უწყება არ ჩაბარებია კასატორის წარმომადგენელს;

სასამართლო უწყების გაგზავნა კურიერის (რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი) ან ფოსტის მეშვეობით ისეთ დროს ხორციელდება, როდესაც სასამართლოსაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუძლებელი გახდება ტექნიკური საშუალებით შეტყობინება. ასეთი შეუძლებლობის არსებობა საქმეზე არ დგინდება;

გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს შეცვლის დასაბუთება და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი, ვინაიდან გაურკვეველია, ეთანხმება თუ არა სააპელაციო სასამართლო რაიონული სასამართლოს ცალკეულ შეფასებას საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. დაუსრულებელი გადაწყვეტილების და საჩივრის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭებინა იმ საკითხის შემოწმებისათვის, ნამდვილად ამართლებდნენ თუ არა გ. გ-ის მიერ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად მის მოთხოვნას, რაც სააპელაციო სასამართლომ არ განახორციელა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა;

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანალიზა სასამართლო ხარჯები, კერძოდ, სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი მთლიანად აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს დააკისრა, ამასთან, არ იმსჯელა მოსარჩელის მიერ გადახდილი ექსპერტიზის ხარჯების განაწილების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განჩინებით თ. ფ-სა და მ. თ-ის საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, ხოლო, ნ. ფ-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და დადგინდა საქმის ზეპირი მონმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ფ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მონინალმდეგე მხარე, რის გამოც სასამართლომ მის წინააღმდეგ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილში მოცემულია იმ შემთხვევების ჩამონათვალი, რომელთა არსებობის დროს დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, კერძოდ, აღნიშნული ნორმის მიხედვით, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებების გამოტანა დაუშვებელია, თუ:

- ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;
- ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;
- გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;
- დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

მოცემულ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად საკასაციო საჩივარში მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ კასატორი (აპელანტის მონინალმდეგე მხარე – მოპასუხე) საქმის განხილვაში მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, კერძოდ, მას არ ჩაბარებია სასამართლო უწყება და განჩინება სასამართლო სხდომის დანიშვნის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის მიხედვით, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებულმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით, კერძოდ, საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით ირკვევა, რომ აპელანტის მონინალმდეგე მხარის – ნ. ფ-ის ოჯახის წევრს (რძალს), მ. მ-ს, ჩაბარდა არამართო სააპელაციო საჩივრის ასლი, არამედ ასევე სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 26 სექტემბრის განჩინება სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის თაობაზე, ასევე სასამართლო უწყება. ამდენად, სასამართლომ მიერ დაცულია აპელანტის მონინალმდეგე მხარისათვის უწყების ჩაბარების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული წესი. ამასთან, საკასაციო პალატა მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ აპელანტის მონინალმდეგე მხარისათვის განკუთვნილი სასამართლო გზავნილი შეიცავდა იმ დოკუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც მას კურიერის მეშვეობით გაეგზავნა, ანუ, ეს უკანასკნელი ინფორმირებული იყო გზავნილში მოთავსებული დოკუმენტების თაობაზე. შესაბამისად, თუ მას მიაჩნდა, რომ გზავნილში მითითებულიდან, რომელიმე დოკუმენტი არ გადასცემია, ამის შესახებ უნდა ეცნობებინა სასამართლოსათვის. ასეთი პრეტენზია მხარეს მის მიერ წარმოდგენილ შესაგებელში არ გამოუთქვამს. ამდენად, ადრესატის ოჯახის წევრის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში მითითებული გარემოების საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი საჩივრის ავტორს ეკისრებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს სასამართლოსათვის არანაირი მტკიცებულება არ წარუდგენია მის მიერ მითითებული გარემოების დასადასტურებლად და მხოლოდ სიტყვიერი განმარტებით შემოიფარგლა, რაც არ იყო საკმარისი სადავო გარემოების დადასტურებულად მიჩნევისათვის.

საფუძველსაა მოკლებული კასატორის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ უწყება უნდა ჩაბარებოდა ასევე მხარის წარმომადგენელს. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის მიხედვით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს. მითითებული ნორმა სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას უწყება გაუგზავნოს მხარეს ან მის წარმომადგენელს, ხოლო, ერთ-ერთი მათგანისათვის ჩაბარება მიიჩნეოს, როგორც მხარისათვის, ასე-

ვე წარმომადგენლისათვის ჩაბარებად. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მხარეს უწყება ჩაბარდა, შესაბამისად, მიიჩნევა, რომ უწყება ჩაბარდა მხარის წარმომადგენელსაც.

კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს იგი უნდა დაებარებინა ტექნიკური საშუალების გამოყენებით, ვინაიდან, მისი მოსაზრებით, სასამართლო უწყების გაგზავნა კურიერის ან ფოსტის მეშვეობით ისეთ შემთხვევაში ხორციელდება, როდესაც სასამართლოსაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუძლებელი ხდება მხარისათვის ტექნიკური საშუალებით შეტყობინება. საკასაციო სასამართლო კასატორის ამ მოსაზრებას არ იზიარებს და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, ფაქსით, სხვა ტექნიკური საშუალებით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით, ხოლო, ამავე კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცვას თანამიმდევრობა. ამდენად, ზემოთ დასახელებული საპროცესო ნორმებიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ სასამართლო თავად წყვეტს საკითხს იმის თაობაზე, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს და არ არის ვალდებული, დაიცვას თანამიმდევრობა. ამასთან, უწყების გაგზავნის რომელი ფორმაც არ უნდა გამოიყენოს სასამართლომ, მთავარია, უზრუნველყოს მხარის დროული ინფორმირება ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეს უწყება ჩაბარდა და მოხდა მისი ინფორმირება სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის თაობაზე, შესაბამისად, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ კანონით გათვალისწინებული რომელი ფორმით გააკეთა ეს სასამართლომ.

კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად უთითებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არსებითი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია იმ საკითხის გარკვევისათვის, იურიდიულად ამართლებდა თუ არა სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები სააპელაციო მოთხოვნას, რითაც სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს შემდეგს:

სასამართლო სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის (სააპელაციო მოპასუხის) გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ სააპელაციო მოსარჩელის (აპელანტის) მიერ მითითებული გარემოებების იურიდიულ შესაბამისობაზე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებით, თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230.2 და 387.2 მუხლებსა. სააპელაციო სასამართლო ამონიშნებს გადაწყვეტილებას არა მარტო სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პრეზუმფციასაც ეფუძნება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მიიჩნევა დამტკიცებულად და, თუ ისინი იურიდიულად ასაბუთებენ აპელანტის მოთხოვნას, სასამართლო დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო.

განსახილველ შემთხვევაში, აპელანტმა სააპელაციო საჩივარსა და თავის ახსნა-განმარტებაში მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

1. ნ. ფ-ის მიერ სადავოდ ქცეული მიწის ფართი საკუთრების უფლებით ეკუთვნის გ. გ-ს და არ წარმოდგენს ე.წ. „საუბნო გზას“;

2. ნ. ფ-ი უკანონოდ სარგებლობს გ. გ-ის მიწის ნაკვეთით, რითაც მას ხელი ეშლება მისი კუთვნილი ქონებით სარგებლობაში.

3. ნ. ფ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საჯარო გზასთან დამაკავშირებელი გზის სიგანე შეადგენს 1.6 მეტრს, შესაბამისად, ამ უკანასკნელს გააჩნია საჯარო გზასთან დამაკავშირებელი აუცილებელი გზა, რომლის სიგანეც 1.6 მეტრია;

4. საჯარო გზასთან სახლის სრულფასოვანი კავშირისთვის აუცილებელი გზის სიგანე უნდა იყოს 3 მეტრამდე, შესაბამისად, გ. გ-ს თემის ვალდებულება უნდა დაეკისროს მხოლოდ მის საკუთრებაში რიცხული მიწის ნაკვეთის 1.4 მეტრზე.

სააპელაციო საჩივარში მითითებული ზემოაღნიშნული გარემოებების გაქარწყლების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა სააპელაციო მოპასუხეს (ნ. ფ-ს), მაგრამ, ვინაიდან იგი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, ამიტომ ასეთ შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო. ასეთ ვითარებაში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად (დამტკიცებულად) გ. გ-ის სააპელაციო საჩივარსა და ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოებები, რომლებიც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იურიდიულად ამართლებენ აპელანტის მოთხოვნას, სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე, 174-ე და 180-ე მუხლების შესაბამისად.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა სასამართლო ხარჯები, კერძოდ, სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი მთლიანად აპელანტის მოწინააღმდეგე

მხარეს დააკისრა, ამასთან, არ იმსჯელა მოსარჩელის მიერ გადახდილი ექსპერტიზის ხარჯების განაწილების თაობაზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, თუმცა იგი არსებითად სწორია და, შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მითითებული ნორმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი ვალდებულია, შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც. ამ დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო სააპელაციო წარმოების დროს გაღებული ხარჯი, არამედ, ის ხარჯიც, რომელიც გაიღეს მხარეებმა ქვემდგომ ინსტანციებში საქმეთა განხილვისას. აქედან გამომდინარე, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ხარჯების განაწილების თაობაზე, ვინაიდან სასამართლომ მხარეთა შორის განაწილა მხოლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. ფ-ს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს 120 ლარი. მას გადახდილი აქვს ასევე ექსპერტიზის ხარჯი 500 ლარი, სულ – 620 (120+500) ლარი. გ. გ-ს შეგებებულ სარჩელზე გადახდილი აქვს 120 ლარი, ხოლო, სააპელაციო საჩივარზე 160 ლარი. მას გადახდილი აქვს ასევე ექსპერტიზის ხარჯი 800 ლარი, სულ – 1080 (120+160+800) ლარი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან ნ. ფ-ის სარჩელის მთავარი მოთხოვნა იყო აუცილებელი გზა და იგი დაკმაყოფილდა, ასევე დაკმაყოფილდა გ. გ-ის შეგებებული სარჩელი, ამიტომ ზემოაღნიშნული ხარჯები სააპელაციო სასამართლოს თანაბრად უნდა გაენაწილებინა მხარეთა შორის. კერძოდ, გ. გ-ს ნ. ფ-ის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 310 (620:2) ლარის გადახდა, ხოლო, ნ. ფ-ს გ. გ-ის სასარგებლოდ – 540 (1080:2) ლარის გადახდა. ამასთან, ვინაიდან ნ. ფ-ის მოთხოვნის მოცულობა ნაკლები იყო გ. გ-ის მოთხოვნის მოცულობაზე, სასამართლოს ეს მოთხოვნები უნდა გაექვეთა და საბოლოოდ ნ. ფ-ის გ. გ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისრებინა 230 (540-310=230) ლარის გადახდა. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ნ. ფ-ს გ. გ-ის სასარგებლოდ დაკისრებული აქვს 160 ლარის გადახდა, ანუ იმაზე ნაკლები, რაც უნდა დაკისრებოდა, მაგრამ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა იმ ნაწილში, რომელიც კასატორის სასარგებლოდაა გამოტანილი, იქნებოდა კასატორის საუარესოდ შებრუნება, რაც დაუშვებელია, რადგან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც კასატორი მოითხოვს (სსკ-ის 404.1 მუხლი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საკასაციო საჩივარში მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, ამასთან, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის განხილვასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ გაღებული ხარჯების განაწილების ნაწილში, არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ფ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2012 წლის 12 დეკემბრის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## შესაბეაღლის წარუდგენლობა

### განჩინება

№ას-1532-1435-2012 24 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოსგამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. დ-მა დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს სს „კ. ე-სა“ და დ. ს-ის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 1725 ლარის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, მას მოპასუხეთა უკანონო ქმედებით მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, უკანონოდ შეუდგინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის საფუძველზეც იგი 600 ლარით დაჯარიმდა. თავისი სიმართლის დადგენისთვის, სამართალდამრღვევის გამოვლენისთვის მან გასწია გარკვეული ხარჯები, კერძოდ, გ. დ-ს თავისი შელახული უფლებების დასაცავად უხდებოდა სასამართლოში სიარული, რისთვისაც ცდებოდა თავის ყოველდღიურ საქმიანობას და ხშირად მიდიოდა ავტომანქანით დედოფლისწყაროში, იღებდა სანავის ხარჯს, იხდიდა სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟს, თავისი ინტერესების დასაცავად ემზადებოდა ბიბლიოთეკაში.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით გ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით გ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 20 თებერვალს სს „კ. ე-ის“ შიდა კონტროლისა და უსაფრთხოების საპატრულო სამსახურის თანამშრომელმა გ. დ-ის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ელექტროენერჯის დატაცების ფაქტზე შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. 2009 წლის 11 მარტის დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს დადგენილებით გ. დ-ი ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის (ელექტროენერჯის დატაცებისთვის) და სახდელად დაეკისრა ჯარიმა 600 ლარი. აღნიშნული დადგენილება გ. დ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 იანვრის კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით გ. დ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 მარტის დადგენილება იმ საფუძველით, რომ გ. დ-ი მოიხმარდა ელექტროენერჯიას აღრიცხვის წესების დარღვევით, საცხოვრებელ ბინაში საჭირო ხაზიდან მრიცხველის გარეშე. აბონენტი აღრიცხვაზე არ იყო აყვანილი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით დადასტურებულია სს „კ. ე-ის“ შიდა კონტროლისა და უსაფრთხოების საპატრულო სამსახურის თანამშრომლის მიერ გ. დ-ის მიმართ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის კანონიერება, ამდენად, მოპასუხეს მოსარჩელისათვის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ზიანი არ მიუყენებია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობების ერთობლიობა, კერძოდ, საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ზიანი მიყენებულია მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს მიუძღვის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ საქმე მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენის გარეშე განიხილა. სააპელაციო სასამართლომ ასევე

არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა №000337 ოქმი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით და იურიდიული ძალა არ გააჩნია. სასამართლოს ასევე გამორჩა მხედველობიდან, რომ უკანონოა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 მარტისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 26 იანვრის დადგენილებები. ელექტროენერგია მრიცხველის გარეშე სერვისცენტრის მონტაჟორმა შეაერთა სახლის დამქირავებელ დ. გ-ის თხოვნით. სერვისცენტრისთვის ცნობილი იყო მრიცხველის არარსებობის შესახებ, მაგრამ მათ შესაბამისი ზომები არ მიუღიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებულნი განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ გ. დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება ვახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო ამ შემთხვევაში იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე მონინალმდევე მხარის მიერ შესაგებლის წარდგენი გარეშე განიხილა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შესაგებლის შეტანა მხარის დისპოზიციურ უფლებათაგან ერთ-ერთია, მაგრამ მისი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შეუტანლობა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მიხედვით, საქმეს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამზადებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე (მომხსენებელი მოსამართლე), რომელიც ამონიშნავს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება, გადაუგზავნის მონინალმდევე მხარეს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და აღნიშნავს მას ვადას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად.

იმავე კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამომწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დაკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ სააპელაციო ინსტანციაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი. მითითებული მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. აღნიშნული ნორმით დადგენილი „ყველა სხვა შემთხვევა“ კი გულისხმობს აპელანტის მონინალმდევე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასაც.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მონინალმდევე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა ავტომატურად დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას არ ნიშნავს, კერძოდ, იმავე 232<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მონინალმდევე მხარე სააპელაციო სასამართლოში შესაგებელს არ წარადგენს და სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს, იგი ნიშნავს სხდომას. აღნიშნულ სხდომაზე აპელანტის მონინალმდევე მხარე უფლებამოსილია მხოლოდ სამართლებრივი მოსაზრებები გამოთქვას გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივ საფუძველებს იგი სადავოდ ვერ გახდის, რის შესახებაც სასამართლომ მხარეს უნდა განუმარტოს. ამგვარი განმარტება სხდომის ოქმით უნდა დასტურდებოდეს, გარდა ამისა, შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს, რის საფუძველზე მიიჩნია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებლად. გადაწყვეტილებაში უნდა იყოს ასახული, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს უნდა განეხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და შეეფასებინა, გ. დ-ის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებდა თუ არა. ბუნებრივია, სასამართლო შესაძლოა, მისულყოფილ დასკვნამდე, რომ გ. დ-ის მოთხოვნა არ იყო იურიდიულად ამართლებული, მაგრამ აღნიშნული გარემოების თაობაზე მას გასაჩივრებულ განჩინებაში უნდა ემსჯეულა, რაც სააპელაციო სასამართლოს არ შეუძლებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობების არსებობა, გამოიკვილოს გ. დ-ის მიერ მითითებული გარემოებები აპელანტის მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს თუ არა და დავა შესაბამისად გადაწყვიტოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

#### და ა დ ბ ი ნ ა :

1. გ. დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### მხარეთა გამოუცხადებლობა

#### ბანჩინება

№ას-899-939-2011

11 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა რ. ჭ-ძემ მოპასუხე მ. მ-შვილის მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: 2007 წლის 4 მაისს მოპასუხეს ასესხა 7000 აშშ დოლარი 3 თვის ვადით თვეში 3%-ის დარიცხვით. მოპასუხემ, სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დატვირთა მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქუთაისში, ... გამზირის №17-ში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისაგან სესხის ძირითადი თანხის 7000 აშშ დოლარისა და პროცენტის 210 აშშ დოლარის ანაზღაურება, ხოლო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კი, იპოთეკით დატვირთულ საცხოვრებელი ბინის იძულებითი რეალიზაცია მოითხოვა.

მოპასუხე მ. მ-შვილმა სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლებით: როდესაც გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რ. ჭ-ძემ გადასცა 5200 აშშ დოლარი, 800 აშშ დოლარი დაიტოვა მომსახურების საფასურად და იგი ყოველთვიურად იხდიდა 6000 აშშ დოლარის 8%-ს, გადახდილი აქვს 9600 აშშ დოლარი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით რ. ჭ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე მ. მ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 7000 აშშ დოლარისა და ყოველთვიურად 210 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა თანხის საბოლოო გადახდამდე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-შვილმა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისის განჩინებით მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-შვილმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განჩინებით მ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 აპრილის განჩინებით განუხილველად დარჩა მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი შემდეგი დასაბუთებით: 2011 წლის 27 აპრილს, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი და მისი წარმომადგენე-

ლი მ. ნ-ძე, რომელიც სასამართლო სხდომაზე მოწვევისა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე გაფრთხილებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. აპელანტი რაიმე შეტყობინებით გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე სასამართლოსთვის არ მიუმართავს. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მონინაალმდევე მხარის წარმომადგენელმა უარი განაცხადა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე და საქმის განხილვის გადადებაზე და იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის და მესამე ნაწილის, 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-შვილის წარმომადგენელმა მ. ნ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: 2011 წლის 27 აპრილს მონაწილეობას ღებულობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სამოქალაქო საქმის განხილვაში, სადაც წარმომადგენელმა მ. ა-იას ინტერესებს, რაც დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული ცნობით, შესაბამისად ვერ შეძლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადება. ამასთან, სასამართლო სხდომამდე იყო წინასააღდგომო დასვენების დღეები და ვერ შეძლო წერილობით ეცნობებინა აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინაალმდევე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი ნაწილადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომაზე იმ აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, სასამართლო მონინაალმდევე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მონინაალმდევე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მ. მ-შვილის წარმომადგენელ მ. ნ-ძეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მას 2011 წლის 27 აპრილის სასამართლო სხდომის თაობაზე კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, თუმცა საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა და სააპელაციო პალატას არც თავისი გამოუცხადებლობის შესახებ აცნობა.

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მ. მ-შვილის წარმომადგენელს სასამართლო პროცესზე თავისი გამოუცხადებლობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებული საპატიო მიზეზის არსებობა არ დაუდასტურებია, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება და ასეთი შეუსრულებლობის მიზეზი საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ობიექტურად დაუძლეველი გარემოების არსებობის შემთხვევაში.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების საფუძველად მიუთითებს, იმ გარემოებაზე, რომ ის მონაწილეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2011 წლის 27 აპრილს გამართულ სასამართლო სხდომაზე და ვერ შეძლო სააპელაციო სასამართლოში გამოცხადება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მ. ნ-ძეს შეეძლო აღნიშნულის თაობაზე ეცნობებინა სასამართლოსათვის ან როგორც აპელანტის წარმომადგენლის სტატუსით საქმის განხილვაში მონაწილე სუბიექტს, უნდა უზრუნველყო თავისი მარწმუნებლის მ. მ-შვილის სასამართლო პროცესის თაობაზე გაფრთხილება, რასაც მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მეორე მხარის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მხარეთა გამოუცხადებლობა

### განჩინება

№ას-1269-1289-2011

24 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ს-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ მცხეთის №1 საჯარო სკოლის მიმართ ქ. მცხეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2010 წლის 2 აგვისტოს № ... ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის გამო.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აპრილის განჩინებით მ. ს-ის სააპელაციო საჩივარი სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, ხოლო ამავე სასამართლოს 2011 წლის 28 ივნისის განჩინებით მ. ს-ის სააპელაციო საჩივარი მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, დატოვებულ იქნა განუხილველად შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ მიუთითა საქმეში არსებულ გზავნილის ჩაბარების თაობაზე შეტყობინების ბარათებზე, რომლითაც დასტურდება, რომ უწყება აპელანტ მ. ს-ეს პირადად ჩაბარდა 2011 წლის 4 ივნისს და მოწინააღმდეგე მხარეს – მცხეთის №1 საჯარო სკოლას – 13 ივნისს, სასამართლომ მითითა იმ გარემოებაზეც, რომ მხარეებს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ სააპელაციო პალატისათვის არ უცნობებიათ, რის გამოც სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე, 231-ე მუხლებით, 275-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით და ჩათვალა, რომ არსებობდა მოცემული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ს-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მიმდინარე წლის ივნისის თვეში მას გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა და ექიმის კონსულტაციით მკურნალობდა შინ დიაგნოზით – ალერგიული დერმატიტი. სასამართლოს ხდომის დღეს იყო შეუძლოდ და ვერ შეძლო პროცესზე გამოცხადება. მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდა არა სანოტარო წესით გაცემული მინდობილობის, არამედ ორდერის საფუძველზე და, მხარის გამოუცხადებლობის გამო, ადვოკატი ვერ შეძლებდა მისი ინტერესების დაცვას. მ. ს-ის განმარტებით, ის ცდილობდა მოსამართლის თანაშემწესთან დაკავშირებას, რაც ვერ მოახერხა.

კერძო საჩივრის ავტორმა ასევე წარმოადგინა კანისა და ვენ.სნეულებათა ს/კ ინსტიტუტის პროფესორ გ. თ-ის სახელით გაცემული მკურნალობის დანიშნულების, ქ.თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 კლინიკის ანალიზის პასუხებისა და ქირურგ კ. დ-ის სახელით გაცემული სამკურნალო დანიშნულები ასლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინებით „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა, ხოლო მოცემული კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომხების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ს-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება და არც კერძო საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ, რომ 2011 წლის 28 ივნისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის თაობაზე აპელანტსა და მის მოწინააღმდეგე მხარეს ეცნობათ სასამართლო უწყებით. უწყება აპელანტს ჩაბარდა პირადად 2011 წლის 4 ივნისს, ხოლო ქ. მ-ის №1 საჯარო სკოლას – 13 ივნისს. სასამართლო სხდომის ოქმით ასევე დასტურდება და ამ ფაქტს იზიარებს მ. ს-ეც, რომ 2011 წლის 28 ივნისს 11:20 საათზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მხარეები არ გამოცხადებულან და მათ გამოუცხადებლობის თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებიათ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლზე, რომლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დადგენილია აპელანტისა და მისი მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, თუ ამას გამოცხადებული მხარე მოითხოვს, ხოლო მითითებული ნორმის მე-3 ნაწილით კი, დადგენილია, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

ამავე კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. ანალოგიული შინაარსისაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

მოცემულ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს რა ის გარემოება, რომ აპელანტი და მისი მოწინააღმდეგე მხარე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულან, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა კანონის ზემოაღნიშნული ნორმებით და სწორად დატოვა განუხილველად სააპელაციო საჩივარი.

რაც შეეხება მ. ს-ის მითითებას, რომ ის სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდა გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ზემოაღნიშნულს და მას გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად ვერ მიიჩნევს, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

დასახელებული ნორმით დადგენილია ის სავალდებულო წინაპირობები, როდესაც სასამართლო ვალდებულია, მხარის გამოუცხადებლობა ჩათვალოს საპატიოდ. მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით: კანისა და ვენ.სნეულებათა ს/კ ინსტიტუტის პროფესორ გ. თ-ის სახელით გაცემული მკურნალობის დანიშნულებით, ქ.თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 კლინიკის მიერ ჩატარებული ანალიზის პასუხებისა და ქირურგ კ. დ-ის სახელით გაცემული სამკურნალო დანიშნულების ასლებით არ დასტურდება სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მტკიცებულებები არ შეიცავს დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერას, მათი გაცემის თარიღს და სხვა, რის გამოც საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი, შეაფასოს მითითებული და დაადგინოს ექიმის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები: შეეძლო თუ არა მითითებული დანიშნულების მომხმარებელ პაციენტს სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. ამასთანავე მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლით დადგენილი წესით (დედნის სახით).

რაც შეეხება მ. ს-ის მითითებას, რომ ის ცდილობდა მოსამართლის თანაშემწესთან დაკავშირებას, თუმცა ვერ მოახერხა, საკასაციო პალატა ვერც მითითებულ არგუმენტს გაიზიარებს დაუსაბუთებლობის გამო და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლსა და მე-3 ნაწილების დანაწესებზე, რომლითაც დადგენილია, რომ მხარემ შუამდგომლობაში მითითებული გარემოება უნდა დაასაბუთოს, ხოლო საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამდენად, კანონმდებელმა განსაზღვრა მტკიცებულებათა სათანადოობის გამოკვლევა და მიუთითა, რომ კონკრეტული ფაქტი მისი დადასტურებული უტყუარი მტკიცებულებით უნდა გამოყარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს არ შეექმნება შინაგანი რწმენა შუამდგომლობის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს მ. ს-ის არგუმენტს, რომ მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის გამოუცხადებლობა სანოტარო წესით გაცემული რწმუნებულების არქონამ განაპირობა და აღნიშნულის საწინააღმდეგოდ საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი. აღნიშნული ნორმით დადგენილია ადვოკატის წარმომადგენლობის უფლებოსილების ნამდვილობა და კანონმდებელი არ კრძალავს მხარის ინტერესების მითითებული მტკიცებულებების საფუძველზე ადვოკატის მიერ დაცვის შესაძლებლობას, თუმცა მხოლოდ ორდერის არსებობის პირობებში დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ, წარმოდგენილი პირის ინტერესების დამცველი ადვოკატი, რომელიც საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ორდერის მეშვეობით და უშუალოდ მხარე არ არის სხდომაზე, ვერ განახორციელებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ შემდეგ საპროცესო მოქმედებებს: სარჩელის აღძვრა, არბიტრაჟისათვის საქმის სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა, სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღება. აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავია და კანონმდებელი იმპერატიულად ადგენს თითოეული ამ უფლების თაობაზე მიეთითოს კანონის მოთხოვნათა დაცვით დადასტურებულ წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტში – მინდობილობაში. რაც შეეხება საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებას და თუნდაც იმ ფაქტს, რომ ადვოკატს სასამართლოსათვის მხარის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ეცნობებინა და მოეთხოვა სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადატანა, აღნიშნულს კანონმდებლობა არ კრძალავს, რაც კერძო საჩივრის ამ არგუმენტის უსაფუძვლობას უტყუარად ადასტურებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ს-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, ხოლო გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. მ. ს-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მხარეთა გამომუცხადებლობა

### ბანჩინება

№ას-877-823-2012

16 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსგამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: შვილად აყვანის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ი-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ყ-ის მიმართ შვილად აყვანის ბათილად ცნობის მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელე ქორწინებაში იმყოფებოდა ფ. გ-სთან, რომელთანაც შვილი არ ჰყოლია. აღნიშნულის გამო 1990 წლის 14 ნოემბერს იშვილეს 1987 წლის 18 აგვისტოს დაბადებული ნ. ყ-ე, რომელიც, ბიოლოგიური მშობლების თხოვნით მათთან იზრდებოდა. შვილების ფაქტი აღმოჩნდა ფიქციური, მხარეთა შორის ოჯახური ურთიერთობა არ შემდგარა.

ნ. ყ-მ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2000 წელს გარდაიცვალა მშვილდებელი ფ. გ-ე, რომელთანაც, როგორც მოპასუხეს, ასევე მის ბიოლოგიურ მშობლებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, გარდაცვალებამდე ფ. გ-ს მზრუნველობას უწევდა მოპასუხის ბიოლოგიური მშობელი.

მოპასუხე რ. ი-ს უწევს შესაბამის მეთვალყურეობას, თუმცა, უმუშევრობის გამო, მატერიალურად ვერ ეხმარება, რაც არ არის შვილად აყვანის ბაზისად ცნობის საფუძველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად კი სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების თანახმად, მხარეებს ეცნობათ სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე ტელეფონის მეშვეობით. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე, რომელთაც შეტყობინება სხდომის შესახებ ტელეფონზე მეშვეობით კანონით დადგენილი წესით ეცნობათ, რ. ი-ს 07.05.12 წელს 10.25. სთ-ზე ტელეფონზე ..., ხოლო 07.05.12 წელს 10.25. სთ-ზე ტელეფონზე ..., ხოლო 07.05.12 წელს 10.27. სთ-ზე ტელეფონზე ..., ხოლო გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებზე მხარეებს სასამართლოსთვის არაფერი უცნობებიათ, რის გამოც, პალატამ მიიჩნია, რომ რ. ი-ის სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. ი-მ შემდეგი დასაბუთებით: სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზით, სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე გახდა ავად, შეაწუხა შაქრიანმა დიაბეტმა. სასამართლოს უნდა გამოერკვია სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის შეუძლებლობა.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ი-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით რ. ი-ის სააპელაციო საჩივარი სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, განუხილველი დარჩა. კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად უთითებს იმას, რომ სასამართლო სხდომამდე 2 დღით ადრე შეაწუხა შაქრიანმა დიაბეტმა, რის გამოც, ვერ შეძლო პროცესზე გამოცხადება.

აქედან გამომდინარე, სადავო არ არის ის გარემოება, რომ კერძო საჩივრის ავტორი სასამართლო სხდომის დღისა და საათის შესახებ ინფორმირებული იყო კანონით დადგენილი წესით.

რ. ი-ს სააპელაციო სასამართლოსათვის მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ არ უცნობებია და ამასთან, არც ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. კერძო საჩივარი არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას პროცესზე მხარის საპატიო გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტება ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ: არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

ამავე კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო, 103-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა ვერ დაადასტურა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, სააპელაციო სასამართლომ, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

**ღ ა ა ღ ბ ი ნ ა:**

რ. ი-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საჩივრის განუხილველად დატოვების დაუშვებლობა

### ბანჩინება

№ას-1180-1200-2011

10 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსგამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სარჩოს დანიშვნა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. დ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა ხ. მ-ემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში შპს „ბ. წ-ის“ მიმართ სარჩოს დანიშვნის მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელე 1991 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ან გარდაცვლილ თგ. დ-ესთან. ქორწინების განმავლობაში შეეძინათ ორი შვილი: 1992 წელს დაბადებული თ. დ-ე და 1994 წელს დაბადებული თ. დ-ე. თგ. დ-ე 1992 წლიდან დასაქმებული იყო ქ. ბათუმის წყალკანალ ტრესტში. 2009 წლის 2 მარტიდან იგი გადაყვანილ იქნა შპს „ბ. წ-ის“ მეჯინისწყლის ქაბურღილის უფროსად და მისი ხელფასი შეადგენდა თვეში 500 ლარს. 2010 წლის 17 აპრილს, დაახლოებით 11 საათზე, თგ. დ-ე გარდაიცვალა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული წყალსადენის არტეზიული წყის სამართავ რკინის კონსტრუქციის ელექტროსამართავ ჯიხურთან, ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულების დროს მიღებული ტრავმის შედეგად, რაც დასტურდება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის 17 აპრილს იყო შაბათი, თ. დ-ე ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რაც ასევე დასტურდება აღნიშნულ ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით. მოპასუხემ მას უარი უთხრა თ. დ-ის არასრულწლოვანი შვილის – თ. დ-ისათვის სარჩოს დანიშვნაზე. საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ მეჯინისწყლის წყალსადენის №4 არტეზიული ჭა და, შესაბამისად, მისი ელექტროგასამართი ჯიხური არ იყო გამართული, არ იყო შექმნილი დასაქმებულებისათვის უსაფრთხო გარემო.

მოპასუხე შპს „ბ. წ-ის“ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლებით: თგ. დ-ე 2009 წლის 2 მარტიდან დანიშნული იყო მეჯინისწყლის ქაბურღილის უფროსად და ევალეობდა მეჯინის წყალსადენზე ტექნიკური უსაფრთხოების დაცვაზე ზედამხედველობა. მისი გარდაცვალების მოწმობით და საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ თ. დ-ე გარდაიცვალა 2010 წლის 17 აპრილს. აღნიშნული თარიღი იყო შაბათი ანუ არასამუშაო დღე. თგ. დ-ის სამსახურში უქმე დღეს ყოფნა არ იყო განპიროვნებული უფროსის არც ზეპირი და არც წერილობითი განკარგულებით და, შესაბამისად, აღნიშნულ დღეს იგი არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ შპს „ბ. წ-ის“ მეჯინისწყლის სათავე ნაგებობის არტეზიური წყის ელექტრო გასამართავ ჯიხურში მუშაობის დროს დაცული არ იყო შრომის დაცვის და ტექნიკის უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული და დადგენილი ნორმები. საქმეში არსებული საზოგადოების გენერალური დირექტორის ბრძანებების ასლებით კი დადგენილია, რომ თგ. დ-ეს ევალეობდა მეჯინისწყლის წყალსადენზე ტექნიკური უსაფრთხოების დაცვაზე ზედამხედველობა. აღნიშნული გარემოება ასევე დადასტურებულია სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ბათუმის რაიონული პროკურატურის 2010 წლის 15 ივნისის დადგენილებით, რომლის თანახმად სამუშაოს შესრულებისას შრომის ტექნიკისა და უსაფრთხოების წესები დაარღვია თავად თგ. დ-ემ, რის გამოც ბათუმის რაიონულმა პროკურატურამ საქმეზე შეწყვიტა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. მოპასუხის მოსაზრებით, ე. დ-ის გარდაცვალებაში ბრალი შპს „ბ. წ-ის“ არ მიუძღვის.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. დ-ის კანონიერი წარმომადგენლის, ხ. მ-ის, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინებით არასრულწლოვან თ. დ-ის კანონიერი წარმომადგენლის – ხ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგი საფუძვლებით: 2011 წლის 13 ივნისის სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე. მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლოსთვის არ უცნობებიათ მათი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები. ამასთანავე, პალატამ მიიჩნია, რომ მხარეები გაფრთხილებული იყვნენ კანონით დადგენილი წესით. აქედან გამომდინარე, პალატა გაეცნო რა საქმის მასალებს, მიიჩნია, რომ, მხარეთა გამოუცხადებლობის, გამო თ. დ-ის წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა არასრულწლოვან თ. დ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა ხ. მ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივრის მთავარ

სხდომაზე განხილვა დაინიშნა 2011 წლის 13 მაისს, 12:00 საათზე. კერძო საჩივრის ავტორი ამ დროისთვის იმყოფებოდა დაბა ხელვაჩაურში მდებარე სამედიცინო ცენტრ „მ-აში“, რის შესახებაც მან წერილობით აცნობა საქმის განმხილველ მოსამართლეს, გაუგზავნა სამედიცინო ფორმა №100, ამასთან აცნობა, რომ, ექიმის კონსულტაციის თანახმად, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში მგზავრობა მისთვის არ შეიძლება, რის გამოც ითხოვა საქმის განხილვის დანიშვნა ივნისის მეორე ნახევარში, რის შედეგადაც, 2011 წლის 13 მაისს პროცესზე საქმის განხილვა დაინიშნა 2011 წლის 13 ივნისისათვის.

კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება განჩინების იმ ნაწილს სადაც ნათქვამია, რომ სხდომა დაინიშნა რა 2011 წლის 13 ივნისს 12:00 საათზე, რის შესახებაც მხარეები გაფრთხილებულნი იყვნენ კანონის შესაბამისად, იგი სასამართლო სხდომის დღის შესახებ არ გაფრთხილებულა ტელეფონით, ელ.ფოსტით, ფაქსის ან სხვა ტექნიკური საშუალებებით, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლით. შესაბამისად, გასაჩივრებულ განჩინებაში მტკიცება იმის თაობაზე, რომ 2011 წლის 13 ივნისს, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე, მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს სასამართლოსათვის არ უცნობებიათ მათი გამოუცხადებლობის მიზეზებზე, არასწორია, რადგან არც მოსარჩელე და არც მონინალმდებელე მხარე შპს „ბ. წ-ის“ ადმინისტრაცია ან მათი წარმომადგენელი სსკ-ის 70-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი საშუალებით არ ყოფილან გაფრთხილებულნი სააპელაციო პალატის მთავარი სხდომის 2011 წლის 13 ივნისს ჩატარების გადანიშვნის თაობაზე. საყურადღებოა ისიც, რომ მოპასუხე მხარე შპს „ბ. წ-ის“ ადმინისტრაცია რომ ყოფილიყო გაფრთხილებული იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნული იყო 2011 წლის 13 ივნისს, აუცილებლად გამოცხადდებოდა და მიიღებდა მონაწილეობას საქმის განხილვაში, რადგან ეს მის ინტერესებში შედიოდა, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მათ სასარგებლოდ იყო გამოტანილი.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინებით არასრულწლოვან თ. დ-ის კანონიერი წარმომადგენლის, ხ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაპბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მხარეები ან მათი წარმომადგენლები ინფორმირებული იყვნენ 2011 წლის 13 ივნისის სასამართლო სხდომის დღის თაობაზე. გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო არ უთითებს, თუ რა მტკიცებულებას დააყრდნო დასკვნა მოდავე მხარეებისათვის კანონით დადგენილი წესით სასამართლო სხდომის თარიღის შეტყობინების თაობაზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, განუხილველად დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი, შესაბამისად, არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და  
დ ა ა ღ გ ი ნ ა :

არასრულწლოვან თ. დ-ის კანონიერი წარმომადგენლის, ხ. მ-ის, კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გადაწყვეტილების განმარტება**

**განჩინება**

№ა-1765-გან-5-2013

5 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსგამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ალიმენტის (სარჩოს) დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

1. ნებას რთავს ცოლ-ქმარ დ. მ-სა და ი. მ-ს იცხოვრონ ცალ-ცალკე ორი წლის ვადით, ანუ 2012 წლის 31 ოქტომბრამდე;

2. ნებას რთავს ი. მ-ს დაიბრუნოს თავისი ტანსაცმელი, აგრეთვე პირადი დოკუმენტები და ნივთები.

3. აცხადებს, რომ დ. მ-ი მონაწილეობას მიიღებს მეუღლის რჩენაში, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

4. აცხადებს ცოლ-ქმარ დ. მ-სა და ი. მ-ს ქონების გამიჯვნის რეჟიმს, დაუყოვნებლივ აღსრულებით.

5. არ აკმაყოფილებს მხარეების არცერთ სხვა, ან შემდგომ მოთხოვნებს.

6. აცხადებს, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია მოსაკრებლისა და სასამართლო ხარჯების გარეშე.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 22 სექტემბერს და შვეიცარიის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ, კერძოდ, დ. მ-მა გადაიხადა მხოლოდ 2009 წლის დეკემბრის თვის ალიმენტი.

ი. მ-მა მიმართა შვეიცარიაში ვოდის კანტონში (შუამდგომლობის ავტორი საცხოვრებელი ადგილი 2009-2010წწ.) „სარჩოს/ალიმენტის გადახის აღსრულებისა და ავანსების გაცემის ოფისს“ (BRAPA), რომელიც სარჩოსა და ალიმენტების გადახდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უფასო აღსრულებას ახორციელებს, სადაც დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება მხოლოდ ცხრა თვის საალიმენტო თანხაზე, კერძოდ, 2010 წლის 1 მაისიდან 2011 წლის 31 იანვრამდე.

ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-ემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის განჩინებით ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

2012 წლის 8 ოქტომბერს ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-ემ წარმოადგინა დაზუსტებული შუამდგომლობა და მოითხოვა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში, 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე, დაკმაყოფილდა. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და მიექცა აღსასრულებლად შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დ. მ-ს დაევალა მეუღლის რჩენაში მონაწილეობის მიღება, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან. აღნიშნული განჩინების საფუძველზე, 2012 წლის 26 ოქტომბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2013 წლის 23 მაისს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა ზ. ფ-მა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების განმარტება იმ საფუძველით, რომ საკასაციო პალატის მითითება მოვალისათვის ალიმენტის დაკისრების ვადაზე, კერძოდ, აღსრულების განხორციელების მომენტამდე ვადის მითითება, ბუნდოვანია და ვერ ხდება განსაზღვრა, თუ როდემდე ეკისრება მოვალეს ალიმენტის გადახდის ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმასრულებელმა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, მოითხოვა იმის დადგენა, თუ რა პერიოდამდე ეკისრება მოვალე დ. ჯ. მ-ს კრედიტორისათვის ალიმენტის გადახდის ვალდებულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი განცხადების საფუძვლის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ზ. ფ-ის განცხადება შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას.

აღნიშნული ნორმა მიზანშეწონილად მიიჩნევს გადაწყვეტილების განმარტებას იმ შემთხვევაში, როცა იგი ბუნდოვანია და შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს. მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში, 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე, დაკმაყოფილდა. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და მიექცა აღსასრულებლად შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დ. მ-ს დაევალა მეუღლის რჩენაში მონაწილეობის მიღება, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან. საკასაციო პალატის მითითება მოვალისათვის ალიმენტის დაკისრების ვადაზე, კერძოდ, აღსრულების განხორციელების მომენტამდე ვადის მითითება, ბუნდოვანია და ვერ ხდება განსაზღვრა, თუ როდემდე ეკისრება მოვალეს ალიმენტის გადახდის ვალდებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ოქტომბრის განჩინება უნდა განიმარტოს შემდეგნაირად:

1. ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან დ. მ-ს დაევალა მეუღლის რჩენაში მონაწილეობის მიღება, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით, თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 284-ე მუხლით და

და ა ა ბ ი ნ ა:

1. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ზ. ფ-ის განცხადება უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ოქტომბრის განჩინების განმარტების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ოქტომბრის განჩინება განიმარტოს შემდეგნაირად:

3. ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

4. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან დ. მ-ს დაევალა მეუღლის რჩენაში მონაწილეობის მიღება, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით, თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გადაწყვეტილების განმარტება**

**განჩინება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოსგამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

#### დავის საგანი: სასამართლო განჩინების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ნ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, აეკრძალოს მოპასუხე შპს „მ. ტ-ს“ ხელშეკრულებებით მისი უფლებების მესამე პირებისათვის გადაცემა ან უფლებრივად დატვირთვა, ყადაღა დაედოს მოპასუხე კომანდიტური საზოგადოება ...“ სახელზე რიცხულ 52,5% წილს შპს „მ-ის“ კაპიტალში, ყადაღა დაედოს მოპასუხე შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებას და საბანკო ანგარიშებს, ყადაღა დაედოს დ. კ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებებს; აეკრძალოს მოპასუხე შპს „მ. ტ-ს“ 2003 წლის 19 ივლისის საიჯარო კონტრაქტის №2 დამატებით და 2011 წლის 18 მარტის ხელშეკრულებებით მისი უფლებების მესამე პირებისათვის გადაცემა ან უფლებრივად დატვირთვა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ თ. ნ-ე შპს „მ-ში“ ფლობდა 52,5% წილს. საზოგადოების საქმიანობას წარმოადგენდა ფოთის საზღვაო ნავსადგურში სხვადასხვა სახის ტვირთების დატვირთვა-გადატვირთვის სამუშაოების წარმოება და ნავმისადგომების ოპერირება.

2003 წლის 19 ივლისს სს „...“ და შპს „მ.“ შორის დაიდო საიჯარო კონტრაქტი, რის საფუძველზეც შპს „მ-ს“ იჯარით გადაეცა ფოთის საზღვაო ნავსადგურის №5 ტერმინალი. 2005 წლის 8 თებერვალს მხარეთა შორის შედგა დამატებითი შეთანხმება, რომლითაც ცვლილება შევიდა 2003 წლის 19 ივლისის კონტრაქტში.

2010 წლის ზაფხულში თ. ნ-ის მიმართ დაიწყო მიზანმიმართული დევნა და დაშინება დ. კ-ის მხრიდან. თ. ნ-ე იძულებული გახდა, დაეთმო 52,5% წილი საზოგადოების კაპიტალში კომანდიტური საზოგადოება „...“, რომელიც წარმოადგენს მომავალ მოპასუხე დ. კ-ს დაკავშირებულ კომპანიას.

განმცხადებელმა განმარტა, რომ აპირებს სარჩელით მიმართოს სასამართლოს შპს „მ-ის“, შპს „მ. ტ-ის“, კომანდიტური საზოგადოება „...“, სს „...“ და დ. კ-ის მიმართ წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, წილის მესაკუთრედ აღიარების, იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 მარტის განჩინებით თ. ნ-ეს უარი ეთქვა სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, რაზეც განმცხადებელმა შეიტანა საჩივარი.

ამავე სასამართლოს 2013 წლის 22 მარტის განჩინებით თ. ნ-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც თ. ნ-ეს უარი ეთქვა კომანდიტური საზოგადოება „...“ სახელზე რიცხულ 52,5% წილზე შპს „მ-ში“ ყადაღის დადებაზე, თ. ნ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო კომანდიტური საზოგადოება „...“ (OC360690) კუთვნილ 52,5% წილს შპს „მ-ში“ (საიდენტიფიკაციო კოდი №...), ხოლო საქმე განსახილველად გაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა, 2013 წლის 11 მარტის განჩინება გაუქმდა დ. კ-ის უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებაზე უარის თქმის ნაწილში, შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებაზე უარის თქმის ნაწილში, შპს „მ. ტ-ის“ იჯარის ხელშეკრულებებით მისი უფლებების მესამე პირებისათვის გადაცემა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი განჩინების მიღებით ამ ნაწილში თ. ნ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო დ. კ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას მდებარე: ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №7-ში, სხვენი 203.10 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №...); ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №7-ში, სართული 8. ფართი 201.16 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №...); ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელი დ-ა (ბეთანიის ტერიტორია) (ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფაქტობი: 1200.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 81.01.08.725; 81.01.08.723 (საკადასტრო კოდი: №...)). ასევე, ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებებს, ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს ერთობლიობაში 2 300 000 ლარის ფარგლებში შემდეგ საბანკო დანესებულებებში: სს ბანკი „რესპუბლიკა“, სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „ტაოპრივატბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „პირველი ბრიტანული ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს კომერციული ბანკი „ბაზისბანკი“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, სს „ბანკი ქართუ“, სს „თიბისი ბანკი“, სს „ბითიფი ბანკი“, სს „ინვესტ ბანკი“, სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო“, თ.რ. სს „ზირაათ ბანკი“, სს „კავკასიის განვითარების ბანკი“, სს „ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო“, სს „პროგრეს ბანკი“, სს „კორ სტანდარტ ბანკი“, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, სს „ბანკი კონსტანტა“, შპს „მ. ტ-ს“ აეკრძალა 2011 წლის 17 მარტს დადებული, 2003 წლის 19 ივლისის სს „...“ და შპს „მ.ს“ შორის ფოთის საზღვაო ნავსადგურის №5 ტერმინალის საიჯარო კონტრაქტის დამატება №2-ით და 2011 წლის 18 მარტს შპს „მ-ა“ და შპს „მ. ტ-ს“ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულებით მისი უფლებების მესამე პირებისათვის გადაცემა და უფლებრივად დატვირთვა.

შპს „მ. ტ-ის“ წარმომადგენელმა ი. ბ-მა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინების განმარტება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თ. ნ-ის მომავალი სარჩელის დავის საგნის ღირებულება სავარაუდოდ შეადგენს 2 500 000 ლარს. შესაბამისად, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ ყადაღა უნდა დაედოს შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებებს, ხოლო შემდეგ სასამართლო ადგენს, რომ ყადაღა უნდა დაედოს შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს ერთობლიობაში 2 300 000 ლარის ფარგლებში, არ არის დაკონკრეტებული და ბუნდოვანია ის გარემოება, დაედო თუ არა ყადაღა სააპელაციო სასამართლოს მიერ შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებასა და საბანკო ანგარიშებს, აგრეთვე მეორე მოპასუხის, დ. კ-ის მოძრავ ქონებას ერთობლივად 2 500 000 ლარის ფარგლებში, ვინაიდან სწორედ აღნიშნული თანხა მიიჩნია სასამართლომ მომავალი სარჩელის დავის საგნად.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი საჭიროებს შემდეგ განმარტებას: წარმოადგენს თუ არა განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული თანხა – 2 300 000 ლარი შპს „მ. ტ-ის“ მოძრავი ქონების ღირებულების, მის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხისა და მეორე მოპასუხის, დ. კ-ის დაყადაღებული უძრავი ქონების ჯამს ერთობლიობაში; შეიძლება თუ არა აღემატებოდეს განჩინებით მოპასუხე შპს „მ. ტ-ის“ მოძრავი ქონებისა და მის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხის, აგრეთვე, მეორე მოპასუხის, დ. კ-ის დაყადაღებული უძრავი ქონების ღირებულების ჯამი ერთობლიობაში 2 500 000 ლარს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის განჩინებით შუამდგომლობა განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით ყადაღა დაედო დ. კ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას, ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებებს. ასევე, ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს ერთობლიობაში 2300 000 ლარის ფარგლებში.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განმარტა, რომ გადაწყვეტილების განმარტება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების შინაარსი ბუნდოვანია და შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს. მოცემულ საქმეზე განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბებულია ნათლად და იგი არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს, რის გამოც არ საჭიროებს განმარტებას. შესაბამისად, განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „მ. ტ-მა“ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის 2013 წლის 22 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის განსამარტად შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში რამდენჯერმეა ხაზგასმული, რომ ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს ერთობლიობაში 2 300 000 ლარის ოდენობით. შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშზე არსებულ თანხასთან ერთად, ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით დაყადაღებას დაექვემდებარა შპს „მ. ტ-ის“ 1408110,92 ლარად შეფასებული მოძრავი ქონება, რომ აღარაფერი ვთქვათ მეორე მოპასუხე დ. კ-ის საკუთრებაში მყოფ უძრავ ქონებაზე, რომელსაც იმავე განჩინებით დაედო ყადაღა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ყადაღა დაედო სარჩელის დავის საგნის ღირებულებაზე ორჯერ უფრო მეტი ღირებულების უძრავ-მოძრავ ქონებას.

ბუნდოვანია, თუ საიდან მიიღო სასამართლომ განჩინებაში მითითებული 2 300 000 ლარი, წარმოადგენდა აღნიშნული თანხა შპს „მ. ტ-ის“ მოძრავი ქონების ღირებულების, მის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხისა და მეორე მოპასუხე დ. კ-ის დაყადაღებული უძრავი ქონების ღირებულების ჯამს, თუ იგულისხმებოდა მხოლოდ კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხა. აღნიშნული საკითხის განმარტებებზე უარის თქმა სირთულეებს შექმნის სასამართლო განჩინების აღსრულების პროცესში და შპს „მ. ტ-ს“ მიაყენებს უაღრესად მძიმე მატერიალურ ზიანს.

არც ერთ ზემოთ მითითებულ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია.

ამდენად, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად უნდა განიმარტოს შემდეგი საკითხები: წარმოადგენს თუ არა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული თანხა – 2 300 000 ლარი შპს „მ. ტ-ის“ მოძრავი ქონების ღირებულების, მის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხისა და მეორე მოპასუხე დ. კ-ის დაყადაღებული უძრავი ქონების ჯამს ერთობლიობაში. ასევე, შეიძლება თუ არა აღემატებოდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილით მოპასუხე შპს „მ. ტ-ის“ მოძრავი ქონებისა და მის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხის, აგრეთვე მეორე მოპასუხე დ. კ-ის დაყადაღებული უძრავი ქონების ღირებულების ჯამი ერთობლიობაში 2 500 000 ლარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „მ. ტ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ შპს „მ. ტ-ის“ განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბებულია ნათლად და იგი არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს, რის გამოც არ საჭიროებს განმარტებას.

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების აღნიშნულ დასკვნას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ სადავო განჩინების სარეზოლუციო ნაწილის დებულებები უთუოდ საჭიროებს განმარტებას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, გადანყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადანყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადანყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

მითითებული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეებსა და აღმასრულებელს, მათი მოთხოვნისამებრ, განუმარტოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანი დებულებები, რაც მიმართული უნდა იყოს გადანყვეტილების აღსრულების ხელშეწყობისკენ და არ უნდა ცვლადეს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსს. ამდენად, გადანყვეტილების განმარტების საჭიროება არსებობს, როცა მისი სარეზოლუციო ნაწილის ესა თუ ის დებულება ბუნდოვანია და არსებული სახით გადანყვეტილების სწორად აღსრულებას დაბრკოლება შეექმნება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგ პუნქტებად:

„3. ყადაღა დაედო დ. კ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას მდებარე: ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №7-ში, სხვენი 203.10 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №...); ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №7-ში, სართული 8. ფართი 201.16 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №...); ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელი დ-ა (ბ-ის ტერიტორია) (ნაკვეთის ფუნქცია: საზოგადო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 1200.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 81.01.08.725; 81.01.08.723 (საკადასტრო კოდი: №...)).

4. ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებებს, ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს ერთობლიობაში 2 300 000 ლარის ფარგლებში შემდეგ საბანკო დანესებულებებში: სს ბანკი „რესპუბლიკა“, სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „ტაოპრივატბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „პირველი ბრიტანული ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს კომერციული ბანკი „ბაზისბანკი“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, სს „ბანკი ქართუ“, სს „თიბისი ბანკი“, სს „ბითიფი ბანკი“, სს „ინვესტ ბანკი“, სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო“, თ.რ. სს „ზირაათ ბანკი“, სს „კავკასიის განვითარების ბანკი“, სს „ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო“, სს „პროგრეს ბანკი“, სს „კორ სტანდარტ ბანკი“, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, სს „ბანკი კონსტანტა“.

5. შპს „მ. ტ-ს“ აეკრძალა 2011 წლის 17 მარტს დადებული, 2003 წლის 19 ივლისის სს „...“ და შპს „მ.ს“ შორის ფოთის საზღვაო ნავსადგურის №5 ტერმინალის საიჯარო კონტრაქტის დამატება №2-ით და 2011 წლის 18 მარტს შპს „მ-სა“ და შპს „მ. ტ-ს“ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულებით მისი უფლებების მესამე პირებისათვის გადაცემა და უფლებრივად დატვირთვა“.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ აღნიშნული განჩინების სარეზოლუციო ნაწილით გარკვევით არ დგინდება და, შესაბამისად, განმარტებას საჭიროებს საკითხი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა მოცულობისა და ღირებულების ქონებას უნდა დაედოს ყადაღა. იმის კითხვა: სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ 2 300 000 ლარის ფარგლებში, ყადაღა უნდა დაედოს მხოლოდ შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებასა და საბანკო ანგარიშებს, თუ აღნიშნული ფარგლები უნდა გავრცელდეს დ.კე ზერაშვილის კუთვნილ მთელ დასაყადაღებელ ქონებაზეც.

სადავო განჩინების განმარტების აუცილებლობას ადასტურებს გასაჩივრებულ 2013 წლის 10 მაისის განჩინებაში გაჟღერებული სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით ყადაღა დაედო დ. კ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას, შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებებს. ასევე, ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს ერთობლიობაში 2 300 000 ლარის ფარგლებში.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ 2013 წლის 22 აპრილის განჩინების განმარტებაზე შპს „მ. ტ-ს“ უარი არასწორად უთხრა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საკასაციო პალატის მიერ მითითებული საკითხების ზუსტად დაკონკრეტების გზით უნდა განმარტოს მოცემულ საქმეზე 2013 წლის 22 აპრილს მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების შინაარსი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. შპს „მ. ტ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

3. საკაცაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა

ბანჩინება

№ას-666-633-2013 26 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოსგამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ო. ბ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ლ-ის მიმართ და მოითხოვა სესხის – 1530 აშშ დოლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

2011 წელს მოპასუხე დაუკავშირდა მოსარჩელის მეუღლე ი. ს-ეს 1500 აშშ დოლარის სესხის სახით მიღებასთან დაკავშირებით. იმუამად რ. ბ-ი იმყოფებოდა საზღვარგარეთ. ხსენებული თანხა მოპასუხეს გადაეცა ი. ს-ის დედის მეშვეობით თვეში 1% სარგებლის დარიცხვით.

ა. ლ-ე აღიარებს ვალის არსებობას, თუმცა მის გადახდას თავს არიდებს.

სასარჩელო მოთხოვნით სასამართლოს მიმართა მესამე პირმა – ი. ს-აც და მოითხოვა ა. ლ-ის სადავო სესხის ნახევრის – 765 აშშ დოლარის მის სასარგებლოდ დაკისრება.

მოპასუხემ ძირითადი სარჩელი ცნო, ხოლო ი. ს-ის პრეტენზიის ნაწილში სარჩელზე უარი განაცხადა, რადგან აქვს მხოლოდ რ. ო. ბ-ის ვალი 1530 აშშ დოლარის ოდენობით, რასაც ნაწილ-ნაწილ გაისტუმრებს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით რ. ო. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ა. ლ-ეს დაეკისრა მის სასარგებლოდ 756 აშშ დოლარის – 1262 ლარის გადახდა, ასევე დაკმაყოფილდა ი. ს-ის სარჩელი ა. ლ-სა და რ. ო. ბ-ის მიმართ, ა. ლ-ეს დაეკისრა რ. ო. ბ-ის სესხის ხელშეკრულებიდან (1530 აშშ დოლარი) 765 აშშ დოლარის – 1262 ლარის გადახდა ი. ს-ის სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ლ-ემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა მთლიანი თანხის მხოლოდ რ. ო. ბ-ის სასარგებლოდ გადახდევინება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ იხელმძრვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით, 259<sup>1</sup> მუხლით და უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-9 პუნქტი შეიცავს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს: „გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კ-ის ქ. 11) და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია“.

ასევე უდავოდ დადგინდა, რომ აპელანტი ა. ლ-ე არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირი, რომელსაც სასამართლოს ინიციატივით ეგზავნება გადაწყვეტილების ასლი.

სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილია კანონით დადგენილი წესით გაფორმებული რწმუნებულება, რომლითაც ა. ლ-ე ანიჭებს უფლებამოსილებას ა. ჭ-ეს, დაიცვას მისი ინტერესები. გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია 2013 წლის 14 მარტს. დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მიღების თაობაზე მოთხოვნა გაკეთებულია 2013 წლის 17 მაისს აპელანტის წარმომადგენელ ა. ჭ-ის მიერ და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ამავე დღეს – 2013 წლის 17 მაისს მანვე ჩაიბარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი. სააპელაციო საჩივარი ა. ლ-ემ წარადგინა 2013 წლის 17 მაისს.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი მოპასუხე ა. ლ-ის წარმომადგენელ ა. ჭ-ის ცნობილი იყო, რაც დგინდება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 13 მარტის სხდომის ოქმიდან. შესაბამისად, დგინდება, რომ ა. ლ-ეს ან მის წარმომადგენელს კანონით დადგენილ ვადაში, კერძოდ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა არ მიუძღრებოდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოსათვის და არ მოუთხოვიათ გადაწყვეტილების ასლის მი-

ლება, შესაბამისად, მათთვის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღიდან, ანუ 2013 წლის 14 აპრილიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ 2013 წლის 14 აპრილი იყო რა არასამუშაო დღე (კვირა), აპელანტს სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადის ათვლა ეწყებოდა მომდევნო სამუშაო დღეს – 2013 წლის 15 აპრილიდან (ორშაბათს) და ეწურებოდა 2013 წლის 28 აპრილს, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, 2013 წლის 28 აპრილი იყო არასამუშაო დღე (კვირა), ამდენად, აპელანტს სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა ეწურებოდა მომდევნო სამუშაო დღეს – 2013 წლის 29 აპრილს (ორშაბათს).

უდავოდ დგინდება, რომ სააპელაციო საჩივარი აპელანტის მიერ წარდგენილია 2013 წლის 17 მაისს, ანუ 14-დღიანი ვადის დარღვევით, რის გამოც იგი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ა. ლ-ის წარმომადგენელმა ა. ჭ-ემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად აითვალა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას არც თავად აპელანტი და არც მისი წარმომადგენელი არ დასწრებიან. შესაბამისად, გადაწყვეტილების ასლი მხარეს უნდა გაგზავნოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის საფუძველზე.

ამასთან, თუ საკასაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას დარღვეულად მიიჩნევს, კერძო საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა მისი საპატიოდ მიჩნევისა და აღდგენის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ლ-ის წარმომადგენელ ა. ჭ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავდროულად 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ სასამართლოებში შედეგს – ა. ლ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას, თუმცა თვლის, რომ სააპელაციო პალატის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გამოთვლისას დაშვებულ იქნა გარკვეული უზუსტობები.

განსახილველ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 2013 წლის 14 მარტს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ა. ლ-ის ინტერესებს დავის მიმდინარეობისას იცავდა მისი წარმომადგენელი ა. ჭ-ე, რომელსაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის თანახმად, გააჩნდა მარწმუნებლის სახელით სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება.

ასევე დასტურდება და სადავოდ არ გამხდარა ის ფაქტი, რომ ა. ჭ-ეს 2013 წლის 14 მარტს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თაობაზე ეცნობა და ჩამოერთვა ხელწერილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს.

ამდენად, წარმომადგენლისათვის გარკვეული საპროცესო მოქმედების შესახებ შეტყობინება აღნიშნულის შესახებ თავად მხარისათვის შეტყობინების ტოლფასია. შესაბამისად, როდესაც ა. ჭ-ეს ეცნობა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი, იგულისხმება, რომ მითითებული ინფორმაცია ეცნობა ა. ლ-ს.

სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ ა. ლ-ემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2013 წლის 17 მაისს.

სააპელაციო საჩივრის შეტანის პირობებს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით კი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადან-  
ყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლო-  
ბით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასა-  
ჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნა-  
წილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაი-  
ბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადან-  
ყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ მხარი-  
სათვის, რომელიც ესწრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს  
კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, კანონმდებ-  
ელი განსაზღვრავს ვალდებულებას, რათა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან  
არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების  
ასლი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში, „არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღის“  
ათვისათვის გამოყენებული უნდა იქნეს საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადის გამოთვლის ზოგადი  
წესი, კერძოდ მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათ-  
ვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო  
დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპით გამოთვლი-  
ლი მე-20 დღე არის იმ მოქმედების შესრულების პირველი დღე, რაც უკავშირდება სასამართლოში გამოც-  
ხადებას და ასეთად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს 21-ე დღე. ანალოგიურად უნდა განიმარტოს 30-ე დღე,  
როგორც ერთი მხრივ მხარის მიერ სასამართლოში გამოცხადების ბოლო დღე (მიუხედავად იმისა ემ-  
თხვევა თუ არა უქმე და დასვენების დღეს) და იმავდროულად გასაჩივრების ვადის ათვლის პირველი დღე,  
თუკი მხარე დაარღვევს სასამართლოში გამოცხადების კანონისმიერ ვალდებულებას.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა კოლეგიის 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი  
აპელანტისათვის კანონით დადგენილი წესით ცნობილი იყო.

სააპელაციო პალატამ უდავოდ დაადგინა, რომ აპელანტი ა. ლ-ე არ არის სამოქალაქო საპროცესო კო-  
დექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირი, რომელსაც სასამართლოს ინიციატივით ეგზავნება გა-  
დანყვეტილების ასლი. აღნიშნული გარემოება მხარემ ვერც კერძო საჩივრით დაადასტურა.

ზემოხსენებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად ა. ლ-ეს მისი გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და  
არა უგვიანეს 30 დღისა სასამართლოსათვის არ მიუმართავს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი  
ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 13 აპრილი-  
დან (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღე) და იგი ამოიწურა 2013 წლის  
26 აპრილს. შესაბამისად, ა. ლ-ემ 2013 წლის 17 მაისს სააპელაციო საჩივარი შეიტანა 369-ე მუხლით გათვა-  
ლისწინებული ვადის დარღვევით და მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის შუამდგომლობას სააპელაციო სა-  
ჩივრის შეტანის გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევისა და მისი აღდგენის თაობაზე, რადგან 369-ე მუხ-  
ლის მოთხოვნის მიხედვით, მითითებული ვადა იმპერატიულია და მისი გადახედვის შესაძლებლობას კა-  
ნონი არ ითვალისწინებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული  
განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე კანონიერია და უნდა დარჩეს უც-  
ვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე,  
420-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ლ-ის წარმომადგენელ ა. ჭ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 მაისის განჩინება  
დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### დავის საგნის ღირებულება

#### განჩინება

№ას-15-13-2013

18 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ხ. მ-ის მიმართ, მოპასუხის მიერ საცხოვრებელი ბინის დემონტაჟის გამო, წყლის ჩამოყონვით გამოწვეული მატერიალური ზიანის – 225,7 ლარის ანაზღაურებისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ნოემბრის განჩინებით გ. გ-ას სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, დაუშვებლობის გამო, დარჩა განუხილველად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, 374-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმების საფუძველზე, წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმება სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის მიერ ხდება ერთპიროვნულად, ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლოს მითითებით, ვინაიდან გ. გ-ას სარჩელში დავის საგნის ღირებულება 225,7 ლარი იყო, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გ. გ-ას სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება შეადგენდა 225,7 ლარს, რაც ქონებრივ-სამართლებრივ დავაში სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობას არ აკმაყოფილებდა (1000 ლარზე ნაკლებია), შესაბამისად, ამ ნორმისა და 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, მითითებული გარემოება წარმოშობდა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. გ-ამ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და იმავე სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების დავალდებულება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის შესაბამისად, არასწორად ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა ქონებრივ დავაში სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის განსაზღვრულ ოდენობას და დავის საგნის ღირებულება იყო მხოლოდ 225 ლარი. აპელანტის მოთხოვნა შედგებოდა, როგორც ზიანის – 225 ლარის ანაზღაურების, ისე, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის – სამზარეულოს გადატანის მოთხოვნისაგან, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამართლის ნორმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით გ. გ-ას კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. გ-ას კერძო საჩივარი საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენდა ნივთის რეკონსტრუქციის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც ერთი, მხრივ, თანხის დაკისრებაში, ხოლო, მეორე მხრივ, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაში გამოიხატებოდა.

ირკვევა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ გ. გ-ამ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სრულად.

სააპელაციო პალატამ სამართლიანად მიუთითა, რომ წინამდებარე დავა ქონებრივ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს კანონის არასწორად გამოყენებასთან მიმართებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო (კერძო) საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო პალატა დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „კ“ ქვეპუნქტებზე, ასევე მე-40 მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ დასახელებული ნორმების მოქმედება ამავე კოდექსის 372-ე მუხლით დადგენილი გამონაკ-

ლისების გათვალისწინებით, ვრცელდება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზეც, თავად ამ ნორმებით დადგენილია შემდეგი: დავის საგნის ფასი ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელზე განისაზღვრება გადასახდელი თანხით, ხოლო თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა – 4 000 ლარით. თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქონებრივი დავის ერთი ნაწილის – თანხის გადახდევინების ღირებულება 225 ლარია, ხოლო მეორე ნაწილის – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის (ნივთის დემონტაჟი) ნაწილში ამ დავის ღირებულება კანონის ძალით 4000 ლარითაა განსაზღვრული, ამასთან, ამ მოთხოვნათა ჯამი აღემატება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ დავაზე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის დადგენილ შეზღუდვას, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საპროცესო ნორმა, რის შედეგადაც არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, აღნიშნული კი თავისთავად გასაჩივრებული განჩინების უპირობოდ გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სარწმუნოდ უნდა გამოარკვიოს გ. გ-ას სააპელაციო საჩივრის ღირებულება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის შესაბამისად დაადგინოს ქონებრივ დავაზე სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვების სხვა წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ნოემბრის განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### დავის საგნის ღირებულება

#### განჩინება

№ას-1528-1442-2012 24 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი მოპასუხე რ. ა-ას მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

რ. ა-ას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2917.60 ლარის გადახდა;

მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ ნაწილში, რომლითაც მან მოითხოვა მის სასარგებლოდ დამწვარი ნივთების ღირებულებისა და საკუჭნაოს აღდგენის ხარჯების, ჯამში 3400 ლარის ანაზღაურება.

ამავე გადაწყვეტილებით რ. ა-ას ნ. გ-ის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ დაეკისრა 87.52 ლარის გადახდა, გარდა ამისა, მას მოსარჩელის სასარგებლოდ დაევალა ადვოკატისათვის განეული ხარჯის სანაცვლოდ 116.70 ლარის, ხოლო ექსპერტიზისათვის განეული ხარჯის სანაცვლოდ – 400 ლარის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ა-ამ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც მას დაეკისრება 2115.5 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ნოემბრის განჩინებით რ. ა-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება შეადგენდა 802.1 (2917.60 – 2115.5 = 802.1) ლარს, რადგან აპელანტი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა ნაწილობრივ, კერძოდ, იგი მოითხოვდა 2917.60 ლარის ნაცვლად, დაკისრებოდა 2115.5 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის ღირებულება არ აღემატებოდა 1000 ლარს, ამიტომ არსებობდა ამ საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

დასახელებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა რ. ა-ამ (წარმომადგენელი ვ. ნ-ა), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი თავის მოთხოვნას ასაბუთებს შემდეგნაირად:

მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა არამართო მისთვის დაკისრებული ძირითადი თანხის ფარგლებში, არამედ ასევე სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯების დაკისრების ნაწილში. სააპელაციო საჩივრიდან ნათლად ჩანს, რომ რ. გ-ა არ უარყოფს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რასაც ადასტურებს მის მიერ დაზიანებულ ნაწილში შესრულებული სარემონტო სამუშაოები. მიუხედავად ამისა, მთავარ საკითხს, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა, წარმოადგენს ზიანის ოდენობისა და დამატებითი ხარჯების საკითხი. პირველი ინსტანციის სასამართლომ, გაუგებარი გაანგარიშებით დააკისრა რ. ა-ას სასამართლოსგარეშე ხარჯების გადახდა, ვინაიდან საქმეში არ არსებობს ადვოკატისათვის ჰონორარიის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ამავდროულად, უკანონოა მოპასუხისათვის (აპელანტისათვის) ექსპერტიზის ხარჯების სულად დაკისრება, რამდენადაც არ დაანგარიშებულა სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის შესაბამისი თანხის მოცულობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ა-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი მოპასუხე რ. ა-ას მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: რ. ა-ას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2917.60 ლარის გადახდა.

დგინდება ისიც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება რ. ა-ას წარმომადგენელმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რომლითაც მან მოითხოვა, რომ რ. ა-ას (მოპასუხეს, აპელანტს), ნაცვლად გადაწყვეტილებით დაკისრებული 2917.60 ლარისა, ახალი გადაწყვეტილებით დაკისრებოდა 2115.5 ლარის გადახდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენს 802.1 ლარს (2917.60 – 2115.5 = 802.1), რაც სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, რამდენადაც წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით განსაზღვრულ დასაშვებობის პირობას, კერძოდ, დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ვინაიდან იგი გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა სასამართლო ხარჯების ნაწილშიც, ამიტომ სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრისას, სააპელაციო სასამართლოს ამ ხარჯების ოდენობაც უნდა გაეთვალისწინებინა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ „დავის საგანში“, რაზეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი მიუთითებს, იგულისხმება სარჩელის დავის საგანი და არა ამ სარჩელთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა. კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ. სააპელაციო სასამართლოს გა-

დანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. რ. ა-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1389-1310-2012 12 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსგამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ბ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ბ-ი რ-ას“, შპს „თ-სა“ და მესამე პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 26 იანვრის მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში მითითებული ქონების ყადაღისაგან ნაწილობრივ გათავისუფლების მოთხოვნით.

მოპასუხე სს „ბ-მა რ-ამ“ სარჩელი არ ცნო, ხოლო შპს „თ-ს“ სარჩელზე შესაგებელი არ წარუდგენია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ბ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის განჩინებით ლ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად შემდეგი დასაბუთებით:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 24 აგვისტოს განჩინებით, ლ. ბ-ის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, მხარეს დაევალა დავის საგნის ღირებულების დაზუსტება და ამ ღირებულების 4%-ის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენა. ხარვეზის გამოსწორების ვადა განისაზღვრა 5 დღით. მასვე განემარტა ხარვეზის გამოუსწორებლობის შედეგი. 2012 წლის 24 აგვისტოს განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა აპელანტს, რომელმაც სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინა განცხადება, სახელმწიფო ბაჟის სახით 160 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად. განმცხადებლის განმარტებით, ის სრულად ასაჩივრებდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც დავის საგნის ღირებულებად 4000 ლარი იქნა მიჩნეული, ამდენად, სააპელაციო საჩივარი აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მოთხოვნის, ამავე კოდექსის 41-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის საგნის ღირებულება კვლავ რჩება 4000 ლარი გადაწყვეტილების მთლიანად შეცვლის გამო და 4000 ლარის 4% შეადგენდა 160 ლარს.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით და ჩათვალა, რომ დავის საგნის ღირებულების 4000 ლარით განსაზღვრა და მისი 4%-ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო ხარვეზის გამოსწორებად, რადგანაც ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა ლ. ბ-ემ და მოითხოვა მისი კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება. სარჩელზე დართული იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად, იპოთეკის საგანს წარმოადგენდა ლ. ბ-ის კუთვნილი 1000 კვ.მ უძრავი ქონება, კერძოდ, მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე საცხოვრებელი სახლი საერთო სასარგებლო 160 კვ.მ ფართით. ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო, რომ მხარეთა შეთანხმებით იპოთეკის გარიგების ღირებულება, იპოთეკის თანხა შეადგენდა 150 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, რაც ამ ხელშეკ-

რულების დადასტურების მომენტისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით შეადგენდა 255 825 ლარს. ხელშეკრულება დადებული იყო 2007 წლის 19 მარტს. პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტს არ დაუზუსტებია დავის საგნის ღირებულება სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროისათვის და არ გადაუხდია ამ ღირებულების შესაბამისი 4%. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადები ამა თუ იმ მოქმედების როგორც სასამართლოს, ასევე მხარის მიერ შესრულებისათვის. დადგენილია ასევე სასამართლოს მიერ მხარეთათვის განსაზღვრულ საპროცესო ვადაში საპროცესო მოქმედების შესრულებლობის შედეგები, კერძოდ, თუ მხარემ სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა. აპელანტს, სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, განჩინებაში მითითებული ხარვეზი არ გამოუხსნორებია და არც ხარვეზისათვის დაწესებული ვადის გაგრძელების შესახებ მიუმართავს სასამართლოსათვის შუამდგომლობით, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობას წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ლ.ბ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება არასწორია და უნდა გაუქმდეს, ვინაიდან ხარვეზის დადგენის შესახებ სასამართლოს განჩინებით მხარეს დაევალა დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა და ამ ღირებულების 4%-ის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდა, რაც მხარემ განახორციელა დადგენილ ვადაში. ვინაიდან დავის საგნის ღირებულების გამოთვლა შეუძლებელია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, კანონი მას 4000 ლარით განსაზღვრავს, შესაბამისად, მხარემ წარადგინა ამ თანხის 4%-ის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოში სწორედ ამგვარად შეფასდა დავის საგანი, რომელიც რაიმე ცვლილებას სააპელაციო საჩივრის შეტანის დროისათვის ვერ განიცდიდა. აღნიშნული გარემოება მოცემული შემთხვევის მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას გამორიცხავს. ამასთანავე, მხარის აღნიშნული განმარტება ადასტურებს ქონებრივი დავისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებული სააპელაციო საჩივრის ღირებულების მიმართ დაწესებული შეზღუდვის დაცვას. თუ სასამართლო არ ეთანხმებოდა მხარის მითითებას დავის საგნის ღირებულების თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, მას თავად უნდა განესაზღვრა სახელმწიფო ბაჟის ოდენობა. არასწორია სასამართლოს მსჯელობა დავის საგნის ღირებულებად იპოთეკის საგნის ღირებულების განსაზღვრის თაობაზე, ვინაიდან მხარე მოითხოვდა არა იპოთეკით დატვირთული ფართის, არამედ იპოთეკის მიღმა არსებული ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ლ. ბ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ბ-ის კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის ე' ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

განსახილველი საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. ბ-ის სარჩელის საგანს წარმოადგენს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან იპოთეკით დატვირთული ქონების იმ ნაწილის ამოღება, რომლითაც უძრავი ნივთი მოგვიანებით გაუმჯობესდა და გაიზარდა მისი მოცულობა.

დადგენილია, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რისი გაუქმებაც მხარემ სააპელაციო წესით მოითხოვა.

საქმეში არსებული სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 24 აგვისტოს განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილისა და 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეს დაევალა დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა და ამ ღირებულების შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვითრის დედნის სააპელაციო სასამართლოში წარდგენა.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ აპელანტმა სასამართლოს დადგენილ ვადაში მიმართა განცხადებით და დავის საგნის ღირებულებად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 4000 ლარი განსაზღვრა, ასევე წარადგინა ამ ღირებულების შესაბამისად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, რაც სააპელაციო პალატამ ხარვეზის გამოუხსნორებლობად და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობად მიიჩნია.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განჩინების ზემოაღნიშნულ მსჯელობას და თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რადგანაც სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის დაცვით მხარის მიერ საპროცესო მოქმედების თუნდაც ნაკლიანი, არაჯეროვანი შესრულება გამოცხადების მის სრულად შეუსრულებლობას, მხარემ, მოცემულ შემთხვევაში, მისი ინტერესი დავის მიმართ დაკისრებული მოქმედების საპროცესო ვადის დაცვით განხორციელების გზით დაადასტურა.

საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის იმ არგუმენტს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ ეთანხმებოდა მხარის მსჯელობას დავის საგნის ღირებულებასთან მიმართებით მას თავად უნდა განესაზღვრა აღნიშნული, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით. დასახელებული ნორმით სასამართლოს ეკისრება ვალდებულება შეფასება მისცეს მხარის მოსაზრებას დავის საგნის ღირებულებასთან დაკავშირებით და იმ შემთხვევაში, თუ არ იზიარებს მას, უფლებამოსილია თავად მიუთითოს სადავო ქონების საბაზრო ღირებულება. ნორმის ამ დანაწესის იმგვარი განმარტება, როგორც ეს მითითებულია გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებაში ამ ნორმის მიზნებს ცდება.

ამასთანავე, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-7 ნაწილის მოქმედ რედაქციაზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმით, მართალია, სასამართლოს საპროცესო ვადის გაგრძელება მხოლოდ მხარის თხოვნის არსებობისას შეუძლია, თუმცა, მოცემულ შემთხვევასთან მიმართებით არ შეიძლება ეს ნორმა გაგებულ იქნას მხოლოდ იმგვარად, რომ საპროცესო მოქმედების სრულყოფილად განუხორციელებლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების უპირობო საფუძველია. საკასაციო პალატის აღნიშნული პოზიცია ემყარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლს, რომლითაც დადგენილია ქვეყნის შემდეგი წესი: თუ სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება საქმის გადაწყვეტისას დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი ნორმები კანონის ამ დანაწესის გამოყენებას არ კრძალავს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად, მითითებული ნორმით სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის რეგულირება არაა აკრძალული, ამასთანავე, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის იმ არგუმენტს, რომ სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში არასწორად მიუთითა იპოთეკის საგნის ღირებულებასთან დაკავშირებით და წინამდებარე დავის საგნის ღირებულება უპირობოთ 4000 ლარით უნდა განისაზღვროს თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტისა, რადგანაც აღნიშნულ გარემოებას ქონებრივ დავაში მისი საგნის ღირებულების გამოთვლის მარეგულირებელი ნორმები არ ითვალისწინებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ლ. ბ-ის კერძო საჩივარი საფუძვლიანია, რაც მისი დაკმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენს, შესაბამისად, უნდა გაქუმდეს სააპელაციო პალატის განჩინება და მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის განხილვის პროცესში კი სასამართლომ უტყუარად უნდა გამოარკვიოს დავის საგნის ღირებულება და შესაბამისად განსაზღვროს სახელმწიფო ბაჟის საკითხიც.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### დასკვნა:

1. ლ. ბ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კერძო საცივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### ბანჩინება

№ას-631-594-2012

18 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსგამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავი ქონების თანამესაკუთრედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. შ-მა და თ. ი-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში პ. ლ-ისა და ნ. ი-ის მიმართ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების თანამესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: ნ. შ-ი და ვ. ი-ი 1998 წლის 17 მარტს ზ-ის თემის გამგეობაში დაქორწინდნენ. მათ ჰყავთ შვილი თ. ი-ი. ისინი ქორწინების შემდეგ საკომლო წიგნში დარეგისტრირდნენ ვ. ი-ის კომლის წევრებად. ვ. ი-ი დამოუკიდებელი კომლი არ ყოფილა და იგი იყო მშობლების კომლის წევრი, შესაბამისად, კომლის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრე. 2003 წელს ვ. ი-ის გარდაცვალების შემდეგ კომლში დარჩნენ პ. ი-ი, ნ. შ-ი და თ. ი-ი. საცხოვრებელი სახლი ფაქტობრივად გაყოფილი იყო ვ. ი-სა და პ. ლ-ს შორის. ბოლო ერთი წელია პ. ლ-თან მათი ურთიერთობა დაიძაბა და მოსარჩელები იძულებული გახდნენ სახლიდან წასულიყვნენ. 2010 წლის 29 მარტს პ. ლ-მა კომლის მთელი ქონება აჩუქა შვილს ნ. ი-ს, მოპასუხემ ასევე გააჩუქა მათი, როგორც კომლის წევრების წილი, რითაც საარსებო წყარო მოუსპო მოსარჩელებს, რადგან მათ სხვა საცხოვრებელი სახლი არ გააჩნიათ.

მოპასუხეებმა წარმოდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. შ-ისა და თ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ნ. შ-ი ცნობილ იქნა თიანეთის რაიონის სოფ. ზ-ში მდებარე 3503 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების 1/12 ნაწილის მესაკუთრედ. ამავე გადაწყვეტილებით თ. ი-ი ცნობილ იქნა თიანეთის რაიონის სოფ. ზ-ში მდებარე 3503 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების 7/24 ნაწილის მესაკუთრედ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს პ. ლ-მა და ნ. ი-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით ნ. ი-ის ნაწილში სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგი საფუძვლებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ზემოაღნიშნული ნორმა იმპერატიულია და გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გაგრძელებას არ ითვალისწინებს. საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით გადაწყვეტილების ჩაბარების შესახებ დასტურდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნ. ი-ს 2012 წლის 7 თებერვალს პირადად ჩაჰბარდა. პალატამ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა, კონკრეტულ შემთხვევაში, იწყება 2012 წლის 8 თებერვალს, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილით წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. აღნიშნული 14-დღიანი ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს 2012 წლის 22 თებერვალი ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება აპელანტს გააჩნდა 2012 წლის 22 თებერვლის ჩათვლით. სააპელაციო საჩივარი აპელანტის მიერ შეტანილ იქნა 2012 წლის 19 მარტს, კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ნ. ი-მა და პ. ლ-მა შემდეგი დასაბუთებით: გასაჩივრებული გადაწყვეტილება 7 თებერვალს ვერც ერთ მხარეს და, მათ შორის, ნ. ი-საც ვერ ჩაჰბარდებოდა, ვინაიდან, იგი გამოტანილია 2012 წლის 28 თებერვალს, ანუ სასამართლოს მიერ მითითებული თარიღიდან 21 დღის შემდეგ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო საჩივარი წარდგენილია კანონით დადგენილ ვადაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი, რომელიც წარმოდგენილია ნ. ი-ისა და პ. ლ-ის მიერ ნ. ი-ის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პ. ლ-ის ნაწილში უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი ნ. ი-ის ნაწილში დარჩა განუხილველი, გასაჩივრებული განჩინება პ. ლ-ის მიმართ არ არის გამოტანილი და არც უშუალოდ ეხება მას. შესაბამისად, კერძო საჩივრის შემოტანაზე უფლება-მოსილი პირი მხოლოდ ნ. ი-ია. აღნიშნულიდან გამომდინარე, პ. ლ-ის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო პალატის 2012 წლის 2 აპრილის განჩინებაზე უნდა დარჩეს განუხილველი.

საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის არგუმენტების შესწავლის შედეგად საკასაციო სასამართლო იზიარებს ნ. ი-ის მოსაზრებას სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ 14-დღიან ვადაში წარდგენასთან დაკავშირებით შემდეგი დასაბუთებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ ვადის გასვლის შემდეგ. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მოდავე მხარე, რომელიც არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია, შეიტანოს სააპელაციო საჩივარი მისი კანონით დადგენილი წესით გადაცემიდან 14 დღის ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

საქმეში მოცემული ჩაბარების ხელწერილით დგინდება, რომ ნ. ი-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება 2012 წლის 7 თებერვალს ჩაბარდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. ამდენად, საქმის განხილველი სასამართლოს ვალდებულებაა, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპზე ზუსტად და უტყუარად გამოარკვიოს მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტი. აღნიშნული ფაქტის უტყუარად დადგენა მნიშვნელოვანია, რადგან სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით მხარეს ერთმევა უფლება, სასამართლო წესით დაიცვას თავისი ინტერესი. უფლების სასამართლო წესით დაცვა კი, უზრუნველყოფილია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით და მის ერთ-ერთ ძირითად, ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

ცხადია, 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება მხარეს 2012 წლის 7 თებერვალს ვერ ჩაბარდებოდა, შესაბამისად, გადაწყვეტილების ჩაბარების ხელწერილში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ი-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აპრილის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

ნ. ი-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

პ. ლ-ის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველი.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აპრილის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-140-133-2010

1 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

## 6. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სარჩელის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 26 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სასარჩელო განცხადებით მიმართა სს „გ. ტ-მა“ მოპასუხე შპს „ნ-ა“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა დასახელებული არბიტრაჟის 2009 წლის 23 დეკემბრის №19-09 გადაწყვეტილების გაუქმება.

სარჩელის თანახმად, 2007 წლის 19 ოქტომბერს, ერთი მხრივ, თ. ყ-ს, გ. ს-ძეს, ი. ძ-ურს, მ. ც-იას, ვ. კ-ავას, მ. ლ-იას, გ. ბ-შვილს, ი. გ-ძეს, მ. კ-ძეს და ბ. მ-იანს, ხოლო მეორე მხრივ, შპს „ი. ს-ს“ შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე ზემოთითებულმა ფიზიკურმა პირებმა შპს „ი. ს-ს“ ასესხეს თანხა. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა შპს „ი. ს-ს“ საკუთრებაში არსებული ქონება, კერძოდ, თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მშენებარე სარდაფი ფართით 561.02კვ.მ. 2008 წლის 17 ოქტომბერს შპს „ი. ს-ს“ და სს „გ. ს. კ-ს“ (ამჟამად სს „გ. ტ-ი“) შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ტელეკომმა შეიძინა შპს „ი. ს-ს“ კუთვნილი ქონების ნაწილი, კერძოდ, 561.02კვ.მ არასაცხოვრებელი ფართიდან 36კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. 2009 წლის 25 ნოემბერს ერთ-ერთმა იპოთეკარმა – თ. ყ-მ შპს „ი. ს-ს“-სთან (9 955 აშშ დოლარის) დაკისრების მოთხოვნით საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართა კერძო არბიტრაჟს. შპს „ნ-ა“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2009 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ყ-ის საარბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილდა, შპს „ი. ს-ს“ პრეტენდენტის სასარგებლოდ დაეკისრა მოთხოვნილი თანხების გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოპასუხის მიერ დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში მომხდარიყო ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების, 561 კვ.მ ფართზე მდებარე მშენებარე სარდაფის რეალიზაცია.

მოსარჩელის მოსაზრებით, არბიტრაჟის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგობაზე მიუთითებდა ის გარემოება, რომ სს „გ. ტ-ი“ საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობდა არასწორი პროცესუალური სტატუსით – მესამე პირად. ამასთან, გადაწყვეტილებით განისაზღვრა ტელეკომის კუთვნილი ქონების რეალიზაცია ისე, რომ ეს უკანასკნელი მხარედ მიწვეული არ ყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განჩინებით სს „გ. ტ-ს“ უარი ეთქვა შპს „ნ-ა“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის მიღებაზე იმ მოტივით, რომ სარჩელი არ იყო სააპელაციო სასამართლოს განსჯადი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>12</sup> მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებზე, 356<sup>13</sup>, 356<sup>24</sup> მუხლებზე, რომელთა თანახმად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესით; არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში; საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების შესახებ საქმეებს განიხილავს სააპელაციო სასამართლოები; „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით განსაზღვრული საფუძველით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა შპს „ნ-ა“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2009 წლის 23 დეკემბრის №19-09 გადაწყვეტილების გაუქმებას.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის თანახმად, ეს კანონი ამოქმედდა 2010 წლის 1 იანვრიდან.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ნ-ა“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის გაუქმებასაც მხარე ითხოვდა, მიღებული იყო 2009 წლის 23 დეკემბერს, მასზე არ ვრცელდებოდა 2010 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით დადგენილი წესი. შესაბამისად, სარჩელი არ წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოს განსჯადს. სს „გ. ტ-ს“ სადავო საკითხზე სარჩელით უნდა მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს „გ. ტ-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ სადავო სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად არ უნდა იქნეს გამოყენებული „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 2009 წლის 19 ივნისის კანონით დადგენილი დანაწესი, რომელიც შეეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სარჩელის განსჯადობას და ასეთი სარჩელის განხილვის უფლებამოსილებას სააპელაციო სასამართლოს მიაკუთვნებს.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს.

გარდა ამისა, კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს „არბიტრაჟის შესახებ“ 2009 წლის 29 ივნისის კანონის 46-ე მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის მიხედვით, ამ კანონის ამოქმედებამდე დაწყებული, ჯერ კიდევ

დაუმთავრებელი საარბიტრაჟო დავები განიხილება „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ 1997 წლის 17 აპრილის კანონით განსაზღვრული წესით, თუ მხარეები არ შეთანხმდნენ აღნიშნული დავების „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით განიხილვაზე. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში საქმე შეეხება არბიტრაჟში განხილულ (დამთავრებულ) საქმეს, რომელიც სს „გ. ტ-მა“ 2010 წლის იანვარში – „არბიტრაჟის შესახებ“ 2009 წლის 29 ივნისის კანონის მოქმედების პერიოდში გაასაჩივრა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ დასახელებული კანონის მოქმედება მასზე უნდა გავრცელდეს.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს, თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს. „არბიტრაჟის შესახებ“ ამჟამად მოქმედი კანონის 47-ე მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ 1997 წლის 17 აპრილის კანონი, რის გამოც, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მისი მოქმედების მოცემულ შემთხვევაში გავრცელება არასწორია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>13</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტისა და „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების შესახებ საქმეებს განიხილავენ სააპელაციო სასამართლოები. აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სს „გ. ტ-ის“ სარჩელი უნდა განიხილოს სწორედ სააპელაციო სასამართლომ.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და სს „გ. ტ-ის“ სარჩელი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

„არბიტრაჟის შესახებ“ 2009 წლის 19 ივნისის კანონის საქართველოში საარბიტრაჟო წარმოების წესები ახლებურად მოწესრიგდა. დასახელებული კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და 42-ე მუხლით განისაზღვრა სააპელაციო სასამართლოების ქვემდებარე საქმეები, მათ შორის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების მოთხოვნით აღძრული დავა. გარდა ამისა, 2009 წლის 29 ივნისის კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დამატა ცალკე XLIV<sup>3</sup> თავი – „არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების განხილვის თავისებურებანი“, რომლის 356.13 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილით ასევე დადგინდა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების შესახებ საქმეებს განიხილავენ სააპელაციო სასამართლოები. მითითებული საკანონმდებლო ცვლილებების – „არბიტრაჟის შესახებ“ 2009 წლის 19 ივნისის კანონისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV<sup>3</sup> თავის ნორმების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2010 წლის 1 იანვარი. აღნიშნული ნიშნავს, რომ უკვე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების მოთხოვნით აღძრული დავის განხილვა 2010 წლის 1 იანვრიდან სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

სადავო საკითხის სწორად გადასაწყვეტად მხედველობაშია მისაღები აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით დადგენილი სამოქალაქო საპროცესო ნორმების დროში მოქმედების პრინციპი. დასახელებული ნორმის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს. ამდენად, კანონმდებელი განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედებას დროში, საიდანაც გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სამოქალაქო საპროცესო კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ახალი კანონი. ისეთი საპროცესო მოქმედებები, რომლებიც ახალი კანონმდებლობის ამოქმედების პირობებში უნდა განხორციელდეს, შესრულდება არა ძველი, არამედ ახალი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

სადავო ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება „არბიტრაჟის შესახებ“ 2009 წლის 19 ივნისის საქართველოს კანონის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, რამდენადაც იგი აწესრიგებს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საარბიტრაჟო დავის შემდგომი განხილვის საკითხს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში საარბიტრაჟო დავა უკვე დასრულებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „გ. ტ-ის“ სარჩელი თბილისის სააპელაციო სასამართლოს განსჯადია.

რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სარჩელის დასაშვებობის სხვა წინაპირობების დაცულობის საკითხზე, საკასაციო სასამართლო აუქმებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განჩინებას და საქმეს სარჩელის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უბრუნებს იმავე სასამართლოს.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განჩინება და საქმე სს „გაერთიანებული ტელეკომის“ სარჩელის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### განჩინება

№ას-490-464-11

30 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეცი

დავის საგანი: თანხის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ბ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. რ-შვილის მიმართ და მოითხოვა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით 1625 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, თბილისში, ... ქუჩა №62-ში მდებარე მოპასუხე ლ. რ-შვილის კუთვნილ შენობა-ნაგებობაში არსებული 23,44 მ<sup>2</sup> საერთო ფართის საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემა.

მოპასუხე ლ. რ-შვილმა არ ცნო სარჩელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ზ. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ზ. ბ-შვილს მოპასუხე ლ. რ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 1625 აშშ დოლარის გადახდა და, ამ ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ, დადგინდა, რომ ზ. ბ-შვილს საკუთრებაში გადაეცეს თბილისში, ... ქუჩა №62-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული, მოპასუხე ლ. რ-შვილის საკუთრებაში არსებული 23,44 მ<sup>2</sup> საერთო ფართის საცხოვრებელი სადგომი, რაც სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ლ. რ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 14 მარტის განჩინებით ლ. რ-შვილის სააპელაციო საჩივარი, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, დარჩა განუხილველი შემდეგი დასაბუთებით: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 იანვრის განჩინებით ლ. რ-შვილს დაევალა, მიეთითებინა, თუ რაში მდგომარეობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობა, ასევე მიეთითებინა გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ასაბუთებდა სააპელაციო საჩივარს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 იანვრის განჩინებით აპელანტ ლ. რ-შვილს გაუგრძელდა საპროცესო ვადა 5 დღით, სადაც აღინიშნა რომ 2011 წლის 21 იანვარს სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილ დაზუსტებულ სააპელაციო საჩივარში აპელანტის მიერ მითითებული მოთხოვნა – დაკმაყოფილებულ იქნას მოსარჩელის მოთხოვნა მის მიერ თანხის გადახდის სანაცვლოდ ზ. ბ-შვილის მიერ საცხოვრებელი სადგომის დათმობის თაობაზე, არ მიიჩნევა მისი, როგორც აპელანტის, მოთხოვნის დაზუსტებად.

2011 წლის 7 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა ლ. რ-შვილმა, რომელმაც დააზუსტა მოთხოვნა და განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ ნაწილობრივ აღიარა მისი მოთხოვნა, შესაბამისად, პირველი სასარჩელო მოთხოვნის აღიარება ავტომატურად გამოირიცხავდა მოსარჩელის მეორე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას. მოთხოვნები იყო ალტერნატიული და პირველი მოთხოვნის აღიარებით შეუძლებელი იყო მისი მეორე მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 16 თებერვლის განჩინებით აპელანტ ლ. რ-შვილს იმავე საფუძვლებით კვლავ გაუგრძელდა საპროცესო ვადა 5 დღით.

2011 წლის 7 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა ლ. რ-შვილმა, რომელმაც განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ხარვეზის ამ საფუძვლით დადგენა და, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიუღებლობა დაუშვებელი იყო. იგი შესაძლებელია მიღებულ იქნას სასამართლოს სხდომაზე განხილვის შედეგად და სასამართლო გადაწყვეტილებით.

პალატამ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს დაეკისრა ლ. რ-შვილის სასარგებლოდ 1625 აშშ დოლარის გადახდა, ზ. ბ-შვილის საკუთრებაში სადავო ფართის გადაცემის სანაცვლოდ, ხოლო სააპელაციო საჩივრით აპელანტი ლ. რ-შვილი ითხოვდა ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც დაკმაყოფილებული იქნებოდა ზ. ბ-შვილის მოთხოვნა, ლ. რ-შვილის მიერ

თანხის გადახდის სანაცვლოდ, ზ. ბ-შვილის მხრიდან სადგომის დათმობის შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 იანვრისა და ამავე წლის 16 თებერვლის განჩინებებით აპელანტს დაევალა, დაეზუსტებინა მოთხოვნა. აღნიშნული განჩინებებით აპელანტს ასევე განემარტა, რომ მოთხოვნა თავისი პროცესუალური თვალსაზრისით დაყენებული უნდა ყოფილიყო სარჩელით ან შეგებებული სარჩელით, ხოლო სააპელაციო საჩივრით დაუშვებელი იყო იმ მოთხოვნის დასმა, რაც სარჩელის ან შეგებებული სარჩელის სახით შეიძლებოდა დასმულიყო პირველი ინსტანციის სასამართლოში.

პალატამ მიუთითა, რომ, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა თავისი არსით წარმოადგენდა პირის მატერიალურ-სამართლებრივი უფლების რეალიზაციის საშუალებას, მოცემულ შემთხვევაში ასეთი მოთხოვნის დაყენება სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელი იყო. პალატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში დავის საგანი შეიძლება ყოფილიყო ის, თუ რამდენად სწორად, ანუ კანონშესაბამისად იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული.

პალატამ მიიჩნია, რომ ლ. რ-შვილმა სააპელაციო მოთხოვნა ვერ დააზუსტა ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნათა დაცვით, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. რ-შვილმა შემდეგი დასაბუთებით: განსახილველ დავაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოსარჩელის პირველი სასარჩელო მოთხოვნის აღიარება ავტომატურად გამოირიცხავდა მოსარჩელის მეორე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის მოთხოვნები ალტერნატიული იყო და პირველი მოთხოვნის აღიარებით შეუძლებელი იყო მისი მეორე მოთხოვნის დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს მიერ მეორე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება იყო უსაფუძვლო და მან ამ გარემოებაზე დაყრდნობით წარადგინა სააპელაციო საჩივარი. აღნიშნული კი, საკმარის საფუძველს წარმოადგენდა იმისათვის, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმე განეხილა არსებითად.

გარდა ამისა, კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 იანვრის განჩინებაში მოყვანილ მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ პირველ ინსტანციის სასამართლოში მას უნდა დაეყენებინა სარჩელი ან შეგებებული სარჩელი. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ის განმარტავს, რომ მოსარჩელე ზ. ბ-შვილის მიერ მოთხოვნა დაყენებული იყო იმგვარად, რომ საჭიროებას არ წარმოადგენდა სარჩელის ან შეგებებული სარჩელის აღძვრა. ამასთან, მან ნაწილობრივ აღიარა სასარჩელო მოთხოვნა, თუმცა ვერ შეთანხმდა ზ. ბ-შვილთან თანხის გადახდის ვადაზე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. რ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 იანვრისა და ამავე წლის 16 თებერვლის განჩინებებით ლ. რ-შვილს დაევალა, დაეზუსტებინა მოთხოვნა. აღნიშნული განჩინებებით აპელანტს ასევე განემარტა, რომ მოთხოვნა თავისი პროცესუალური თვალსაზრისით დაყენებული უნდა ყოფილიყო სარჩელით ან შეგებებული სარჩელით, ხოლო სააპელაციო საჩივრით დაუშვებელი იყო იმ მოთხოვნის დასმა, რაც სარჩელის ან შეგებებული სარჩელის სახით შეიძლებოდა დასმულიყო პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ლ. რ-შვილმა სააპელაციო საჩივრით სადავოდ გახადა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის საცხოვრებელი ფართის ზ. ბ-შვილის საკუთრებაში მართლზომიერად გადაცემის საკითხი. ამავე საჩივარში ლ. რ-შვილმა მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს იმ მოტივით, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მის მიერ ნაწილობრივ იქნა აღიარებული, ხოლო პირველი სასარჩელო მოთხოვნის აღიარება ავტომატურად გამორიცხავდა მოსარჩელის მეორე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ აპელანტ ლ. რ-შვილის მოთხოვნა თავისი არსით წარმოადგენდა პირის მატერიალურ-სამართლებრივი რეალიზაციის საშუალებას და ასეთი მოთხოვნის დაყენება სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს მითითებას, იმის თაობაზე, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი, ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. მითითებული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებამდე შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის კანონითგათვალისწინებული წინაპირობები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 308-ე, 365-ე, 366-ე, 368-ე, 370-ე მუხლები). რაც შეეხება სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის (მოცემულ შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილებულიყო თუ არა სარჩელი) ფაქტობრივ და იურიდიულ დასაბუთებას, ასევე პროცესუალური უფლებების მხარის მიერ კანონიერ გამოყენებას, აღნიშნულს შეფასება უნდა მიეცეს საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა სააპელაციო საჩივრით სადავოდ გახადა მოსარჩელისათვის საცხოვრებელი ფართის გადაცემის მართლზომიერების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას, რომ სააპელაციო პალატის ზემოთ მითითებული მოსაზრება წარმოადგენს არა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონიშნების სტადიაზე, არამედ საქმის არსებითი განხილვისას გადასაწყვეტ საკითხს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას ასკვნის, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს. სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონიშნების მხედველობაში უნდა მიიღოს ზემოთ მითითებული გარემოებები და შესაბამისად გადაწყვიტოს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**ღ ა ა ღ გ ი ნ ა:**

ლ. რ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა**

**განჩინება**

№ას-686-652-2013

26 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

თ. თოდრია,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ჯ. ტ. ე-ამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ვ. ს-ის“ მიმართ მხარეთა შორის არსებული ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გადაზიდვის ორგანიზებისათვის მომსახურების საფასურის – 1070 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება თავად მოსარჩელემ დაარღვია, რის გამოც მოპასუხეს თანხის გადახდის ვალდებულება არ წარმოშობია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ვ. ს-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 6 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიუთითა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 21 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

საქმეში წარმოდგენილი გადაწყვეტილების ჩაბარების შესახებ ხელწერილით დასტურდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოპასუხე შპს „ვ. ს-ის“ წარმომადგენელ ა. ე-ს ჩაბარდა პირადად 2013 წლის 10 მაისს, ხოლო გადაწყვეტილების ჩაბარების 30-დღიანი ვადა ამოიწურა 2013 წლის 8 მაისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მესამე ნაწილის, 63-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა კონკრეტულ შემთხვევაში იწყება 2013 წლის 9 მაისიდან, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილით წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. აღნიშნული 14-დღიანი ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს 2013 წლის 22 მაისი ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება აპელანტს გააჩნდა 2013 წლის 22 მაისის ჩათვლით.

პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივარი აპელანტმა შეიტანა 2013 წლის 23 მაისს, კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „ვ. ს-მა“ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

შპს „ვ. ს-მა“ არაერთხელ მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების მიზნით, თუმცა არც ერთი მისი სატელეფონო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

2013 წლის 7 მაისს მხარემ განცხადება შეიტანა სასამართლოში გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით, თუმცა გადაწყვეტილების ასლი მხოლოდ 2013 წლის 10 მაისს ჩაბარდა.

ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების ასლი მხარეს დროულად სასამართლოს მიზეზით არ ჩაბარდა, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა 2013 წლის 10 მაისიდან უნდა დაწყებულიყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ვ. ს-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ შპს „ვ. ს-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევის გამო.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, 259<sup>1</sup> მუხლებით და მიიჩნია, რომ მხარეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების ასლის ჩასაბარებლად სასამართლოსათვის უნდა მიემართა არა უადრეს 21 და არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილების ჩაბარების 30-დღე ამოიწურა 2013 წლის 8 მაისს. პალატამ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღის გასვლის შემდგომ, – 2013 წლის 9 მაისს და ჩათვალა, რომ მხარეს სააპელაციო საჩივრის შეტანა შეეძლო 2013 წლის 22 მაისის ჩათვლით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ვ. ს-ის“ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლისას სააპელაციო პალატას საქმის მასალები სრულყოფილად არ გამოუკვლევია, საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე ყურადღება არ გაუმახვილებია და არც სადავო ვადის გამოთვლის წესი არ დაუცავს.

სააპელაციო საჩივრის შეტანის პირობებს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო. ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით კი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ მხარისათვის, რომელიც ესწრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, კანონმდებელი განსაზღვრავს ვალდებულებას, რათა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში, „არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღის“ ათვლისათვის გამოყენებული უნდა იქნეს საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადის გამოთვლის ზოგადი წესი, კერძოდ მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლისავე განსაზღვრულია მისი დასაწყისი. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპით გამოთვლილი მე-20 დღე არის იმ მოქმედების შესრულების პირველი დღე, რაც უკავშირდება სასამართლოში გამოცხადებას და ასეთად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს 21-ე დღე, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა. ანალოგიურად უნდა განიმარტოს 30-ე დღე, როგორც ერთის მხრივ მხარის მიერ სასამართლოში გამოცხადების ბოლო დღე (მიუხედავად იმისა ემთხვევა თუ არა უქმე და დასვენების დღეს) და იმავდროულად გასაჩივრების ვადის ათვლის პირველი დღე, თუკი მხარე დაარღვევს სასამართლოში გამოცხადების კანონისმიერ ვალდებულებას.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა შპს „ვ. ს-ის“ წარმომადგენელი ს. ჯ-ე, რომელსაც საქმეში წარმოდგენილი მინდობილობის თანახმად, მარწმუნებლის სახელით სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება გააჩნდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების ასლის მისაღებად მოპასუხე ვალდებული იყო, სასამართლოსათვის მიემართა არა უადრეს 2013 წლის 28 აპრილისა და არა უგვიანეს 2013 წლის 8 მაისისა.

საქმის მასალებში წარმოდგენილი განცხადებით დასტურდება, რომ 2013 წლის 7 მაისს შპს „ვ. ს-ის“ წარმომადგენელმა ა. ე-მა წერილობით მიმართა სასამართლოს სადავო გადაწყვეტილების ჩაბარების თხოვნით, თუმცა, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება (როგორცაა სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი შესაბამისი აქტი), რაც დაადასტურებდა, რა მიზეზით ვერ ჩაბარდა მხარეს ხსენებული გადაწყვეტილების ასლი. აღნიშნული გარემოების შეფასების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ვ. ს-მა“ თავისი მოვალეობა შეასრულა და კანონით დადგენილ ვადაში მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების მოთხოვნით. ამასთან, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ მხარეს გადაწყვეტილება მისივე ბრალით არ გადასცემია, ივარაუდება, რომ სასამართლოს მზად არ ჰქონდა დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ამდენად, სრულიად დასაბუთებულია კერძო საჩივრის არგუმენტი, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს შპს „ვ. ს-ის“ წარმომადგენელ ა.ე-ის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 2013 წლის 10 მაისს ჩაბარების მომენტიდან. ასეთ შემთხვევაში, მითითებული ვადის დენა დაიწყო 2013 წლის 11 მაისს და ამოიწურა 24 მაისს, რაც უდავოდ აქარწყლებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას გასაჩივრების ვადის დარღვევასთან დაკავშირებით, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი შეტანილია 2013 წლის 23 მაისს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. შპს „ვ. ს-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 6 ივნისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### განჩინება

№ას-626-595-2013

1 აგვისტო, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსგამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ს. ს. ე. კ-ამ“ სარჩელი აღძრა სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-ის“ მიმართ და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და თანხის დაკისრება მოითხოვა.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2013 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ს. ს. ე. კ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს შპს „ს. ს. ე. კ-ის“ სასარგებლოდ 240 370 ლარის გადახდა დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-იმ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის განჩინებით წარდგენილი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. პალატამ დადგინებულ მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქმის მასალებით დადგენილია, რომ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2013 წლის 28 მარტის სხდომას ესწრებოდა აპელანტის წარმომადგენელი ნ. ქ-ა. ასევე დადგენილია, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება აპელანტის წარმომადგენელს მ. ე-ს გადაეცა ხელზე 2013 წლის 26 აპრილს, რაც დადასტურებულია საქმეში არსებული განცხადება-ხელწერილით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გასაჩივ-

რების ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 27 აპრილიდან (გადაწყვეტილების წარმომადგენლისათვის ხელზე გადაცემიდან მეორე დღეს) და გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2013 წლის 10 მაისს. დადგენილია, რომ სს „სადაზღვევო კომპანია ა. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს ჩაბარდა კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ 2013 წლის 13 მაისს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე კერძო საჩივარი წარადგინა სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-ის“ წარმომადგენელმა მ. ე-მა და მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა კანონით დადგენილ ვადაში, რასაც ადასტურებს საფოსტო ბარათი.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად ასახელებს იმ ფაქტს, რომ სააპელაციო საჩივარი ფოსტას წარუდგინა კანონით დადგენილ ვადაში, რასაც ადასტურებს საფოსტო გზავნილის ქვითარი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოში წარდგენის თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდამათხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდამათხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. აღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში წარდგენილად მიიჩნევა, თუ მხარე აღნიშნულს წარადგენს სასამართლოში ან ამავე ვადის დაცვით გააგზავნის ფოსტის მეშვეობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის წესს. დასახელებული ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილია, რომ სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

დადგენილია, რომ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2013 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება მხარემ კანონით დადგენილ ვადაში 2013 წლის 26 აპრილს ჩაიბარა. შესაბამისად, გასაჩივრების ვადის ათვლა ამავე წლის 27 აპრილს დაიწყო და 2013 წლის 10 მაისს ამოიწურა. კერძო საჩივარზე დართული საფოსტო ქვითრით დგინდება, რომ სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-იმ“ 2013 წლის 10 მაისს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში გზავნილი გააგზავნა. აღნიშნული საფოსტო გზავნილის ქვითრის შეფასების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენა განხორციელდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ ვადაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა ა დ ბ ი ნ ა:**

სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უსწორების განწმობა**

**განჩინება**

№ას-1237-1087-2010

24 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემაღვენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომსახურებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 13 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს „ა. ე-მა“ მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო მოპასუხისათვის 16639.12 ლარის დაკისრება.

სარჩელის თანახმად, 2008 წლის 22 იანვარს მოდავე მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №74. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მოსარჩელის ვალდებულება, განეხორციელებინა სატელეფონო მომსახურება ფინანსთა სამინისტროს სახელზე რიცხულ შესაბამის ნომრებზე. ამავე ხელშეკრულების 2.1 პუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი იღებდა ვალდებულებას, გაენია ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის სატელეფონო მომსახურება, ხოლო 4.2 პუნქტის მიხედვით, ანგარიშსწორება მოხდებოდა ფაქტიურად განეული მომსახურების მიხედვით მხარეთა შორის შეთანხმებული პრეისკურანტის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მოსარჩელის მითითებით, 2009 წლის 16 იანვარს შედგენილ იქნა შედარების აქტები, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ ბათუმის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) გააჩნია სატელეფონო მომსახურების დავალიანება 8588.36 ლარის ოდენობით, რეგიონალურ ხაზინას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 672.23 ლარის ოდენობით, საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს – 7270.37 ლარის ოდენობით, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ბათუმის განყოფილებას – 108.16 ლარის ოდენობით. დასახელებულ ორგანიზაციებზე განეული სატელეფონო მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენდა 16639.12 ლარს, რასაც მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ნებაყოფლობით არ ანაზღაურებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომელმაც 2010 წლის 10 თებერვლის საოქმო განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადააგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ა. ე-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 16639.12 ლარის გადახდა, მასვე დაევალა შპს „ა. ე-სათვის“ 499.18 ლარის ანაზღაურება ამ უკანასკნელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ მხარეთა შორის 2008 წლის 22 იანვარს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №74. ამ ხელშეკრულების თანახმად, შპს „ა. ე-ს“ სატელეფონო მომსახურება უნდა გაენია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის. მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე მათ შორის წარმოიშვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. როგორც დადგინდა, შპს „ა. ე-მა“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებს გაუწია სატელეფონო მომსახურება, მათ შორის, სადავოდ გამხდარი საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება. აღნიშნულმა დაწესებულებებმა ეს მომსახურება მიიღეს. განეული სატელეფონო მომსახურების საფასური არ ანაზღაურებულა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურებაზე მხარეთა შორის შეთანხმების არარსებობის შესახებ. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის შესაბამისად, ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად განეული მომსახურების მიხედვით, მხარეთა შორის შეთანხმებული პრეისკურანტის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ თავად ხელშეკრულება და მისი დანართი №2, აგრეთვე, საქმეზე წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტები, №181/7, №223/7, №254/7 წერილები, მოპასუხის მიერ 2008 წლის აპრილში, მაისში, ივნისში, ივლისში, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, წარმოადგენდა სადავო გარემოებების დამადასტურებელ სარწმუნო მტკიცებულებებს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოპასუხისადმი გაგზავნილ №181/7, №223/7, №254/7 წერილებში დაფიქსირებული იყო საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურების თაობაზე. მოპასუხე დათანხმდა ამგვარი შინაარსის მომსახურების განევის ანუ ოფერტს (სამოქალაქო კოდექსის 335-ე მუხლი), რაც შესაბამის სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდა.

სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლის თანახმად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან

ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მიხედვით, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნის შესრულებლობა ინვეს ვალდებულების დარღვევას. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლებები უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შპს „ა. ე-ს“ მიმართ გააჩნდა შესასრულებელი ვალდებულება – აენაზლაურებინა განეული სატელეფონო მომსახურების საფასური.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ა. ე-ს“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შპს „ა. ე-ს“ მიმართ დაეკისრა 912.14 ლარის გადახდა, მასვე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი სახელმწიფო ბიჯეტის სასარგებლოდ 57 ლარის ოდენობით. ამავე გადაწყვეტილებით შპს „ე-ს“ დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით 608.52 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ საქმეში განთავსებული მიღება-ჩაბარებისა და შედარების აქტები ადასტურებდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავალიანებას მოსარჩელის წინაშე. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული მიღება-ჩაბარებისა და შედარების აქტებით დადასტურებულად ვერ მიიჩნეოდა ვალის არსებობის ფაქტი, რადგან მითითებული მტკიცებულებები არ შეიცავდნენ კონკრეტულად მითითებულ იმის შესახებ, თუ რომელი ხელშეკრულების საფუძველზე გაენია ორგანიზაციას სატელეფონო მომსახურება, კონკრეტულად რა სახის მომსახურება გაენია და ა.შ., რაც რეალურს ვახდისა და მოპასუხეზე თანხის დარიცხვას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ისეთი რეკვიზიტები, როგორცაა წარმოადგენდა ხელშეკრულების ნომერი, განეული მომსახურების სახე (საქალაქთაშორისო, სააბონენტო თუ სხვა) და ა.შ. ვახდისა სამართლებრივად სრულყოფილ და სარწმუნო დოკუმენტებად მითითებულ მიღება-ჩაბარების აქტებს, რამდენადაც ეს ის კონკრეტული რეკვიზიტებია, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც იქნებოდა შესაძლებელი მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობების რეალურად გარკვევა. სააპელაციო სასამართლომ საკითხის ამგვარად შეფასების საფუძველად მიუთითა იმ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის დავის საგანს წარმოადგენდა კონკრეტული, მათ შორის გაფორმებული №74 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული და განეული მომსახურების ანაზლაურება და არა სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.

რაც შეეხებოდა განეულ მომსახურებას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იგი უნდა განსაზღვრულიყო საქმეზე წარდგენილი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, რომლის თანახმადაც მომსახურებისათვის განეული თანხა შეადგენდა 513.82 ლარს და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც, გადახდას ექვემდებარებოდა 472.44 ლარი და 439.70 ლარი. მითითებული თანხების ჯამი შეადგენდა 1425.96 ლარს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავალიანება შპს „ა. ე-ს“ მიმართ, 2008 წლის 22 იანვარს გაფორმებული №74 ხელშეკრულების საფუძველზე შეადგენდა 1425.96 ლარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ზემოთ დასახელებულ გადაწყვეტილებაში გასწორდა უსწორობა, კერძოდ, გადაწყვეტილების დადგენილებისთანავე ნაწილის მეოთხე პუნქტში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრებული თანხის ოდენობად მიუთითა 1425.96 ლარი, ნაცვლად თანხისა – 912.14 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დასაკისრებელი თანხის ოდენობად 912.4 ლარზე მითითება წარმოადგენდა მექანიკურ (ბეჭდვით) შეცდომას. ამ თანხის ნაცვლად მითითებული უნდა ყოფილიყო 1425.96 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული უსწორობა ექვემდებარებოდა გასწორებას, რაც გამომდინარეობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით დადგენილი დანაწესიდან.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გადასახდელი თანხა შეადგენდა 1425.96 ლარს. საქმის მასალებით აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება კი არ დასტურდება, პირიქით, ის ირკვევა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „ა. ე-ს“ შორის 2008 წლის 22 იანვრის №74 ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილია მითითებული 1425.96 ლარი. უპირველეს მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხრიდან შპს „ა. ე-ს-სათვის“ 1425.96 ლარის (მათ შორის: 513.82 ლარი, 474.44 ლარი და 439.70 ლარი) გადახდას, წარმოადგენს შპს „ა. ე-ს“ სარჩელი და მასზე თანდართული დოკუმენტები. შპს „ა. ე-ს“ სარჩელში მიუთითებდა, რომ საქართველოს ფინანსთა სა-

მინისტრომ უსაფუძვლოდ განაცხადა უარი გარკვეული თანხების გადახდაზე, თუმცა იკისრა ვალდებულება გადაეხადა 472.44 ლარი და 439.70 ლარი. დასახელებული თანხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გადახდა სადავოს არ წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში სადავო თანხა იქნებოდა ბევრად დიდი. 1425.96 ლარის გადახდა დასტურდება ასევე სარჩელზე თანდართული დოკუმენტებით. მოსარჩელე სარჩელში, აგრეთვე მოსაზრებებსა და სააპელაციო საჩივარზე წარდგენილ შესაგებელში ეყრდნობა 2009 წლის 16 იანვრის შედარების აქტს, სადაც დაფიქსირებულია თანხა 16639.12 ლარის ოდენობით. ამ შედარების აქტს ერთვის უწყისი, სადაც დათვლილია, თუ რის საფუძველზეა მიღებული სარჩელის მოთხოვნა. უწყისშივეა მითითებული, რომ იანვარში, თებერვალსა და მარტში მოხდა გადახდები შესაბამისად – 519.82 ლარი, 472.44 ლარი და 439.7 ლარი. ამდენად, დასახელებული მტკიცებულებით ცალსახად დასტურდება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ზემოაღნიშნული თანხა გადაიხადა. კერძო საჩივრის ავტორმა თავისი მსჯელობის დასასაბუთებლად საჩივარს თან დაურთო საგადასახადო მოთხოვნები, აგრეთვე, მათთან დაკავშირებული ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა, რომლებიც როგორც თავად აღნიშნავს, ადასტურებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხრიდან 1425.96 ლარის (რა თანხაც ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით) ანაზღაურებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. კანონის აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დასაშვებია ისეთი შესწორებებისა და დაზუსტებების შეტანა, რომლებიც აშკარად არ შეესაბამება სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსს, რის შესახებაც იყო მსჯელობა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინებით – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით გასწორდა ამავე სასამართლოს 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრებული თანხის ოდენობად მიეთითა 1425.96 ლარი, ნაცვლად თანხისა 912.14 ლარი.

იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს გადაწყვეტილებაში დაშვებულ უსწორობას, ცხადყოფს ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი. გადაწყვეტილების დასაბუთებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლო გარკვევით მითითებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავალიანება შპს „ა. ე-ის“ მიმართ, 2008 წლის 22 იანვარს გაფორმებული №74 ხელშეკრულების საფუძველზე (რაც წარმოადგენდა შპს „ა. ე-ის“ სარჩელის დავის საგანს), შეადგენს 1425.96 ლარს. გადაწყვეტილების ამავე ნაწილში ასახულია მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა მოსაზრებებით იხელმძღვანელა სასამართლომ მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისას. აქედან, ასევე ნათლად ჩანს, რომ გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა სწორედ 1425.96 ლარის გადახდა. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი შეიცავს სასამართლოს დასკვნას, სადაც სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „ა. ე-ის“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1425.96 ლარის გადახდა.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით აშკარაა, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში დაშვებულია მექანიკური ხასიათის შეცდომა, რაც ექვემდებარება გასწორებას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლი.

წარმოდგენილი კერძო საჩივრით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სადავოდ ხდის მისთვის თანხის დაკისრების მართლზომიერებას. კერძო საჩივრის დასაბუთება მთლიანად იმას ეფუძნება, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ანაზღაურებულია. კერძო საჩივარი არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატება უსწორობის გასწორების შესახებ გასაჩივრებული განჩინების უკანონობა. კერძო საჩივრის ავტორის მიერ სადავოდ გამხდარი საკითხი ვერ გახდება საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იხილავს კერძო საჩივრით გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხის გადახდა კი არ დაეკისრა, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებით უკვე დაკისრებული თანხის ოდენობაში შესწორება იქნა შეტანილი. სადავო თანხის გადახდა კი კერძო საჩივრის ავტორს დაეკისრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, რომელიც მხარეების (მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს) მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით. შესაბამისად, დასახელებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს საკასაციო სასამართლო განიხილავს აღნიშნული საკასაციო საჩივრების შემოწმებისას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### უსწორების განცხადება

#### განჩინება

№ას-792-741-10

10 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
მოსამართლე მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. კ-ქმ, ო. დ-ქმ და თ. ი-ქმ სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „... ბათუმისა“ და შპს „...ს“ მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელეთა წარმომადგენელმა ე. პ-ქმ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-ძის, ო. დ-ძისა და თ. ი-ძის წარმომადგენელმა ე. პ-ქმ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, მ. კ-ძეს, ო. დ-ძესა და თ. ი-ძეს დაუბრუნდათ ე. პ-ძის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით 2010 წლის 15 ოქტომბერს №1 საგადასახადო დავალებით გადახდილი 300 ლარი, 2010 წლის 10 ნოემბერს №5 საგადასახადო დავალებით გადახდილი 200 ლარი და 2010 წლის 27 ნოემბერს №1 საგადასახადო დავალებით გადახდილი 100 ლარი, სულ – 600 ლარი.

აღნიშნულ განჩინებაზე 2010 წლის 10 დეკემბერს ამოინერა სააღსრულებო ფურცელი.

მ. კ-ძის, ო. დ-ძისა და თ. ი-ძის წარმომადგენელმა ე. პ-ქმ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ №792-741-10 სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, ერთ-ერთ კრედიტორად ო. დ-ძის ნაცვლად მითითებულია ე. პ-ქმ. მხარემ მოითხოვა განჩინებისა და სააღსრულებო ფურცლის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 დეკემბრის №ას-792-741-10 სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

დასახელებული ნორმის საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწოროს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა თუ სხვა საპროცესო დოკუმენტში დაშვებული უზუსტობა.

აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას 2010 წლის 10 დეკემბრის სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 დეკემბრის №ას-792-741-10 სააღსრულებო ფურცელში ერთ-ერთ კრედიტორად ე. პ-ძე არასწორად მიეთითა. ამდენად, სააღსრულებო ფურცელში „კრედიტორი – 1. ე. პ-ძე, რეკვიზიტი – ქ.ბათუმი, ..... 45, ბინა 35, პირადი №...“ გასწორდეს შემდეგი სახით: „კრედიტორი – ო. დ-ძე, რეკვიზიტი – ქ.მოსკოვი, .... ქ. სახლი 29, კორპუსი 1, ბინა 201, პასპორტის №...“.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 დეკემბრის №ას-792-741-10 სააღსრულებო ფურცელში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

„კრედიტორი – 1. ე. პ-ძე, რეკვიზიტი – ქ.ბათუმი, ..... 45, ბინა 35, პირადი №...“ გასწორდეს შემდეგი სახით: „კრედიტორი – ო. დ-ძე, რეკვიზიტი – ქ.მოსკოვი, ... .. ქ. სახლი 29, კორპუსი 1, ბინა 201, პასპორტის №...“.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უსწორობის განწმენა**

### **განჩინება**

№ას-562-530-2011

29 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: იძულებით განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 11 თებერვალს თ. ც-ძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში სს „ე. ჯ-ას“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა, ბრძანების ბათილად ცნობის, იგივე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის, ასევე 2008 წლის მაისიდან 2010 წლის თებერვლის ჩათვლით მიუღებელი ხელფასის, სულ 50 600 ლარის, მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ც-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „ე. ჯ-ას“ 2008 წლის 1 მაისის №76 გადაწყვეტილება მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბათილად იქნა ცნობილი, მოპასუხეს თ. ც-ძის სასარგებლოდ 19021,93 ლარის გადახდა დაეკისრა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინებით სს „ე. ჯ-ასა“ და თ. ც-ძის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ივნისის განჩინებით სს „ე. ჯ-ას“ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

2011 წლის 27 ივლისს სს „ე. ჯ-ამ“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა და ამავე პალატის 2011 წლის 17 ივნისის განჩინებაში, ასევე ამავე განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორება მოითხოვა.

განმცხადებლის მითითებით, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში 300 ლარის ნაცვლად უნდა ეწეროს 951,05 ლარი. შესაბამისად, აღნიშნული თანხის 70% იქნება 665,74 ლარი, 210 ლარის ნაცვლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ე. ჯ-ას“ განცხადება საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 17 ივნისის განჩინებაში, ასევე ამავე განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიიჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესულ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია განჩინებასა და სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში და ამ განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული არითმეტიკული შეცდომა, კერძოდ, არასწორად მიეთითა სახელმწიფო ბაჟის ოდენობა – „300 ლარის 70% – 210 ლარი“.

საქმეში წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვითრის თანახმად, სს „ე. ჯ-ამ“ გადაიხდა 951,05 ლარი, ამდენად, აღნიშნული თანხის 70% 665,74 ლარია და არა 210 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 260-ე მუხლებით და

#### დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. სს „ე. ჯ-ას“ განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილსა და ამავე განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული „კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) 70% – 210 ლარი“ შეიცვალოს „კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (951,05 ლარის) 70% – 665,74 ლარით“.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### უ ს წ ო რ ე ბ ის ბ ა ს წ ო რ ე ბ ა

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-983-1017-2011 25 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მესაკუთრედ აღრიცხვა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების ნ. ბ-ს, ნ. ს-ასა და დ. თ-ის მიმართ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და მესაკუთრედ აღრიცხვის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 8 ივლისის მინდობილობა, ბათილად იქნა ცნობილი მ. გ-ას, ნ. ს-ასა და ნ. ბ-ს შორის დადებული 2008 წლის 10 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, ბათილად იქნა ცნობილი მ. გ-ასა და ნ. ბ-ს შორის 2008 წლის 12 აგვისტოს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. გათავისუფლდა ნ. ს-ასა და ნ. ბ-ის იპოთეკისგან მ. გ-ას საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ნ-ის ქუჩა №215-ში, №2 კორპუსში მდებარე №7 ბინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, მ. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მ. გ-ას ნ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2846,40 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. გ-ამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით დამტკიცდა მორიგება მხარეებს შორის შემდეგი პირობებით:

1. მ. გ-ა კისრულობს ვალდებულებას ოთხი თვის ვადაში ანუ 2012 წლის 4 თებერვლის ჩათვლით ნ. ბ-ს გადაუხადოს 275000 აშშ დოლარი.

2. ნ. ბ-ი კისრულობს ვალდებულებას თანხის მიღების შემდეგ 3 დღის ვადაში გააუქმოს იპოთეკა მ. გ-ას საკუთრებაში არსებულ ბინაზე მდებარე ქ.თბილისში ნ-ის ქუჩა №215-ში, კორპუსი №2, ბინა №7.

3. მ. გ-ას მიერ დათქმულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში იძულებით აღსასრულებლად მიექცეს მ. გ-ას იპოთეკით დატვირთულ ბინა, თანხის 40000 აშშ დოლარის ნ. ბ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მ. გ-ას და მოითხოვა საკასაციო პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება. განმცხადებლის განმატებით განჩინებაში არასწორადაა მითითებული თანხა, ნაცვლად 275000 ლარისა უნდა იყოს 27500 ლარი.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა ვაეცნო მ. გ-ას განცხადებას სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის განჩინების სამოტივაციო ნაწილში სიტყვები – „გადაუხადოს 275000 აშშ დოლარი“ უნდა გასწორდეს სიტყვებით „გადაუხადოს 27500 აშშ დოლარი. შესაბამისად, სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტში ნაცვლად „275000“ უნდა მიეთითოს „27500“

სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მ. გ-ა კისრულობს ვალდებულებას ოთხი თვის ვადაში ანუ 2012 წლის 4 თებერვლის ჩათვლით ნ. ბ-ს გადაუხადოს 27500 აშშ დოლარი.“

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

**ღ ა ა ღ ზ ი ნ ა :**

მ. გ-ას განცხადება დაკმაყოფილდეს.

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

განჩინების სამოტივაციო ნაწილში სიტყვები – „გადაუხადოს 275000 აშშ დოლარი“ უნდა გასწორდეს სიტყვებით „გადაუხადოს 27500 აშშ დოლარი. შესაბამისად, სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტში ნაცვლად „275000“ უნდა მიეთითოს „27500“.

სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მ. გ-ა კისრულობს ვალდებულებას ოთხი თვის ვადაში ანუ 2012 წლის 4 თებერვლის ჩათვლით ნ. ბ-ს გადაუხადოს 27500 (ოცდაშვიდი ათას ხუთასი) აშშ დოლარი“.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გადაწყვეტილების აღსრულების გადაღება**

**განჩინება**

№ას-176-169-2013

3 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავეიძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების აღსრულების გადაღება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში რ., ი, ლ. გ-ა და ვ. ი-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ვ. ი-ს საიჯარო ქონების ნაკლის გამოუსწორებლობის გამო ვ. გ-ის მიყენებული ზიანის 35 220 ლარის გადახდა დაეკისრა; მოპასუხე ვ. ი-ს საიჯარო ქონების ნაკლის გამოსწორება დაეკისრა, კერძოდ, დაეკისრა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს წყლის მიწოდება საიჯარო უძრავ ქონებაზე, მისამართზე ქ. თბილისი, სოფელი დილომი, ქ. დ-ი, №2; სარჩელი სხვა მოპასუხეების მიმართ არ დაკმაყოფილდა; სარჩელის მოთხოვნა საიჯარო ქირის შემცირების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ი-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით: ვ. ი-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება ვ. ი-ის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შეიცვალა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. გ-ის სარჩელი ვ. ი-ის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ვ. ი-ს ვ. გ-ის სასარგებლოდ 12 915.28 ლარის გადახდა დაეკისრა. ვ. ი-ს საიჯარო ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, სოფელი დილომი, ქუჩა დ-ი №2 წყლის მიწოდების უზრუნველყოფა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. გ-მა და ვ. ი-მა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინებით დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2012 წლის 28 ნოემბერს ვ. ი-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება 3 თვით მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 9 იანვრის განჩინებით ვ. ი-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულება გადაიდო 3 თვით, 2013 წლის 9 აპრილამდე. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. გ-მა, შემდეგი დასაბუთებით: განმცხადებლის მიერ სასამართლოსათვის არ ყოფილა წარმოდგენილი მისი ვალების ოდენობა, რომელიც, როგორც თვითონ აღნიშნავს, აჭარბებს მისი ქონების ღირებულებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლი ითვლისწინებს გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ორ კონკრეტულ საფუძველს: ა) ქონებრივი მდგომარეობისა და ბ) სხვა გარემოებათა გათვალისწინება. გასაჩივრებული განჩინებით არ იქნა გათვალისწინებული მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა. კერძოდ: ის გარემოება, რომ განმცხადებელი ვ. ი-ი არის სოლიდური ღირებულების უძრავი ქონების მესაკუთრე. სასამართლოს განჩინებით მოვალეს აღსრულება გადაუვადდა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების მიზნით, მაშინ როდესაც მოვალე ვ. ი-ს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებისათვის დაეკისრა საკმარისი დრო და მან ამ დროში გადაწყვეტილება არ აღასრულა, პირიქით მიმართავს ყველა მეთოდს, რომ საერთოდ არ აღსრულდეს გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. გ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. ი-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება ვ. ი-ის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შეიცვალა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. გ-ის სარჩელი ვ. ი-ის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ვ. ი-ს ვ. გ-ის სასარგებლოდ 12 915.28 ლარის გადახდა დაეკისრა. ვ. ი-ს საიჯარო ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, სოფელი დილომი, ქუჩა დ-ი №2 წყლის მიწოდების უზრუნველყოფა დაეკისრა.

ვ. ი-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ამავე სასამართლოს 2012 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება 3 თვით მოითხოვა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 9 იანვრის განჩინებით განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მხედველობაში მიიღო საქმეზე დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ ვ. ი-ის პირადი ანგარიში დაყადაღებულია სარჩელის უზრუნველსაყოფად, იჯარის ხელშეკრულებიდან მისაღები თანხები, მოიჯარის მიერ ირიცხება დაყადაღებულ საბანკო ანგარიშზე, საიდანაც შეუძლებელია მოხდეს გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულების ნებაყოფლობით აღსრულება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არ დაუსაბუთებია რა მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება მას აღსრულების გადავადებით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას და აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქო-

ნებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვ.ისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი. დასახელებული ნორმა ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და ორივე მხარის კანონიერ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად ერთჯერადად, არა უმეტეს 3 თვისა გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, ასევე შეცვალოს გადაწყვეტილებით დადგენილი აღსრულების პირობები და საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს რაიმე ობიექტური გარემოების არსებობას ან მიუთითებს თავის მძიმე ქონებრივ მდგომარეობაზე, რაც, სასამართლოს შეფასებით, საფუძვლად დაედება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ღონისძიებათა გამოყენებას.

კერძო საჩივრის ავტორი, ვერ ადასტურებს თუ რა ზიანს აყენებს მას გადაწყვეტილების აღსრულების გადადება და რითი ირღვევა მისი კანონით დაცული ინტერესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტებისა და მხარის ახსნა-განმარტების საფუძველზე, მართებულად დააკმაყოფილა ვ. ი-ის მოთხოვნა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებასთან დაკავშირებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

ვ. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## შარი გადაწყვეტილების აღსრულების გადადებაზე

### განჩინება

№ას-513-487-2013 8 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: გადაწყვეტილების აღსრულების გადადება

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 ნოემბრის განჩინებით შპს მ. ო. „ა+-ს“ განცხადება შპს „ი. კ-ის“ 2012 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა, ცნობილ იქნა და დაექვემდებარა აღსრულებას შპს „ი. კ-ის“ 2012 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება შემდეგი სახით: ა. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს შპს მ. ო. „ა+“ მ-ოს საარბიტრაჟო სარჩელი. ბ. შეწყვეტილად გამოცხადდეს 2009 წლის 9 ნოემბრის სესხის ხელშეკრულება №3ე ნ. კ-სა, 2009 წლის 9 ნოემბრის გირავნობის ხელშეკრულება №3ე ნ. კ-სა, 2009 წლის 9 ნოემბრის იპოთეკის ხელშეკრულება №49 გ. კ-სა და შპს მ. ო. „ა+“ მ-ოს შორის. გ. დაეკისროს მოპასუხეს ნ. კ-ეს (პ/ნ... შპს მ. ო. „ა+“ მ-ოს სასარგებლოდ სასესხო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავალიანების თანხა 14 423,69 (თოთხმეტი ათას ოთხას ოცდა სამი და სამოცდა ცხრა) ევროს გადახდა. დ. დაეკისროს მოპასუხეს ნ. კ-ეს შპს მ. ო. „ა+“ მიერ საარბიტრაჟო დავის განხილვისათვის გადახდილი საქმის წარმოების მოსაკრებელი 30 ლარის გადახდა. ე. დაეკისროს მოპასუხეს ნ. კ-ეს შპს მ. ო. „ა+“ მ-ოს მიერ გადახდილი დამატებითი საარბიტრაჟო მოსაკრებელი 1265,72 ლარის გადახდა. ვ. არ დაკმაყოფილდეს მოსარჩელის შპს მ. ო. „ა+“ მ-ოს სასარჩელო მოთხოვნა 2009 წლის 9 ნოემბრის №3ე გირავნობის ხელშეკრულებით დატვირთული ნ. კ-ის მოძრავი ქონების: ა. ტელევიზორი „ვესტელი“, ბ. მაცივარი „ელ-ჯი“ გ. პიანინო „ბელორუს“ სააღსრულებო ბიუროს მეშვეობით აუქციონზე იძულებითი რეალიზაციის ნაწილი. ზ. მოხდეს სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად დატვირთული გ. კ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: მდებარე შემდეგ მისამართებზე: ქ. ქუთაისი, ნ-ის ქ. 55, 57 და 59-ში მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №..., იპოთეკით დატვირთული ამონაწერის განცხადების რეგისტრაციის ნომერი №882009065340 და ქუთაისში ნ-ის ქ. №61-ში მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №... იპოთეკით დატვირთული ამონაწერის განცხადების რეგისტრაციის ნომერი №882009065348-ს სააღსრულებო ბიუროს მეშვეობით აუქციონზე იძულებითი რეალიზაცია. გადახდეთ სოლიდარულად ნ. და

გ. კ-ს შპს მ. ო. „ა+“ სასარგებლოდ 918,25 ლარი – სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 ნოემბრის განჩინებით შპს მ. ო. „ა+“-ის“ განცხადება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ნაწილობრივ იქნა ცნობილი არბიტრაჟის შპს „ი. კ-ის“ 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება და დაექვემდებარა აღსრულებას შემდეგი სახით: „შენწყვეტილად გამოცხადდეს 2010 წლის 8 ივლისის გენერალური სესხის ხელშეკრულება №32 გ. კ-სა და 2010 წლის 8 ივლისის სესხის ხელშეკრულება №277 გ. კ-სა, 2010 წლის 8 ივლისის იპოთეკის ხელშეკრულებები №№ 91 და 92 გ. კ-სა და შპს მ. ო. „ა+“-„მ-ო“-ს შორის; დაეკისროს მოპასუხეს გ. კ-ეს (3/6 ...) შპს „მ. ო. „ა+“-„მ-ო“-ს სასარგებლოდ სასესხო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავალიანების თანხა 26 856,62 ლარის გადახდა; დაეკისროს მოპასუხეს გ. კ-ეს შპს მ. ო. „ა+“-„მ-ო“-ს მიერ საარბიტრაჟო დავის განხილვისათვის გადახდილი საქმის წარმოების მოსაკრებელი 30 ლარის გადახდა; დაეკისროს მოპასუხეს გ. კ-ეს შპს მ. ო. „ა+“-„მ-ო“-ს მიერ გადახდილი დამატებითი საარბიტრაჟო მოსაკრებელი 939,98 ლარის გადახდა; მოხდეს სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად დარტვირთული, გ. კ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე შემდეგ მისამართებზე: ქ. ქუთაისი, წ-ის ქ. №№ 55, 57 და 59-ში მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №..., იპოთეკით დატვირთული ამონაწერის განცხადების რეგისტრაციის №882010691656 და ქ. ქუთაისი წ-ის ქ. №61-ში (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №..., იპოთეკით დატვირთული ამონაწერის განცხადების რეგისტრაციის №882010691673-ს სააღსრულებო ბიუროს მეშვეობით აუქციონზე იძულებითი რეალიზაცია“.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. კ-ემ და მოითხოვა ზემოხსენებული განჩინებების აღსრულების 3 თვით გადადება იმ მოტივით, რომ გ. კ-სა და თ. დ-ს შორის საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს დავა, სადაც სადავოა 118600,14 ლარი, რომელიც თ. დ-ს დაეკისრა გ. კ-ის სასარგებლოდ. განმცხადებლის განმარტებით, ეს დავა ჯერ არ დასრულებულა, თუმცა იგი ვარაუდობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება გ. კ-ის სასარგებლოდ, ხოლო მოგებული თანხით მიეცემა საშუალება, დაფაროს არსებული დავალიანება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 აპრილის განჩინებით გ. კ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ იხელმძღვანელა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიუთითა, რომ გ. კ-ეს არ გაუსაჩივრებია არბიტრაჟის ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ცნობილ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ, ამიტომ მათი აღსრულების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი არ არსებობს. ამასთან, გ. კ-ის ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გამო აღსრულების გადადების აუცილებლობის მტკიცების ტვირთი განმცხადებელს ეკისრებოდა.

პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებელს საერთოდ არ წარმოუდგენია თავისი ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი არც ერთი მტკიცებულება. სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული განჩინებების აღსრულების გადადებისათვის საკმარის საფუძველად არ ჩათვალა მხოლოდ იმ ფაქტზე მითითება, რომ მასა და მესამე პირს შორის მიმდინარეობს სამოქალაქო დავა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. კ-ემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

კანონიერ ძალაში შესული განჩინებების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველად სასამართლომ არასწორად მიუთითა იმ ფაქტზე, რომ გ. კ-ეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები არ გაუსაჩივრებია. გ. კ-ე აღნიშნული გადაწყვეტილებებით მისთვის თანხის დაკისრებას სადავოდ არ ხდის და ადასტურებს ვალდებულების არსებობას. მისი მოთხოვნა იყო გადაწყვეტილებების აღსრულების 3 თვით გადადება იმ მოტივით, რომ საკასაციო სასამართლოში იხილება დავა თ. დ-სა და გ. კ-ეს შორის ამ უკანასკნელისათვის 110629 ლარის მიკუთვნებასთან დაკავშირებით. მოცემულ საქმეზე გასულია 6-თვიანი ვადა. შესაბამისად, აღსრულების გადადების შემთხვევაში მხარეს კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისება და ოჯახის უსახლკაროდ დატოვება აღარ მოუწევს, რადგან დავალიანებას თ. დ-ან მიღებული თანხით გაისტუმრებს.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. კ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებიდან ირკვევა, რომ გ. კ-ეს უარი ეთქვა შპს „ი. კ-ის“ 2012 წლის 23 მარტისა და 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებების აღსრულების გადადების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მითითებული გადაწყვეტილებებით გ. კ-ეს კრედიტორთა სასარგებლოდ დაეკისრა გარკვეული ფულადი ვალდებულებების შესრულება.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ხსენებული გადაწყვეტილებების აღსრულების გადადების კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობა მხარემ ვერ დაასაბუთა.

საკასაციო სასამართლო საესვებით იზიარებს სააპელაციო პალატის აღნიშნულ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ გ. კ-ეს მართებულად ეთქვა უარი თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილავდოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

დასახელებული ნორმა უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს, მხარის მოთხოვნის საფუძველზე გარკვეული დროის განმავლობაში გადადოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება ისეთი ობიექტური მიზეზის არსებობისას, როგორცაა მოვალის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ან სხვა ყურადსაღები გარემოებები. ამდენად, გადაწყვეტილების აღსრულების გადადება წარმოადგენს კანონმდებლის მიერ დაწესებულ ერთგვარ შეღავათს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოვალეს, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა, გაახანგრძლივოს მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების პერიოდი.

ამავე კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

კანონის მოცემული დანაწესი მხარეს აკისრებს თავისი პოზიციის დასაბუთებლად მის მიერ მითითებული ფაქტების ნამდვილობის სარწმუნოდ დადასტურების ვალდებულებას.

შესაბამისად, იმისათვის, რომ სასამართლომ გაიზიაროს მხარის არგუმენტი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო გადაწყვეტილების აღსრულების გადადების თაობაზე საჭიროა, რომ ამ უკანასკნელმა დამაჯერებლად დაამტკიცოს აღნიშნულ გარემოებათა უტყუარობა.

მოცემულ შემთხვევაში, გ. კ-ის მოთხოვნა შპს „ი. კ-ის“ 2012 წლის 23 მარტისა და 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებების აღსრულების გადადების შესახებ ეფუძნება მის მითითებას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელის მისი სამოქალაქო დავა თ. დ-ის მიმართ გ. კ-ის 110629 ლარის მიკუთვნების თაობაზე. ამდენად, გადაწყვეტილებების აღსრულების 3 თვით გადადებით განმცხადებლის ოჯახი აირიდებს მათი საცხოვრებელი სახლის რეალიზაციას გ. კ-ის ფულადი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად და უსახლკაროდ არ დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. კ-ე ზემოხსენებული განცხადების დაკმაყოფილებას მოითხოვს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მოტივით, თუმცა მას კანონის მოთხოვნათა დაცვით არ დაუდასტურებია ისეთი ფინანსური სირთულეების არსებობა, რაც გადაწყვეტილებათა აღსრულების გადადების საფუძველი გახდებოდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ განმცხადებელს თავისი ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი არც ერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, გ. კ-ემ მისი მოთხოვნის საფუძველად მითითებული გარემოებების მტკიცების ტვირთის რეალიზება ვერ მოახდინა.

დაუსაბუთებელია მხარის მითითება საკასაციო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებითაც, ვინაიდან გარკვეულ თანხაზე დავის არსებობა ჯერ კიდევ არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სასამართლო უთუოდ დააკმაყოფილებს გ. კ-ის მოთხოვნას და სადავო თანხის გადახდას მოწინააღმდეგე მხარეს დააკისრებს.

რაც შეეხება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას, თავად კერძო საჩივრის ავტორმა დაადასტურა, რომ იგი შპს „ი. კ-ის“ 2012 წლის 23 მარტისა და 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებებს არ ასაჩივრებს და ამ გადაწყვეტილებებით დადგენილ ვალდებულებებს ცნობს. შესაბამისად, მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება არც აღნიშნული ნორმის თანახმადაა შესაძლებელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც გ. კ-ეს უარი უნდა ეთქვას კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკაცაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა

განჩინება

№ას-1273-1201-2012 12 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეცი

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო, ა. ნ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ა. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ა. ნ-ისათვის 20000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ ა. ბ-ს დაუბრუნდა ქ. ქუთაისში, მ-ის ქ. №17-ში მდებარე ბინა და, შესაბამისად, საჯარო რეესტრის მონაცემებში იგი აღირიცხა ა. ბ-ის სახელზე; ა. ნ-ი გამოსახლდა სადავო ბინიდან; ა. ბ-ის სარჩელი ა. ნ-თან ერთად მცხოვრები პირების გამოსახლების ნაწილში დარჩა განუხილველად; ა. ნ-ის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ა. ბ-სა და ა. ნ-ს შორის 2008 წლის 4 ივლისს დადებული საცხოვრებელი სახლის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება; დანარჩენ ნაწილში შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და ა. ბ-ს, მისი მოთხოვნის შესაბამისად, გადაეცა სააღსრულებო ფურცელი.

2012 წლის 21 ივნისს, ა. ბ-ის წარმომადგენელმა ნ. ვაჩიშვილმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ა. ნ-ის ბინიდან გამოსახლების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა. განმცხადებლის განმარტებით, სააღსრულებო ფურცლის დედანი გადაწყვეტილების ერთ-ერთი ნაწილის აღსრულების მიზნით იმყოფებოდა სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში, ამიტომ, ვერ ხერხდებოდა ამავე სააღსრულებო ფურცელში ასახული გადაწყვეტილების მეორე ნაწილის აღსრულება, რომელიც შეეხებოდა მონინალმდეგე მხარის ბინიდან გამოსახლებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივლისის განჩინებით ა. ბ-ის წარმომადგენლის განცხადება სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა. ამავე განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე (ა. ნ-ის ბინიდან გამოსახლების ნაწილში) გაიცა ცალკე სააღსრულებო ფურცელი; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცელი იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა ა. ნ-ის გამოსახლება ქ. ქუთაისში, მ-ის ქ. №17-ში მდებარე სადავო ბინიდან.

საქმეზე დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ სააღსრულებო ფურცელი, რომლის დუბლიკატის გაცემასაც მხარე ითხოვდა, არ იყო დაკარგული, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ ნაწილში მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. მიუხედავად ამისა, იმ მიზეზით, რომ ცალკე გაცემული სააღსრულებო ფურცლის გარეშე ვერ ხერხდებოდა გადაწყვეტილების აღსრულება, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის იურიდიული ინტერესი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე გასცა ცალკე სააღსრულებო ფურცელი მონინალმდეგე მხარის სადავო ბინიდან გამოსახლების ნაწილში. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ, 2012 წლის 5 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცელი გააუქმა იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა ა. ნ-ის სადავო ბინიდან (ქ. ქუთაისში, მ-ის ქ. №17-ში მდებარე ბინიდან) გამოსახლება.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ნ-მა, რომელმაც მოითხოვა ამ განჩინების გაუქმება და განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას და ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელი უკვე გაცემულია და მიმდინარეობს აღსრულება. ხსენებული სააღსრულებო ფურცელი, რომელიც იმყოფება იმერეთის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში, შეიცავს მითითებას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილ ყველა განკარგულებაზე და ცალკე სააღსრულებო ფურცლის გაცემის საჭიროება არ არსებობს.

კერძო საჩივრის თანახმად, სასამართლო გაცემა მხარის მოთხოვნის ფარგლებს, კერძოდ, განმცხადებელი ითხოვდა მხოლოდ სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის და არა ცალკე სააღსრულებო ფურცლის გაცემას. შესაბამისად, დარღვეულია კანონით აღიარებული პრინციპები – დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ნ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით: 1. ა. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; 2. ა. ნ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; 3. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; 4. ა. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; 5. ა. ნ-ისათვის 20000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ ა. ბ-ს დაუბრუნდა ქ.ქუთაისში, მ-ის ქ. №17-ში მდებარე ბინა, რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემებში აღირიცხა ა. ბ-ის სახელზე; 6. ა. ნ-ი გამოსახლდა სადავო ბინიდან, მდებარე ქ.ქუთაისში, მ-ის ქ. №17-ში; 7. ა. ბ-ის სარჩელი ა. ნ-თან ერთად მცხოვრები პირების გამოსახლების ნაწილში დარჩა განუხილველად; 8. ა. ნ-ის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; 9. გაუქმდა ა. ბ-სა და ა. ნ-ს შორის 2008 წლის 4 ივლისს დადებული საცხოვრებელი სახლის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება; 10. დანარჩენ ნაწილში შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და ა. ბ-ს, მისი მოთხოვნის შესაბამისად, გადაეცა სააღსრულებო ფურცელი;

განმცხადებელი მოითხოვს სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემას;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივლისის განჩინებით: 1. ა. ბ-ის წარმომადგენლის განცხადება სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა; 2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე ა. ნ-ის ბინიდან გამოსახლების ნაწილში გაიცა ცალკე სააღსრულებო ფურცელი; 3. გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცელი იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა ა. ნ-ის გამოსახლება ქ.ქუთაისში, მ-ის ქ. №17-ში მდებარე სადავო ბინიდან.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი სასამართლოს ამა თუ იმ განკარგულების შესასრულებლად გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-20 მუხლი ადგენს, რომ სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას. ამავდროულად, მითითებული კანონი ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში სასამართლოს მიერ დუბლიკატის გაცემის შესაძლებლობას, კერძოდ, კანონის 23-ე მუხლი ადგენს, რომ სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში სასამართლოს, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, შეუძლია გასცეს დუბლიკატი. ამდენად, სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის მნიშვნელოვანი წინაპირობაა სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის ფაქტის დადგენა, სწორედ ამ ფაქტობრივი გარემოების დადგენას უკავშირებს კანონმდებელი სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემას.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემას მოითხოვს არა იმ საფუძვლით, რომ უკვე გაცემული სააღსრულებო ფურცელი დაიკარგა, არამედ იგი მიუთითებს იმაზე, რომ სააღსრულებო ფურცლის დედანი გადაწყვეტილების ერთი ნაწილის აღსრულების მიზნით იმყოფება სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში, რის გამოც ვერ ხერხდება ამავე გადაწყვეტილების მეორე ნაწილის აღსრულება, რომელიც შეეხება მოწინააღმდეგე მხარის ბინიდან გამოსახლებას. ამდენად, ნათელია, რომ ზემომითითებული მსჯელობით განმცხადებელი არათუ ადასტურებს, არამედ თავად გამოიჩინა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სრულიად მართებულად არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.

რაც შეეხება გასაჩივრებული განჩინების იმ ნაწილს, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ცალკე სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოპასუხის ბინიდან გამოსახლების ნაწილში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში განჩინება დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულია ერთ გადაწყვეტილებაზე რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობა, თუმცა ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, აღნიშნული დაიშვება მხოლოდ ერთ-ერთი შემდეგი საგამონაკლისო შემთხვევის არსებობისას, კერძოდ, თუ: ა. აღსრულება უნდა მოხდეს სხვადასხვა ადგილას; ბ. გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ; გ. გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. გასაჩივრებულ განჩინებაში, მართალია, სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო ზემოხსენებულ ნორმას, მაგრამ არ დაუსაბუთებია, ამ ნორმით გათვალისწინებული რომელი საფუძველი არსებობდა მოცემულ შემთხვევაში. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ არც სასამართლოს დაუსაბუთებია და არც განმცხადებელს წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მის მიერ მითითებულ ნაწილში გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოება მართლაც არსებობდა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ განმცხადებელი მოითხოვდა არა ცალკე სააღსრულებო ფურცლის, არამედ სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ განმცხადებელი მოითხოვდა არა ცალკე სააღსრულებო ფურცლის, არამედ სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ განმცხადებელი მოითხოვდა არა ცალკე სააღსრულებო ფურცლის, არამედ სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ განმცხადებელი მოითხოვდა არა ცალკე სააღსრულებო ფურცლის, არამედ სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემას.

მართლო გაცდა განმცხადებლის მოთხოვნის ფარგლებს, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 248-ე მუხლის მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა ცალკე სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოპასუხის ბინიდან გამოსახლების თაობაზე და გაუქმდა მანამდე გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ნ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივლისის განჩინების მე-2 და მე-3 პუნქტები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### სააღსრულებო ფურცლის გაცემა უფლებამონაცვლეზე

#### განჩინება

№ას-1375-1297-2012 19 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: უფლებამონაცვლეობის დადგენა, სააღსრულებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 5 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სს „ხ-ს“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ძ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: სს „ხ-ს“ ნ. ძ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1999 წლის აპრილიდან 2002 წლის დეკემბრამდე არსებული დავალიანების ანაზღაურება 162 ლარის ოდენობით, მასვე დაეკისრა 2002 წლის დეკემბრიდან ყოველთვიურად სარჩოს გადახდა 59.10 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 9 თებერვლის ასევე კანონიერ ძალაში შესული განჩინებით შესწორდა საოლქო სასამართლოს ზემოთითხსენებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი იმგვარად, რომ სს „ხ-ს“ ნ. ძ-ის მიმართ სარჩოს სახით დაეკისრა 19.70 ლარის გადახდა ყოველთვიურად.

2012 წლის 4 ივლისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ნ. ძ-მა, რომელმაც მოითხოვა სს „ხ-ს“ უფლებამონაცვლედ შპს „ხ-ს“ ცნობა და უფლებამონაცვლის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ნ. ძ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, სს „ხ-ს“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა შპს „ხ.“, ამასთან, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა შპს „ხ-ს“ მიმართ.

სააპელაციო სასამართლომ, უფლებამონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14.41 მუხლი, აგრეთვე, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რომლითაც დაადგინდა, რომ სს „ხ-ში“ განხორციელდა ცვლილება და სააქციო საზოგადოება გარდაიქმნა შპს „ხ. დ“.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ხ-ს“ დირექტორმა გ. რ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არ გულისხმობს უკვე დამთავრებულ საქმეებზე უფლებამონაცვლეობის დაშვების შესაძლებლობას, ვინაიდან მოცემულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და სახეზე აღარ არის პროცესის არც ერთი სტადია;

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 19 სექტემბრის სხდომამდე ერთი დღით ადრე შპს „ხ-ში“ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სხდომის გადადება. განმცხადებელმა მიუთითა საპატიო მი-

ზეზზე, რის გამოც იგი ვერ შეძლება სასამართლო პროცესზე გამოცხადებას და შესაბამისად, საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებას. როგორც ჩანს, სასამართლომ ხსენებული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა;

გასაჩივრებელი განჩინება არ შეიცავს არანაირ მსჯელობას თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 9 თებერვლის განჩინებაზე, რომლითაც შესწორდა საოლქო სასამართლოს 2004 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება, სახელდობრ, სს „ბ-ს“ ნ. ძ-ის სასარგებლოდ 2002 წლის დეკემბრიდან ყოველთვიურად სარჩოს სახით დაეკისრა 19.70 ლარის გადახდა. გადაწყვეტილებაში დაშვებული აშკარა არითმეტიკული შეცდომის გამო, შპს „ბ.“ ზარალდება ყოველთვიურად 40 ლარით, რაც კანონსაწინააღმდეგოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ბ-ს“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი:

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 5 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სს „ბ-ს“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ძ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: სს „ბ-ს“ ნ. ძ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1999 წლის აპრილიდან 2002 წლის დეკემბრამდე არსებული დავალიანების ანაზღაურება 162 ლარის ოდენობით, მასვე დაეკისრა 2002 წლის დეკემბრიდან ყოველთვიურად სარჩოს გადახდა 59.10 ლარის ოდენობით;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 9 თებერვლის განჩინებით, ზემოთხსენებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გასწორდა უსწორობა იმგვარად, რომ სს „ბ-ს“ ნ. ძ-ის მიმართ სარჩოს სახით დაეკისრა 19.70 ლარის გადახდა ყოველთვიურად, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად;

2012 წლის 4 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ნ. ძ-მა და მოითხოვა სს „ბ-ს“ უფლებამონაცვლედ შპს „ბ-ს“ ცნობა და უფლებამონაცვლის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემა;

მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სააქციო საზოგადოება „ბ.“ გარდაიქმნა შპს „ბ-დ“, შესაბამისად, პალატამ 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინებით შპს „ბ.“ მიიჩნია სს „ბ-ს“ უფლებამონაცვლედ და გასცა სააღსრულებო ფურცელი.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ, ვინაიდან მოცემულ საქმეზე პროცესის ყველა სტადია დასრულებული იყო (გადაწყვეტილება შესული იყო კანონიერ ძალაში), ამიტომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და არ უნდა გადაეწყვიტა მოვალის უფლებამონაცვლეობის საკითხი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მსჯელობას და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი – საპროცესო უფლებამონაცვლეობა დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ნიშნავს იმას, რომ იგი დასაშვებია: ა. სარჩელის წარმოებაში მიღებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე; ბ. გადაწყვეტილების გამოტანიდან მის კანონიერ ძალაში შესვლამდე; გ. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მის აღსრულებამდე. ზემოხსენებული ნორმა ადგენს ასევე საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლებს, კერძოდ, ესენია: მოქალაქის გარდაცვალება; იურიდიული პირის რეორგანიზაცია; მოთხოვნის დათმობა; ვალის გადაცემა და სხვა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლს, რომელიც აწესრიგებს უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემის საკითხს. მითითებული ნორმის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა. ამდენად, აღნიშნული ნორმა უფლებამონაცვლის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემას უკავშირებს უფლებამონაცვლეობის ფაქტის დადგენას.

მოცემულ შემთხვევაში კრედიტორი ნ. ძ-ი მოითხოვს მოვალის (სს „ბ-ს“) უფლებამონაცვლე პირის (შპს „ბ-ს“) საწინააღმდეგოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემას კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სს „ბ-ში“ განხორციელდა სამართლებრივი ფორმის ცვლილება (საწარმოს რეორგანიზაცია) და სს საზოგადოება გარდაიქმნა შპს „ბ-დ“. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის აღნიშნულ დასკვნას, ვინაიდან იგი ეფუძნება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, კერძოდ, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 14.06.20126. №12034749-003/001 წერილს. ამასთან, გასათვალისწინებე-

ლია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოხსენებული ფქტის საწინააღმდეგო პრეტენზია კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა საპროცესო უფლებამონაცვლეობის ისეთი საფუძველი, როგორცაა იურიდიული პირის რეორგანიზაცია, ამასთან, უფლებამონაცვლეობის ფაქტი ნათელია, მეტიც, მოწინააღმდეგე მხარეს ეს ფაქტი სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მიერ მოხმობილ არგუმენტს იმის შესახებ, რომ, სხდომის გადადების თაობაზე მისი მოთხოვნის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მისი მოწინააღმდეგის გარეშე განიხილა საქმე, რამაც განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. საქმის მასალებით დასტურდება, 2012 წლის 18 სექტემბერს შპს „ხ-ს“ დირექტორის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვის ფაქტი, თუმცა დასტურდება ისიც, რომ სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 19 სექტემბრის საოქმო განჩინებით სასამართლომ დაადგინა განცხადების ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა. ასეთი განჩინების მიღების უფლება სააპელაციო სასამართლოს გააჩნდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით და, შესაბამისად, მას კანონი არ დაურღვევია.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ იგი ფინანსურად ზარალდება, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ სააღსრულებო ფურცლის გაცემა დაადგინა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 5 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, თუმცა არ უმსჯელია ამ გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის შესახებ განჩინებაზე, რომლითაც მისთვის დაკისრებული თანხის ოდენობა შემცირდა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნული მოსაზრება საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 5 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე მოვალის უფლებამონაცვლე პირის დადგენითა და მის წინააღმდეგ სააღსრულებო ფურცლის გაცემით არ ილახება მოვალის კანონიერი ინტერესი, რომ ეს გადაწყვეტილება მასში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით აღსრულდეს. კერძოდ, დადგენილია, რომ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში შეტანილია ცვლილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 9 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით, შესაბამისად, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება უნდა მოხდეს მასში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში შეტანილი უსწორობა და სააღსრულებო ფურცელი ამ ცვლილების გათვალისწინებით უნდა გასცეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. შპს „ხ-ს“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.